

ნ. მაღლაკელიძე, ც. ურაშვილი,  
ე. მაღლაკელიძე

# ქართულის გაკვეთილები მესამე კლასში

(მასწავლებლის ფინანსი)

რეკომენდებულია ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრის მიერ.  
სახელმძღვანელომ წარმატებით გაიარა პილოტირება საქართველოს სკოლებში.

გამომცემლობა „მერიდიანი“  
თბილისი  
2008

**მხატვარი – ნინო ზაქარიაშვილი**

**რედაქტორები – ნელი ელიზბარაშვილი  
მანანა ჩიკვილაძე**

**კომპიუტერული უზრუნველყოფა – დავით კუტუბიძე  
კორექტორი – მარინე კილაძე**

© გამომცემლობა „მერიდიანი“, 2008

© ნ. მაღლაკელიძე

ISBN 978-9941-10-054-3

## მთოლემი მითითებანი მასწავლებლისათვის

წინამდებარე წიგნი წარმოადგენს გზამკვლევს იმ მასწავლებელთაოფის, რომლებიც III კლასში ქართულს ასწავლიან 6. მაღლაკელიძის, ც. ყურაშვილისა და ე. მაღლაკელიძის მიერ შედგენილი სახელმძღვანელოთი. მისი მიზანია დაეხმაროს პედაგოგს ეროვნული სასწავლო გეგმისა და ქართული ენისა და ლიტერატურის საგნობრივი სტანდარტებით დასახული მიზნების მიღწევაში. „მასწავლებლის წიგნი“ წარმოადგენს სასწავლო კოპლექტის შემადგენელ ნაწილს „მოსწავლის წიგნსა“ და „აქტივობების რეეულთან“ ერთად.

როგორც ცნობილია, ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით III კლასში მშობლიური ენის სწავლებას ეთმობა 5 აკადემიური საათი. ეს ფაქტი თავისოთავად მეტყველებს იმ გარემოებაზე, რომ ყურადღების ცენტრში დგება ცოდნის მიწოდების არა რაოდენობრივი, არამედ თვისებრივი მაჩვენებელი და მასწავლებელმაც ამის მიხედვით უნდა გარდაქმნას თავისი მუშაობა.

საკითხავ მასალად შერჩეულია კლასიკური და თანამედროვე საყმაწვილო ლიტერატურის ნიმუშები. ტექსტები გარკვეული თემატიკის მიხედვით არის დალაგებული, თითოეულ თემატურ ციკლში რამდენიმე ნაწარმოებია გაერთიანებული. სასწავლო მასალის წარდგენა გარკვეული სტრუქტურით ხდება, რაც ასახულია სახელმძღვანელოს მეთოდიკურ აპარატში. აქ წარმოდგენილია შემდეგი რუბრიკები (თითოეული რუბრიკა გარკვეული პირობითი ნიშნით არის აღნიშნული, რომელთა ახსნასაც გთავაზობთ „მოსწავლის წიგნსა“ და „აქტივობების რეეულში“):

**ა) კითხვისათვის მზადება –** იგი მიზნად ისახავს ნაწარმოების წაკითხვამდე მოსწავლეთა პროგოცირებას, მათში სათანადო განწყობისა და ემოციური ფონის შექმნას. ეს რუბრიკა წინ უძღვის ყველა ტექსტებს. ძირითადად ეს არის აღრე წაკითხულის გახსენება, ანდაზის ანალიზი, ზეპირი თხზულება ამ ანდაზის მიხედვით, სურათის აღწერა, „გონებრივი იერიშის“ რუკის შევსება, მოცემულ თემასთან დაკავშირებით რაიმე პრობლემის დასმა და გადაჭრა, მასწავლებლის შესავალი საუბარი და ა. შ.

**ბ) საკითხავი ტექსტი და ილუსტრაცია –** საკითხავ მასალად შერჩეულია როგორც მხატვრული ნაწარმოებები, ისე აღწერითი ხასიათის ტექსტები, სამეცნიერო-პოპულარული სტატიები. აქ დიალოგურ ტექსტებთან ერთად პირველად შემოვიტანეთ მონოლოგური ტექსტებიც. მათზე მუშაობის მეთოდიკა რამდენადმე განსხვავებულია და შევეცადეთ ეს „მასწავლებლის წიგნში“ გვეჩენებინა. რაც შეეხება ილუსტრაციებს, ხშირ შემოხვევაში ეს არის ფერადი სლაიდები, ისტორიული ფრესკები, ცნობილი მხატვრების ნამუშევრები, რომელთაც გარკვეული საგანმანათლებლო დანიშნულება აქვთ და ამავე დროს, ემსახურებიან ლიტერატურის ინტეგრირებულ აღქმას ხელოვნების სხვა დარგებთან ერთად.

**გ) იფიქრე, იმსჯელე –** გულისხმობს წაკითხულის შეფასებასა და გააზრებას სხვადასხვა დონის კითხვების მეშვეობით. ეს არის კითხვის სტრატეგიების დაუფლება, ლიტერატურული პერსონაჟების მარტივად დახასიათება, პარალელების გავლება ადრე

წაკითხულთან (მოსმენილთან, ნანახთან, გაგონილთან...), მათ შორის მსგავსებისა და განსხვავების დადგენა, სათანადო დასკვნების გაკეთება და დასაბუთება, სააზროვნო მოქმედებათა განვითარება, ტექსტობრივ მონაცემთა საფუძველზე ტექსტის ანალიზის უნარის გამომუშავება...

**დ) ენობრივ მასალაზე დაკვირვება –** საკითხავი ტექსტების დამუშავებას მჭიდროდ უკავშირდება ლინგვისტურ ცნებებზე მუშაობა. საილუსტრაციო მასალა, როგორც წესი, საკითხავი ტექსტებიდან არის ამოღებული. ფართოდ ვიყენებოთ ამ დროს ენაზე დაკვირვების მეთოდს, რაც უზრუნველყოფს მოსწავლეთა შემეცნებით აქტივიზაციას. აქ წარმოდგენილია **ლექსიკურ-ფრაზეოლოგიური, პუნქტუაციური, ორთოეპიული და ორთოგრაფიული** სავარჯიშოები, რომელთა მიზანია მოსწავლეთა მეტყველებისა და აზროვნების განვითარება, მათი შეიარაღება ძირითადი სამეტყველო უნარ-ჩვევებით. რადგანაც ამ ეტაპზე ვერ ხერხდება სათანადო თეორიული ბაზის შექმნა, მართლმეტყველებისა და მართლწერის საკითხებზე მუშაობას პრაქტიკული ხასიათი აქვს. ამ მიზანს ემსახურება სწორედ რუბრიკა – **დაიმახსოვრე როგორ იწერება.**

**ე) შეამოწმე შენი თავი –** ეს არის „**ტესტები**“ ცოდნის შესამოწმებლად, რომლებიც „**აქტივობების რეეულშია**“ წარმოდგენილი და დამოუკიდებლად სრულდება.

**ვ) წყვილებში მუშაობა –** ამ პირობითი ნიშნით აღნიშნულია ის სავარჯიშოები, რომლებიც პარტნიორთან ერთად უნდა შესრულდეს. ხშირ შემთხვევაში ეს არის „**ორმხრივ ჩანაწერთა რეეული**“, „**ვიცოდი, ვისწავლე, მინდა გავიგო**“...

კითხვის სტრატეგიების დაუფლებისათვის სისტემატური ხასიათი მივეციოთ გეგმის შედგენაზე მუშაობას. იმისათვის, რომ საწყის ეტაპზე მოსწავლეს გავუადვილოთ ამ კუთხით მუშაობა, ტექსტი დაყოფილი გვაქვს ნაწილებად, რაც აღნიშნულია სათანადო ნუმერაციით და მასწავლებელს ვთხოვთ, მიაქციოს ამ ფაქტს ყურადღება.

„**მოსწავლის წიგნში**“ თავისი ადგილი დაიკავა ე. წ. „**რატომელას**“ რუბრიკამ, რომელიც II კლასიდან ნაცნობია როგორც მასწავლებლის, ისე – მოსწავლეებისათვის. იგი ნორჩ მკითხველს სთავაზობს დამატებით საკითხავ მასალას („**წიგნის სამყარო**“). ჩვენი აზრით (და ეს გასული წლის გამოცდილებამაც დაადასტურა), ის უადვილებს მასწავლებელს თემატური გაკვეთილების ჩატარებას. „**წიგნის სამყაროში**“ მოცემული საკითხავი მასალა თემატურად უკავშირდება „**მოსწავლის წიგნს**“, ემსახურება საკლასო კითხვის გაკვეთილებზე მიღებული ცოდნის გადვივებას, დამოუკიდებელი კითხვის უნარ-ჩვევების აღზრდას, წიგნიერების დონის ამაღლებას, ლიტერატურული გემოვნების დახვეწას...

„**მოსწავლის აქტივობების რეეული**“ „**მოსწავლის წიგნის**“ დამატება და მისი აუცილებელი ატრიბუტია. გთხოვთ, ყურადღება მიაქციოთ იმ გარემოებას, რომ აქ მოცემული სავარჯიშოები ემსახურება არა მხოლოდ წერით, არამედ ზეპირი მეტყველების განვითარებასაც. ისიც უნდა ითქვას, რომ სავარჯიშოებს, სასწავლოსთან ერთად, ხშირად საგანმანათლებლო ინფორმაციის მიწოდებაც აქვს დაკისრებული. ეს განსაკუთრებით ითქმის იმ დავალებებზე, რომლებიც ტექსტის კონსტრუირებას ისახავს მიზნად. როგორც წესი, აქ წინადაღებები ძირითადად **ი. გოგებაშვილის სტატიები**

ბიდან გვაქვს ამოკრეფილი. მათი ლოგიკური თანმიმდევრობით დალაგების შემდეგ მოსწავლე იძენს ახალ ინფორმაციას, რომელიც ძირითად საკითხავ მასალასთან არის კავშირში. „**მასწავლებლის წიგნში**“ ამჯერად არ ვუთითებთ, რომელი დავალების შესრულებაა რეკომენდებული შინ და რომლისა – კლასში. ეს მასწავლებლის გადასაწყვეტია.

ამავე მიზნით, დამატებით, სურვილისამებრ, მასწავლებელს შეუძლია გამოიყენოს „**ჩვენი ენა ქართული**“-3. იგი გადამუშავდა ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, ჩვენი აზრით, პედაგოგი აქ მოძებნის მოსწავლეთათვის საინტერესო და საჭირო მასალას ძირითადი **სამეტყველო უნარ-ჩვევების** ფორმირებისათვის

„**მასწავლებლის წიგნში**“ თითოეულ თემასთან საორიენტაციოდ მითითებული გვაქვს საათების რაოდენობა. თითო ტექსტის დამუშავებას საშუალოდ 2-3 აკადემიური საათი ეთმობა. სწორედ ამ მიზეზით ყველა გაკვეთილის სცენარის დამუშავება არ ვცანით საჭიროდ, მიგვაჩნია, რომ „**თავისუფალი გაკვეთილების**“ დატოვება შემოქმედ მასწავლებელს საკუთარი თავის გამოვლენის მეტ შესაძლებლობას მისცემს. მოცემულია **მიზნების, აქტივობების, გაკვეთილის ძირითადი მომენტებისა და მოსალოდნელი შედეგების** ჩამონათვალი, **საგარჯიშოებისა და ტესტების** პასუხები. აქვეა დამატებითი ინფორმაციაც მასწავლებლისათვის. ჩვეულებრივ ერთად არის მოცემული 2-3 გაკვეთილის სცენარი. მათი გადანაწილება მასწავლებლის საქმეა; თუმცა გვაქვს **სანიმუშო გაკვეთილების დეტალური აღწერაც** (ასეთი 25 გაკვეთილია). კვირაში რეკომენდებულია დაახლოებით 2 ტექსტის დამუშავება, თუმცა ამ პრინციპის დაცვა, რა თქმა უნდა, ყოველთვის ვერ მოხერხდება მასალის სირთულისა და მოცულობიდან გამომდინარე.

წინა წლებთან შედარებით მასწავლებლის წიგნი ამჯერად უფრო ლაკონიურია და კომპაქტური. იგი **მხოლოდ და მხოლოდ ორიენტირია და არა მზამზარეული რეცეპტი.**

## გაპგეთილების მასალა

კუკური გოგიაშვილის „დაგვემშვიდობა ზაფხული“,  
სიტყვის სემანტიკა (2 სთ)

### მიზნები

- გაძმული მეტყველების განვითარება
- გამომეტყველებითი კითხვის ჩვევის დაუფლება
- ლექსიკური მარაგის გამდიდრება
- სიტყვათა დაჯგუფება შინაარსობრივი და ექსპრესიული ოვალსაზრისით
- ლოგიკური აზროვნების განვითარება

### აქტივობები

- მოსწავლე გადმოსცემს ზაფხულის შთაბეჭდილებებს
- აღგენს ზეპირ თხზულებას
- აღწერს საგანს (მოვლენას)
- ვარჯიშობს გამომეტყველებით კითხვაში
- აკვირდება სიტყვის სემანტიკას

### 1. ტექსტის მუშაობა

ა) კითხვისათვის მზადება – „გონებრივი იერიშის“ რუკის შევსება (**რასთან ასოცირდება ზაფხულის არდადეგების დამთავრება** – შემოდგომის დადგომასთან, სწავლის დაწყებასთან, სკოლაში დაბრუნებასთან, ამხანაგებთან შეხვედრასთან...);

ბ) ლექსის კითხვა და ანალიზი – მოსწავლეები ჯერ ხმამაღლა, შემდეგ კი ჩუმად კითხულობენ ტექსტს, აკავშირებენ ლექსის სათაურს წაკითხულთან, ურჩევენ ალტერნატიულ საოცრებაც, ასახელებენ ტექსტში ასახულ ფაქტებს (მიიღია ზაფხული, მოსწავლე სოფლიდან ბრუნდება ქალაქში, იწყება ახალი სასწავლო წელი...); საუბრობენ პერსონაჟის განწყობაზე, ტექსტის მიხედვით აღწერენ სოფელს (გადაჭრილი ტყეები, ოქროსფერი ველები, სამშობლოს მცხელი ციხე-კოშკები, მთის მოუსვენარი წყაროები, პატარა მდინარე...);

გ) ლექსიკურ-ფრაზეოლოგიური მუშაობა – უცნობი სიტყვების ასენა კონტექსტის მიხედვით (იხ. „სიტყვის სალარო“), მათი გამოყენებით წინადადებების შედგენა, მხატვრულ სახეებზე დაკვირვება (გადაჭრილი ტყეები, ანცი მდინარე, მოუსვენარი მდინარე, მდინარე ციხე-კოშკები, ოქროსფერი ველები...);

- დ) გამომეტყველებით კითხვაზე ვარჯიში;
- ე) წერით თხზულებაზე მუშაობა („რვეული“, დავალებები; №1, №3);
- ვ) წყვილებში მუშაობა („რვეული“, დავალება №2).

## 2. მნობრივ მასალაზე დაკვირვება

- ა) სინონიმებზე მუშაობა: მწველი – მცხუნვარე, ანცი – მოუსვენარი;
- ბ) სიტყვათა დაჯგუფება ექსპრესიული თვალსაზრისით – ყურებდაჭრილი რა? (მურია), როგორი? (ანცი, პატარა) მდინარე, როგორი? (მდინარე) ციხე-კოშკები, მოუსვენარი რა? (წყარო), ბეღლისოდენა რა? (წისქვილი);
- გ) სიტყვათა დაჯგუფება შინაარსობრივი თვალსაზრისით (საგნის აღმნიშვნელი სიტყვები), კროსეორდი (პასუხები: ზარი, წყარო, სოფელი, ხმა., გული, წისქვილი, ძღინარე).

**შედეგების კოდი:** III.1, III.2, III.4, III.7, III.9.

## გაპგეთილების მასალა

ქეთევან ჭილაშვილის „წერილი მურას“,  
მარტივი საკომუნიკაციო ტექსტის შეთხხვა (3 სთ.)

### მიზნები

- ლიტერატურული ტექსტის ანალიზი
- გამომეტყველებით კითხვაზე ვარჯიში
- საგნის (ან მოვლენის) აღწერა
- მარტივი საკომუნიკაციო ტექსტის შეთხვა
- აზროვნებისა და მეტყველების განვითარება

### აქტივობები

- მოსწავლე კითხულობს და მარტივად აანალიზებს ტექსტს
- აფასებს მოქმედი პირების საქციელს
- ასაბუთებს ოვის აზრს
- აღწერს საგანს
- აღგენს მარტივ საკომუნიკაციო ტექსტს
- წერს
- მუშაობს ინდივიდუალურად, ჯგუფურად, წყვილებში

### 1. ტექსტის მუშაობა

ა) კითხვისათვის მზადება – მოსწავლე სათაურის მიხედვით ამოიცნობს საკომუნიკაციო ტექსტის ადრესატს და გამოიკვამს ვარაუდს ტექსტის შესაძლო შინაარსის შესახებ;

ბ) ტექსტის კითხვა-დამუშავება – მოსწავლე ასახელებს ტექსტში ასახული მოქმედების აღგილს (ხოყელს და ქალაქს), პერსონაჟებს (ვაროს, მისი მშობლებს, ერებოს პაპას, მაიკოს, გიას, მურას, ჭრელკუდას...), საუბრობს მათ ურთიერთდამოკიდებულებაზე, ახასიათებს ნაწარმოების პერსონაჟებს: გატოსა და მურას...

გ) ლექსიკურ-ფრაზეოლოგიური მუშაობა – უცნობი სიტყვების ახსნა კონტექსტის მიხედვით, მხატვრულ სახეებზე დაკვირვება (კოლოფივით ბინა, ძილისგუდა...), ფრაზეოლოგიზმზე დაკვირვება (ბუტიას კერძი გემრიულიაო) და მისი ახსნა;

დ) გამომეტყველებით კითხვაში ვარჯიში;

- ე) ტექსტის შინაარსის გადმოცემა კითხვებზე პასუხით („რვეული“, დავალება №2);
- ვ) ტექსტის გააზრება („შეამოწმე შენი თავი“ – ბ) და საკუთარი აზრის დასაბუთება – დავალება №1);
- ზ) წარმოსახვითი პერსონაჟის აღწერა („რვეული“, დავალებები: №4 და №5);
- თ) მიზნობრივ-საკომუნიკაციო ტექსტის შეთხვა (წერილი წარმოხახით პერსონაჟს – დავალება №6).

## 2. მნობრივ მასალაზე დაკვირვება

ა) I და III პირში თხრობა;

ბ) წერილის აუცილებელი ატრიბუტები (ადრესატი და ადრესანტი, ვის სწერებ, ვინ წერს, როგორ იწყებენ და როგორ ამთავრებენ ახლობლებისადმი მიწერილ წერილებს, როგორ იგ ზავნება წერილი, რისი მითითებაა აუცილებელი კონვერტებელი...).

**შედეგების კოდი : III.1, III.4, III.5, III.7, III.8, III.9.**

## გაკვეთილების მასალა

აკაკი წერეთლის ზღაპარი „მოსწავლე და მასწავლებელი“; სიტუაცია, მარცვალი, სიტუაცის დამარცვლა და გადატანა (განმეორება) (3 სთ.)

### მიზნები

- ლიტერატურული ნაწარმოების კითხვა და ანალიზი
- აზროვნებისა და მეტყველების განვითარება
- ლექსიკური მარაგის გამდიდრება
- ლოგიკური ოანმიმდევრობით თხრობა
- სიტყვა, მარცვალი, სიტყვის დამარცვლა და გადატანა

### აქტივობები

- მოსწავლე კითხულობს და აანალიზებს ტექსტს
- გადმოსცემს მის შინაარსს
- ეცნობა ლიტერატურული ზღაპრის სპეციფიკას
- გამოთქვამს და ასაბუთებს თავის აზრს
- წერს
- მუშაობს ჯგუფურად, ინდივიდუალურად.

### 1. ტექსტის ანალიზი

ა) კითხვისათვის მზადება – პრობლემის დასმა (რა განსხვავებაა განათლებულსა და გაუნათლებულ ადამიანებს შორის) და ვარაუდების გამოთქმა;

ბ) ტექსტის კითხვა და ანალიზი – ლიტერატურული ზღაპრის რაობა და სპეციფიკა (იგი მწერლის მიერ არის შექმნილი); მოსწავლე ასახელებს ზღაპრის პერსონაჟებს (მეფეს, უფლისწულს, მოძღვარს), აფასებს მათ მოქმედებას, პასუხობს სახელმძღვანელოში მოცემულ კითხვებს, მსჯელობს, მოცემული ანდაზებიდან რომელი არ შეეფერება ამ ზღაპარს (პასუხი: გ).

გ) ჩუმი კითხვა – ტექსტში მითითებული ადგილის მოძებნა და ამოკითხვა, უცნობი სიტყვების მოძებნა და ახსნა...

დ) ტექსტის გააზრების, დასკვნების გაკეთებისა და არგუმენტირების მიზნით სრულდება „აქტივობების რეგულაში“ დავალება №1, ავსებენ ტესტებს (პასუხი: ა). გადმოსცემენ ტექსტის შინაარსს კითხვებზე პასუხითა („რეგული“, დავალება №2) და გამული თხრობით.

## 2. მეობრივ მასალაზე დაპვირვება

ა) გამომეტყველებითი კითხვის დროს ყურადღება მახვილდება კითხვითსიტყვი-ანი კითხვითი (მუქ ში როგორ ჩაეტეოდა? გაფრენილ ჩიტს როგორ დაიჭერდი? რად მიწურები, დიდებულო ხელმწიფებული? ჩემი რა ბრალია?) და ძახილის (აკი გითხარი, დაუჯერებელს ნუ დაიჯერებ-მეოქი...) წინადადებების ინტონაციაზე.

ბ) სინონიმებზე მუშაობა – („რვეული“, დავალება №3, პასუხები: მოძღვარი, გამზ-რდები; უფლისწული; უსაყვედურა, განურისხდა; მომგვარე; საუბარი; წვრთნა).

გ) სიტყვა, მარცვალი – სახელმძღვანელო, გვ. 13; „რვეული“, დავალება №4 (პასუხები: სიტყვაში იმდენი მარცვალია, რამდენიც ხმოვანია მასში; ერთმარცვლიანი სიტყვა გადასატანად არ გაიყოფა; ერთი ასოს დატოვება ან გადატანა არ შეიძლება); დავალება №5 (პასუხები: ერთ, ბრძენს, ისე, ბევრს, რომ, და, ასე, ჩემს, არ, ნუ, ვერ, ხელს, გზას, რად, გვ, თქ, რა, ჰქენს, ჩიტს, აკი, იყო, მის, ჰქუა, მე, აქებ, თუ, ამ, კი, იქ, ბევრს, თქვენს, შვილს, რამ); დავალება №6 (პასუხები: მო-ხუ-ცე-ბუ-ლი, მე-ვე, გზა, გზა-მა-რი, ჰქუა, იქ).

შედეგების კოდი: III.1, III.2, III.3, III.4, III.7, III.8.

ორი თემის: „ხელმწიფის შვილისა და ხელმწიფის ამბავი“ (ხალხური) (2 სთ.) და „მოხუცის ნატვრა“ (ხალხური) (1 სთ) დაგეგმვას მოლიანად მასწავლებელს ვანდობთ.

## გაკვეთილების მასალა

შ. ბადრიძის „მეფე მწიგნობარი;“  
საბავშვო ბიბლიოთეკა, ბიბლიოთეკით სარგებლობის წესები (3 სთ.)

### მიზნები

- სტატიის კითხვა და ანალიზი
- დავით აღმაშენებლის შესახებ მარტივი საგანმანათლებლო  
ინფორმაციის მიწოდება
- კითხვის მარტივი სტრატეგიების დაუფლება
- ტექსტის არსებითი ენობრივ-გრამატიკული ნიშნების ამოცნობა

### აქტივობები


- მოსწავლე კითხულობს და აანალიზებს ტექსტს
- აჯამებს საგანმანათლებლო ინფორმაციას
- აკეთებს დასკვნებს, ასაბუთებს თავის აზრს
- ეცნობა სასკოლო ბიბლიოთეკით სარგებლობის წესებს
- წერს

### 1. ტექსტის მუშაობა

#### ა) კითხვისათვის მზადება (7-8 წუთი):

მასწავლებელი კლასს ყოფს სამ ჯგუფად (ჯგუფებში მუშაობა) და თითოეულ ჯგუფს აძლევს დავალებას – გაიხსენონ, რა იციან დავით აღმაშენებლის შესახებ. მოსაფიქრებლად ეძლევათ 3-4 წუთი.

პასუხების მოსმენის შემდეგ კლასის აქტიური მონაწილეობითა და მასწავლებლის დახმარებით დაფაზე ივსება „გონიერი იერიშის“ რეკა:



უფრადლება მახვილდება სიტყვაზე „აღმაშენებელი“, გაირკვევა, თუ რატომ უწოდა მეცე დავითს ხალხმა ეს სახელი.

**დამატებითი ინფორმაცია მასწავლებლისათვის** – დავით აღმაშენებელი, მეფე გიორგი II-ის ძე, მეფობდა 1089-1125 წლებში. გამეფდა 16 წლის. გადმოცემის მიხედვით, ხალხმა თავად მოითხოვა ჭაბუკის გამეფება, რადგან იგი თავიდანვე ამჟღავნებდა დიდ ჭკუა-გორებას, ხიბენებებს, მტერთან შეურიგებლობას. ამიტომაც მიხმა მამამ თავისი ნებით თქვა ტახტზე უარი, შეილი გაამეფა, თავად კი ბერად აღიკვეცა. ჭაბუკ მეფეს წილად ერგო მტრისაგან დაქცეული და განადგურებული ქვეყანა. სოფლები და ქალაქები დაცლილი იყო მოსახლეობისაგან, რომელიც მტრის შიშით ტყვებსა და მოებს აფარებდა თავს. პირველ რიგ ში ემაწვილმა მეფემ უმარტლაშენებისა და აზნაურებისაგან შექმნა ჯარი, რომლითაც სდევნიდა თურქ-სელჩუკებს ქვეყნის ტერიტორიიდან, ხელს უწევდდა მოსახლეობის დაბრუნებას საცხოვრებელ ადგილებში. 1099 წლიდან მან თურქ-სელჩუკებს შეუწყიობა ხარკის მიცემა და საბოლოოდ განდევნა ჩვენი ქვეყნიდან. მეფე შეუდგა ქართული მიწა-წყლის გაერთიანებას და ამიტომაც დაუპირისპირდა ქვეყნის დევებრალისაციის მოსურნე ფეოდალებს. გააუქმა კლდეკარის საერისთავო, დაიპყრო ზედაზენი, შემთიერთა პერეთი და კახეთი.

დავითი დაუნდობელი იყო მოდალატე სამღვდელოების მიმართაც, რომელიც ხშირად უხეშად ერეოდა მეფის ფუნქციებში. სწორედ ამ მიზნით მოიწვია მეფემ 1103 წელს რუსურბნისის საქალესით კრება, რომელმაც ალაგმა თავგასული საეკლესით ფეოდალები. მანვე შემოიღო მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელის თანამდებობა, რომელიც ერთდროულად იყო საულიერო და საერო საქმეების მმართველი.

დავითმა გზა გაუხსნა განათლებას. მოსახლეობის ყველა ფეხისათვის დააარსა სკოლები, განსაკუთრებით ნიჭიერებს კი საზღვარგარეთ გზავნიდა განათლების მისაღებად. თავისი ხარჯით გამართა სამჯურნალოები, სადაც მჯურნალობა ყველასათვის უფასო იყო. ხელს უწყობდა გაჭრობის განვითარებას, დიდი დონისძიებები გაატარა სამონეტო (ფულად-საკრედიტო) სისტემის გასაუმჯობესებლად, განამტკიცა გულის კურსი, გაატარა სასამართლო რეფორმა.

განსაკუთრებული აღნიშვნის დირსია აღმაშენებლის მიერ გატარებული სამხედრო რეფორმა, გარდაქმნა ძრმოლის ტაქტიკა, ჩრდილოეთ კავკასიიდან ჩამოასახლა 40 000-მდე ყივჩაყი. მათგან მეფემ შექმნა მუდმივი ჯარი. სწორედ ამ სამხედრო რეფორმის დამსახურებადა დიდგორის გამარჯვება 1121 წელს, როდესაც დამარცხდა მუხლისმანთა კოალიციური ლაშქარი. ამ გამრჯვების შემდეგ შემთიერთა მან თბილისი, ხადაც მანამდე თურქები იუვნენ გამაგრებული. გააძლიერა საქართველოს საერთაშორისო ავტორიტეტი, გავლენა მეზობელ ქვეყნებზე. 1124 წელს შირვანიდებთან ერთად შირვანიდან განდევნა თურქები, უფრო ადრე კი – 1123 წელს – ანისიდანაც.

დავით აღმაშენებლის სახელს უკავშირდება გელათის ტაძრის მშენებლობა, გელათის აკადემიის დაარსება. დიდია მისი წვლილი ქართული საულიერო მწერლობის განვითრების საქმეშიც („გალობრი სინაულისანი“).

დავით აღმაშენებლი კავკასიის მადლიერმა ხალხებმა მეფედ მეფედ აღიარეს, კალუსიად კი იგი წმინდანად შერაცხა.

**ბ) ტექსტის კითხვა და ანალიზი (15-20 წუთი)** – ტექსტს თავიდან ბოლომდე კითხულობს ჯერ მასწავლებელი, შემდეგ – კითხვაში გაწაფული რომელიმე მოსწავლე. ამის შემდეგ იწყება ტექსტის ნაწილ-ნაწილ კითხვა და უცნობი სიტყვებისა და გამოთქმების ანალიზი. აიხსნება სიტყვები: **ფილოსოფია, ლოგიკას მეტყველება – მეც-**

ნიერების დარგები, მწიგნობარი – იტყვიან განათლებულ, ნაკიონ ადამიანზე, პიპლოოთება – დაწესებულება, სადაც თავს უყრიან უკრნალ-გაზეოებს, წიგნებს; წიგნოსაცავი...

მასწავლებელი კლასს ავალებს, ერთხელ კიდევ წაიკითხონ ტექსტი ჩუმად და მოძებნონ, მათთვის გაუგებარი სიტყვა ან გამოთქმა.

აქვე შეიძლება დავავალოთ ახალი სიტყვებისა და გამოთქმების გამოყენებით წინადადებების შედგენა.

ტარდება **გამოკრებითი** კითხვაც. ამ დროს შეიძლება გამოვიყენოთ ჯგუფური მუშაობა: კლასი იყოფა 3 ჯგუფად; თითოეულ ჯგუფს ეძლევა დავალება, მოძებნონ და წაიკითხონ ტექსტიდან ის ადგილი, სადაც აღწერილია:

- 1) დავით აღმაშენებლის ცოდნა-განათლება;
- 2) წიგნის სიყვარული;
- 3) გადასატან-გადმოსატანი ბიბლიოთეკა...

### გ) ტექსტის კონსტრუირება – (5-6 წუთი):

მოსწავლეები ასრულებენ „რეკულში“ მოცემულ მე-3 დავალებას – დააღავრო წინადადებები რიგითი ნომრების მიხედვით იხე, რომ ტექსტი მიიღონ. იგი უმჯობესია შესრულდეს წყვილებში. ეს სავარჯიშო ითვალისწინებს არა მხოლოდ დეფორმირებული ტექსტის ადგგენას, არამედ დავით აღმაშენებლის შესახებ გარკვეული დამატებითი საგანმანათლებლო ინფორმაციის მიღებასაც. საბოლოოდ წინადადებები რიგითი ნომრების მიხედვით დალაგდება ასე: 3, 1, 6, 5, 2, 7, 4 და ტექსტი ასეთ სახეს მიიღებს:

„დავითი მეფობდა XI-XII საუკუნეებში. იგი ოექვსმეტი წლისა გაამეფეს. უპირველესად იგი შეუდგა მტერთან ბრძოლას. მან აღადგინა მტრისაგან განადგურებული ქვეყანა. დავითმა დააარსა მრავალი სახწავლებელიც. დავით აღმაშენებელი დაკრძალულია გელათის მონასტერში. სიკვდილის შემდეგ იგი ეკლესიაზ წმინდანად შერაცხა.“

**დ) შეჯამება (3-5 წუთი)** – მოსწავლეები აჯამებენ, რა გაიგეს ახალი ამ გაპვეთილზე (გაეცნენ დავით აღმაშენებლის კიდევ ერთ თვისებას – ნაკიონებას, განათლებას, წიგნის სიყვარულს...), ერთმანეთს უზიარებენ თავიანთ შთაბეჭდილებებს.

**ე) შეფასება (3-4 წუთი)** – გაკვეთილის ბოლოს მასწავლებელი კლასთან ერთად აფასებს რამდენიმე მოსწავლეს. შეფასებისას აუცილებლად ითვალისწინებს შემდეგ პარამეტრებს:

ა) კრაქტიკული მუშაობა (ორგანიზებულობა, შემოქმედებითობა, მასალის ფლობა) – 40%, ბ) მსჯელობა კლასში (აქტიურობა, პარტნიორობან და ჯგუფთან მუშაობა, კითხვებზე ადეკვატური პასუხების გაცემა) – 35%, გ) კრებულტაცია (საკუთარი აზრის დასაბუთება, კორექტულობა) – 25%.

**საშინაო დავალება – „მეფე მწიგნობარი“** (კითხვით), ტექსტში მოინიშნონ ის ადგილი, რომელიც უკელაზე მეტად დაამახსოვრდათ (3 წუთი).

## II გაპვეთილი

### ა) ტექსტები მუშაობა:

**1) კითხვა – (7-8 წუთი)** მოსწავლეები კითხულობენ ტექსტს. გამოიყენება კითხვის ყველა სახე. განსაკუთრებული ყურადღება მახვილდება გამომეტყველებით კითხვაზე (ტექსტი აღწერითა, ამიტომ კითხვისას ძირითადად ერთი ტემაზე და ინტენსიურად დავიცვათ). მოსწავლეები კითხულობენ ტექსტიდან იმ ადგილებს, რომელიც ყველაზე მეტად დაამახსოვრდათ, ასაბუთებენ თავის აზრს.

**2) შინაარსის გადმოცემა – (7-8 წუთი)** მასწავლებლის დამხმარე კითხვების საშუალებით გადმოსცემენ ტექსტის შინაარსს (I დონის კითხვები) (7-8 წუთი):

- ვინ იყო დავით აღმაშენებელი?
- რა შეისწავლა მან? რომელ ენებს ფლობდა ის?
- წაკითხვის შემდეგ რა ნიშანს სვამდა ის წიგნზე?
- რას აღნიშნავდა ის ამ ნიშნით?
- რამდენი წლის გამეუდა დავითი?
- დროის დაზოგვის მიზნით, რა მოუწყვეს მეფე?..

ამ კითხვებზე პასუხებით მოსწავლეები ჯერ ნაწილ-ნაწილ, შემდეგ კი გაბმული თხრობით გადმოსცემენ ტექსტის შინაარსს.

### 3) ტექსტის ანალიზი: (10 წუთი)

– დავით აღმაშენებლის რა თვისებებზეა საუბარი ამ ნაწარმოებში? დაასაბუთეთ ტექსტიდან.

– ოქენი აზრით, რატომ კითხულობდა მეფე ერთსა და იმავე წიგნს რამდენ-ჯერმე? მისი რა თვისება ჩანს აქვთან? როდის კითხულობს ადამიანი ერთსა და იმავე წიგნს რამდენ-ჯერმე? (სავარაუდო პასუხები – 1) როცა ნაწარმოების შინაარსს ერთი წაკითხვით გერ გებულობენ; 2) როცა ეს ნაწარმოები მკითხველს ძალიან მოსწონს...).

– როგორ ახერხებდა ლაშქრობისას მეფე წიგნების კითხვას?

(სავარაუდო პასუხი: მეფეს მოუწყვეს გადასატან-გადმოსატანი ბიბლიოთეკა).

**ბ) ჩემი ბიბლიოთეკა (5 წუთი)** – ერთხელ კიდევ გაანალიზდება სიტყვის – **ბიბლიოთეკა** – მნიშვნელობა, მოსწავლეები იხსენებენ წიგნებს, რომლებიც მათ საოჯახო ბიბლიოთეკაში ინახება და ჩამოწერენ მათ სახელწოდებებს (5 წუთი).

**გ) ტექსტის გააზრება – 5 წუთი** – ტექსტის გააზრებისათვის, დამოუკიდებელი მსჯელობის უნარ-ჩვევების განვითარებისათვის წყვილებში სრულდება დავალება №1 – როგორ ფიქრობ, ეხმარებოდა წიგნების კითხვა მეფეს ქვეყნის მართვაში?

დიახ. არა (დაასაბუთე შენი აზრი).

აქვე სრულდება ტექსტური დავალებები (სწორი პასუხები 1გ, 2ა).

მოსწავლეები სახელმძღვანელოში კითხულობენ ი. ჭავჭავაძის ციტატას ცოდნის მნიშვნელობაზე, აანალიზებენ მას.

### დ) გაკვეთილის შეჯამება და შეფასება (5 წუთი)

**ე) საშინაო დაგალება (2-3 წუთი) – „მეცნიერება“ დავალება №2 (გექსტის მიხედვით უპასუხე კიოხვებს – სრულდება წერილობით).**

III გაკვეთილი

ა) ტექსტის კითხვა და ანალიზი (10 წუთი):

**ჩუმი კითხვა** – ტექსტი დაყოფილია ნაწილებად. მოსწავლეებმა უნდა წაიკითხონ და მოუძებნონ თითოეულ ნაწილს სათაური, ჩამოწერონ ეს სათაურები თანმიმდევრობით ბარათებზე.

**ცოდნის პრეზენტაცია** – რამდენიმე მოსწავლე ხმამაღლა კითხულობს ბარათებს ჩამოწერილ საოცნელო საოცნელოების შესახებ. მოსწავლეთა საერთო ძალებით შეჯერდება სწორი პასუხები.

ბ) წაკითხულის შეჯამება – (ეს დავალება შეიძლება შესრულდეს წყვილებში)  
(10 წუთი):

<p>რა ვიცოდით დავით ალმაშენებლის შესახებ</p>	<p>რა გავიგეთ</p>	<p>რის გაგება გვაინტერესებს</p>

წაკითხულის შეჯამებისას მოსწავლეებს გამოაქვთ დასკვნა, რომ დავით აღმაშენებელი, გარდა იმისა, რომ ყველაზე ძლიერი და სახელგანოქმული მეცნი იყო, ამავე დროს, იყო ძალზე ნაკითხი და განათლებული ადამიანიც გახდათ. წიგნების კითხვა მას ეხმარებოდა ქვეყნის მართვაში; ამასთან, მას ძალიან უყვარდა წაკითხულის შესახებ მსჯელობა და ოვისი აზრების სხვებისათვის გაზიარება, აინტერესებდა სხვისი აზრის მოსმენა(3).

\* የዚህንን ስምምነት አለመንግሥት በዚህ ደንብ የሚያስፈልጉ ይችላል.

**გ) დიდაქტიკური თამაში ბიბლიოთეკაში (5-7 წუთი)** – დავალება №5 – გაანაწილე წიგნის თაროებზე ქვემოთ მოცემული წიგნები, I თაროზე განათავსე საკითხავი ლიტერატურა, II-ზე – სახელმძღვანელოები. მოსწავლეები წიგნებს ისრებით „აეროებენ“ სათანადო თაროებთან: I თარო – აკაკი წერეთელი, „ლექსები“, იაკობ გოგებაშვილი, „მოთხრობები“, სულხან-საბა ორბელიანი, „იგაფ-არაკები“; II თარო – ქართული, III კლასი, ხელოვნება, III კლასი.

მოსწავლეთა ინიციატივით შეიძლება ამ თაროების კიდევ უფრო „შევსება“ და „გამდიდრება“.

**დ) ენობრივ მასალაზე დაკვირვება:** – (5-7 წუთი) დაიმახსოვრე როგორ იწერება: ერთ-ერთი დააარსა რა თქმა უნდა. ამ სიტყვების გამოყენებით დგება წინადადებები და იწერება დაფაზე.

**ე) გაკვეთილის შეჯამება და შეფასება.**

**ვ) საშინაო დაგალება:** – (5 წუთი) „რვეულში“ მოცემული ნიმუშის მიხედვით „შეუდგინონ“ ბარათები საოჯახო ბიბლიოთეკის რამდენიმე წიგნს; მოიძიონ სასკოლო ბიბლიოთეკაში და წაიკითხონ დამატებითი საკითხავი მასალა დავით აღმაშენებლის შესახებ (ი. გოგებაშვილი, „საგანმური“, 1993, გვ. 311-314).

შედეგების კოდი: III2, III3, III5, III6, III7, III10.

„წაიკითხე თვითონ“ – I თემა: „შეიყვარე წიგნი, წიგნი ცოდნის წყარო“ (საკითხავი ლიტერატურა „წიგნის სამყარო“, III კლასი, შეადგინა 6. მაღლაკელიქმ, თბ., 2008).

## გაპვეთილების მასალა

„შატარა საქართველო სჩარსეთში“ (ი. გოგებაშვილის მიხედვით);  
მარტივი დარგობრივი ტექსტი (ისტორიული თხზულება);  
სიტუაცის წარმოქმნა (2 სთ).

### მიზნები

- გაძმული მეტყველების განვითარება, შინაარსის ლოგიკური თანმიმდევრობით გადმოცემა
- მარტივი დარგობრივი ტექსტის შექმნა
- წერილობით თხზულებაზე მუშაობა
- მარტივი საგანმანათლებლო ინფორმაციის მიწოდება და შეჯამება
- დასკვნების გამოტანა და დასაბუთება
- ლექსიკური მარაგის გამდიდრება

### აქტივობები

- მოსწავლე კითხულობს და აჯამებს მარტივ საგანმანათლებლო ინფორმაციას
- აყალიბებს და ასაბუთებს თავის აზრს
- ადგენს მარტივ დარგობრივ ტექსტს
- წერს
- ეუფლება კითხვის სტრატეგიებს
- აკვირდება სიტყვის სემანტიკას (გეოგრაფიული სახელები, სადაცრობის აღმნიშვნელი სიტყვები)

### I გაპვეთილი

**ა) კითხვისათვის მზადება – (7 წუთი)** მასწავლებელი სვამს კითხვას: რა სმენიათ საქართველოს ფარგლებს გარეთ მცხოვრები ქართველების შესახებ?

აქ სავარაუდო პასუხი მრავალი შეიძლება იყოს. სასურველია, მოსწავლეებმა გაიხსენონ II კლასის „წიგნის სამყაროში“ ამ ოქმაზე წაკითხული ნაწარმოებები: **6. დუმბაძის „ჩვენი საუნჯე“** და **ქ. ხაჩიაშვილის „ჩემო კარგო ქვეყანავ!“** ორივე ტექსტში საუბარია საქართველოს ფარგლებს გარეთ – **თურქეთსა და ირანში** – მცხოვრებ ქართველებზე. ამ ნაწარმოებებს შეიძლება დაუკავშირდეს ტელევიზიიდან და სხვა საინფორმაციო წყაროებიდან მიღებული მასალა. მასწავლებელი აჯამებს მოსწავლეთა პასუხებს, შემდეგ კი მარტივად, მოსწავლეთათვის გასაღები ენიო საუბრობს ფერებიდანში მცხოვრებ ქართველებზე.

**დამატებითი ინფორმაცია მასწავლებლისათვის – 1614-1617 წლებში შაპაბახმა 200 000 ქართველი ირანში გადაასახლა. მათი საქმაოდ დიდი ნაწილი ცერეკიდანში, ირანის კველაზე მიურუებულ და მოუსავლიან აღგილას დაასახლა. აპაბასს ორი მიზანი ჰქონდა: ირანის დედაქალაქის – ისპაჰანის – დაცვა მომთაბარეთა თავდასხმებისაგან (ირანის შაპი კარგად იცნობდა ქართველების მეომარ ბუნებას) და ირანის ამ მოუსავლიანი მიწების დამუშავება (ქართველები, განსაკუთრებით კი კახეთის, შესანიშნავი მიწის მუშები იყვნენ). გადასახლებული ქართველები პირველ ხანებში ინარჩუნებდნენ თავიანთ სარწმუნოებას (ქრისტიანობას), ენასა და უძველეს ქართულ ადამ-წებებს, შემდეგ კი, დროთა განმავლობაში, თანდათანობით გამუშავდანდნენ. გადასახლებულ ქართველებს თავიანთი ახალი სოფლებისათვის ქართული სახელები დაურქმევიათ. ასე გაჩნდა ირანის ამ მიყრუებულ პროცესიაში ჩუღურეთი, მარტყოფი, გაშლოფანი... აქაურმა ქართველებმა დედაქანა დღემდე იციან. ყოველი მათვანის ოცნება მუდამ იყო „დედა სამშობლოში“, ანუ საქართველოში, დაბრუნება. 1972 წელს რამდენიმე ცერეკიდნებულ ქართულ ოჯახს დიდი ხნის ნატვრა აუხდა და მაშინდელი მთავრობის ძალისხმევით ისტორიულ სამშობლოში დაბრუნდა. მაშინ ისინი გურჯაანის რაიონის სოფელ ჩუმლაყში დაასახლეს. დღესაც ცერეკიდნებული ქართველების დიდი ნატვრა დაუბრუნდნენ საქართველოს. თავიანთ შვილებს ისინი სამშობლოს (საქართველოს) სიყვარულით ზრდიან, ცერეკიდან კი ახარებენ ვაზე, როგორც საქართველოს სიმბოლოს (ისიც უნდა იოქვას, რომ მუსულმანები დვინოს არ ეტანებიან, ამდენად, ვაზის კულტურა მათვის რამდენადმე უცხოა).**

**ბ) ტექსტის კითხვა – (10 წუთი).** მასწავლებელი ტექსტს კითხულობს თავიდან ბოლომდე, გზადაგზა კლასის დახმარებით ხსნის გაუგებარ სიტყვებსა და გამოთქმებს:

**სპარსეთი – ირანი**

**მოწადინებული – მონდომებული**

**სპარსეთან შეესისხლხორცებინა – სპარსელებად ექცია**

**ოსმალეთი – თურქეთი**

**ცერეკიდანი – ირანის ერთ-ერთი მხარე.**

მოსწავლეები გარჯიშობენ ტექსტის კითხვაში. გამოიყენება **ჩუმი** კითხვაც: თავიდან ბოლომდე წაიკითხონ ტექსტი ჩუმად და მოძებნონ ის სიტყვები, რომელთა მნიშვნელობაც არ ესმით. ასეთი სიტყვები შეიძლება იყოს: **დაემონებინა** – დაემორჩილებინა, თავგანწირვით – თავდაუზოგავად, თავდადებით (აქ შეიძლება გამოვიყენოთ პერიფრაზიც), **მბრძანებელი** – აქ: მეფე, შაჰი; **ურიცხვი ჯარი** – მრავალრიცხოვანი ჯარი, **დაქანცული** – დადლილი, **უწინდებურად** – ძველებურად, **ბინადრობენ** – სახლობენ, ცხოვრობენ... სასურველია, გაუგებარი სიტყვებისა და გამოთქმების ახსნა კლასის საერთო ძალებით, მოსწავლეთა აქტიური მონაწილეობით.

**გ) წაკითხულის გააზრება – (5 წუთი).** გაირკვევა, ვინ არის ნაწარმოების ავტორი (ი. გოგებაშვილი), როდის მოხდა ნაწარმოებში აღწერილი ამბავი (მე-17 საუკუნეში), რა არის ამ ნაწარმოებში მოავარი (კახელების გადასახლება ცერეკიდანში). აქვე სრულდება ტესტური დავალებები. სწორი პასუხებია: 1ა, 2ბ.

**დ) ლექსიკურ-ფრაზეოლოგიური მუშაობა – (5-6 წუთი).** ახლად შესწავლილი სიტყვების გამოყენებით მოსწავლეები ზეპირად ადგენენ წინადადებებს. აქვე ვარჯიშობენ გეოგრაფიული სახელებიდან სადაურობის აღმნიშვნელი სახელების მიღებაზე (ტერმინის მიწოდების გარეშე):

ფერეიდანი – ფერეიდნელი  
ქართლი – ქართლელი  
კახეთი – კახელი  
იმერეთი – იმერელი  
გურია – გურული  
რაჭა – რაჭველი  
სამეგრელო – მეგრელი  
სვანეთი – სვანი  
აჭარა – აჭარელი  
საქართველო – ქართველი

ე) **სინონიმებზე მუშაობა – (5 წუთი).** „რვეული“, დავალება 6. ისრით დააკავშირებინაარსით მსგავსი სიტყვები, პასუხები:

ცხოვრობს – ბინადრობს  
დადლილი – დაქანცული  
თავდაუზოგავად – თავგანწირვით  
მონდომებული – მოწადინებული  
მრავალრიცხოვანი – ურიცხვი

გ) **გაპვეთილის შეჯამება – (3 წუთი).** მოსწავლეები აჯამებენ რა გაიგეს ამ გაკვეთილზე: ქართველები ირანშიც ცხოვრობენ, ისინი მე-17 საუკუნეში გადაასახლა შაპ-აბასმა, მათ დღემდე ახსოვთ ქართული ენა....).

#### ზ) **შეფასება – (3 წუთი)**

**საშინაო დავალება – „პატარა საქართველო სპარსეთში“, დავალება №1 (წერილობით უპასუხონ კიოხვებს). (2 წუთი).**

## II ბაპვეთილი

ა) **ტექსტის კითხვა (10-12 წუთი)** – მოსწავლეები ვარჯიშობენ ხმამაღალ კიოხვაში. ყურადღება მახვილდება სწორ, შეგნებულ, სწრაფ და გამომეტყველებით კითხვის მხარეებზე. შემდეგ მასწავლებელი მოსწავლეებს აძლევს ინდივიდუალურ დავალებას: ტექსტი დაყოფილია ნაწილებად, წაიკითხეთ ჩუმალ და თითოეულ მონაკვეთს დაუსვით კიოხვა, ეს კითხვები ჩამოწერეთ თანმიმდევრობით („რვეული“, დავალება №3). სავარაუდო კიოხვები:

1. რა ხურდა შაპ-აბასს?
2. რა გადაწყვიტა სპარსეთის მბრძანებელმა?
3. სად გადაასახლა მან კახელები?
4. ვინ არიან ფერეიდნელი ქართველები?

#### ბ) **ტექსტის შინაარსის გადმოცემა:**

მოსწავლეები ტექსტის შინაარსს გადმოსცემენ ჯერ მასწავლებლის დამხმარე კიოხვების საშუალებით;

- როდის იყო პრძოლა სპარსელებსა და კახელებს შორის?
- რა სურდა სპარსეთის შაპს?
- როგორ იძრძოდნენ კახელები?
- ვინ ეხმარებოდა მათ?
- რა გადაწყვიტა შაპა?
- რატომ დამარცხდნენ კახელები?
- რა ქნა სპარსეთის შაპა?
- სად დაასახლა მან დატყვევებული ქართველები?
- ვინ არიან ფერებიდნებლი ქართველები?...
- შედღებ კი – გაძმული თხრობით.

**გ) წაკითხულის გააზრება (5 წუთი):**

- ქართველების რა თვისება ჩანს ამ ნაწარმოებში?
- საქართველოს რომელი კუთხებია აქ ნახსენები?
- რა იყო კახელების დამარცხების ერთ-ერთი მიზეზი?
- ტექსტის ბოლოს მოცემულია ანდაზა. ოქვენი აზრით, შესაბამება თუ არა იგი ამ ნაწარმოებს? ოქვენ რომელ ანდაზას გახსენებო ეს ნაწარმოები? რატომ?..

**დ) ლექსიკურ-ფრაზეოლოგიური მუშაობა (5 წუთი) – „რვეული“, დავალება №5, ჩასვი გამოტოვებული სიტყვები (მოსწავლეები საოანადო ლექსიკურ ერთეულს ეძებენ ტექსტში და სვამენ შესაბამის ადგილას. პასუხები: **დამდეგს, დაემონებინა, თავგანწირვით, ურიცხვი, დაატყვევა, ბინადრობს.****

**ე) ორთოგრაფიაში გარჯიში (5 წუთი) – დაიმახსოვრე, როგორ იწერება:**

თავგანწირვით,  
თავდაუზოგავად,  
**მრავალრიცხოვგანი.**

ამ სიტყვების გამოყენებით შედგება წინადადებები და დაიწერება დაფაზე.

**ვ) ტექსტის კონსტრუირება (5 წუთი) – რვეული, დავალება №4 (პასუხები: 2, 4, 1, 3, 5).**

**ზ) გაძვეთილის შეჯამება და შეფასება (5-6 წუთი).**

**თ) საშინაო დაგალება (2 წუთი) – „პატარა საქართველო სპარსეთში“, დასაწერად: „რვეული“, დავალება №2.**

**შედეგების კოდი: III3, III4, III6, III7, III9, III10.**

## გაპგეთილების მასალა

მასალა: „თვრამეტი მმა“ (ინგილოური თქმულება, ჩაიწერა  
ალ. ჩხერიძემა); სიტყვა, წინადაღება, ტექსტი (2 სთ.)

### მიზნები

- ტექსტის კითხვა და ანალიზი
- ლოგიკური თანმიმდევრობით თხრობა
- ტექსტის კონსტრუირება
- სიტყვათა დაჯგუფება შინაარსობრივი თვალსაზრისით
- ლექსიკური მარაგის გამდიდრება
- კითხვის სტრატეგიების დაუფლება

### აქტივობები

- მოსწავლე კითხულობს და აანალიზებს ტექსტს
- აჯამებს საგანმანათლებლო ინფორმაციას და აკეთებს დასკვნებს
- ასაბუთებს თავის აზრს
- გადმოსცემს წაკითხულის შინაარსს
- იყენებს კითხვის მარტივ სტრატეგიებს (ტექსტის დაყოფა ცალკეულ ნაწილებად, მათთვის კითხვების დასმა, შინაარსის გადმოცემა ამ კითხვების დახმარებით)
- წერს

### 1. ტექსტის ანალიზი

#### ა) კითხვისათვის მზადება – მასწავლებლის შესავალი საუბარი

**დამატებითი ინფორმაცია მასწავლებლისათვის** – საინგილო, მხარე უკოდალური ხანის საქართველოში, მდებარეობდა კახეთის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში, ამჟამად მდებარეობს აზერბაიჯანის ტერიტორიაზე, მოიცავს ბელაქანის, ხაქათალის, კახის რაიონებს. ტერმინი „საინგილო“ XIX საუკუნეებში დამტკიცდოდა. უფრო ადრე კი საისტორიო წერტილში მას მოიხსენიებდნენ „ძამბეჭოვანის“ სახელწოდებით. ადრინდელ საუკუნეებში ძველი ქართლის პროვინციის – პერეთის – შემადგენლობაში იყო. XVI–XVII საუკუნეებში მტრის განუწყვეტლი შემოხვევების გამო განადგურდა ადგილობრივი მოსახლეობა, მათ ადგილზე დახახლდნენ ლუკები, ამავე დროს, ადგილი პქანდა ადგილობრივი ქართველების დაუზეკვდასა და გამუსულმანებას. დროთა განმავლობაში ეს კუთხე მოხწყდა კახეთს. კახელი მეცნიერების ცდას – გაეთავისუფლებინათ რეგიონი ჩამოსახლებული ტომებისაგან, არავითარი შედეგი არ მოჰყოლია. 1803 წლიდან ეს კუთხე რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შევიდა, ხოლო 1921 წელს კი – აზერბაიჯანის.

**ბ) ტექსტის კითხვა და ანალიზი** – გაირკვევა ნაწარმოებში ასახული მოქმედების ღრო (ძველად, დიდი ხნის წინათ, ზუსტი თარიღი მითითებული არ არის); ადგილი (აზერბაიჯანი, საქართველო); პერსონაჟები (ხალხის ფანტაზიით შექმნილი 18 ძმა). მასწავლებელი პარალელს ავლებს რეალობასთან, გაირკვევა, ტექსტში გადმოცემული ამბებიდან რა შეიძლება შეეფერებოდეს სიმართლეს (საინგილო დღეს მართლაც აზერბაიჯანის ტერიტორიაზე, ამ მხარეს ყოველთვის უამრავი მტერი პყავდა, ინგილოები ქართველები არიან, რომელთაც დღევანდლამდე შემოინახეს ქართული ენა და ქართული ტრადიციები, მათ დღესაც უდიდესი სიყვარული აკავშირებთ დანარჩენ ქართველებთან); რა არ შეეფერება სინამდვილეს („მეორე პერიოდი“, ანუ საქართველო, საინგილოდან გამოქვეულ ძმებს არ აუშენებიათ, იგი მანამდევც არსებობდა). მასწავლებლის მითითებით მოსწავლეები კითხვებს უსვამენ ტექსტში მონიშნულ მონაკვეთებს, რომელიც აღნიშნულია ციფრებით; ამ კითხვებზე პასუხებით ჯერ ზეპირად, შემდეგ კი წერილობით გადმოსცემენ ტექსტის შინაარსს („რვეული“, დავალებები №1, №4). ტექსტის გააზრებისა და მიღებული ინფორმაციის შესაჯამებლად სრულდება სავარჯიშოები („რვეული“, შეამოწმე შენი თავი – პასუხები: 1 ა), 2 გ), დავალებები №2 და №3).

## 1. მნობრივ მასალაზე დაკვირვება

ა) ლექსიკურ-ფრაზეოლოგიური მუშაობა – ახლად შესწავლილი ლექსიკური ერთეულებით წინადადებების შედგენა, ანდაზის („მდა ძმისოვისაო, შავი დღისოვისაო“) ანალიზი.

ბ) სინონიმებზე მუშაობა – („რვეული“, დავალება №6).

გ) ტექსტის კონსტრუირება („რვეული“, დავალება №5, პასუხები: 3, 1, 4, 5, 6, 2).

დ) სიტყვის სემანტიკაზე დაკვირვება („სახელმძღვანელო“, გვ. 15, მოცემული სიტყვებისათვის კითხვების დასმა).

**შედეგების კოდი:** III.2, III.4, III.6, III.7, III.10.

## გაპგეთილების მასალა

**მასალა: შოთა ნიშნიანიძის „ვაზის სიმფონია“,  
ქართული ანბანი. (2 სთ)**

### მიზნები

- პოეტური ტექსტის აღქმა
- გამომეტყველებითი კიოხვის ჩვევის დაუფლება
- ლიტერატურულ ჟანრებზე დაკვირვება
- ქართული ანბანის გაცნობა, ასოთა რიგი და მათი სრული სახელწოდებანი
- ანბანით სარგებლობა

### აქტივობები

- მოსწავლე კიოხულობს და აანლიზებს ტექსტს
- ვარჯიშობს გამომეტყველებით კიოხვაში
- წერს
- მუშაობს წყვილებში, ჯგუფურად, ინდივიდუალურად
- ეცნობა ქართულ ანბანს და ასოთა სრულ სახელწოდებებს
- პრაქტიკულად იყენებს ამ ცოდნას

### 1. ტექსტური მუშაობა

**ა) კიოხვისათვის მზადება – „გონებრივი იერიშის რუკის“ შევსება (საქართველო და მისი კუთხეები);**

**ბ) ტექსტის კიოხვა, გამომეტყველებითსა და ჩუმ კიოხვაში ვარჯიში;**

**გ) ტექსტის სათაურის დაკავშირება ტექსტის შინაარსთან (ტერმინ „სიმფონიის“ მნიშვნელობა მოსწავლეებმა უკვე უნდა იცოდნენ ხელოვნების გაკვეთილებიდან, მასწავლებელი ერთხელ კიდევ ხსნის და აზუსტებს ამ სიტყვის მნიშვნელობას, გაირკვევა, რას ნიშნავს ამ შემთხვევაში „სიმფონია“, რატომ არის დაკავშირებული იგი ვაზთან).**

**დამატებითი ინფორმაცია მასწავლებლისათვის – საქართველო ისტორიულად ვაზისა და დვინის ქვეყნად ითვლება, ჩვენში ვაზის კულტურა უძველესია, საქართველოში ვაზის 500-მდე ჯიშია გამოცემული. იქნებ სწორედ ამიტომაც ადარებდა ნოდარ დუმბაძე ვაზს საქართველოს და წერდა: „იქნებ ვაზია სამშობლო! აბა დააკვირდით! თუ დაბლარია, დაჩოქილმა უნდა დაკრიფო, თუ მაღლარია – ცაში ხდება აპერობილმა. თრთავე ხაოცრად ჰგავს ლოცვას. ლოცვა კი ისე არაფერს არ უხდება, როგორც სამშობლოს!“ (აქ შეიძლება გავიხსენოთ ვაზის ჯვარიც, რომლითაც მოინაოდა ქართველი ხალხი).**

**დ) ლექსის ანალიზი** – მხატვრულ სახეებზე დაკვირვება: რას ადარებს პოეტი საქართველოს ცალკულ კუთხეებს. ლექსის გააზრებისა და მიღებული ინფორმაციის შესაჯამებლად სრულდება სამუშაოები „რვეულში“ (ტესტი, პასუხი გ. დავალება №1); ლექსიკურ-ფრაზეოლოგიური მუშაობა – „რვეული“, დავალება №2.

## 2. მნობრივ მასალზე დაკვირვება

**ა) ქართული ანბანი და ასოთა სრული სახელწოდებანი** – „რვეული“, დავალებები №3, №4.

**შედეგების კოდი:** III.2, III.4, III.5, III.6.

გაკვეთილის: „როგორ გაიყვეს ძმებმა ქონება“ (აფხაზური ოქმულება), **სიტყვა – სულიერი საგნის აღმნიშვნელი** – დაგეგმვას (2 სო) მოლიანად მასწავლებელს ვანდობთ.

**„წაიკითხე თვითონ“** – საკითხავი ლიტერატურა „წიგნის სამყარო“, II თემა – „ჩვენი დედაისტორია“.

## გაპგეთილების მასალა

მასალა: „ვაზი და გლეხები“ (ლეონარდო და ვინჩის მიხედვით),  
სიტუაციის სემანტიკა (2 სთ)

### მიზნები

- კითხვის სტრატეგიების დაუფლება
- აზროვნებისა და მეტყველების განვითარება
- შინაარსის წერილობით გადმოცემაზე მუშაობა
- ტექსტის კონსტრუირება
- სიტყვის სემანტიკაზე დაკვირვება

### აქტივობები

- მოსწავლე კითხულობს და აანალიზებს ტექსტს
- გადმოსცემს მის შინაარსს როგორც თხრობით, ისე წერილობით
- მუშაობს ინდივიდუალურად და წყვილებში
- აღადგენს დეფორმირებულ ტექსტს
- ეუფლება კითხვის სტრატეგიებს
- აჯგუფებს სიტყვებს სემანტიკური ჯგუფების მიხედვით, უსვამს მათ კითხვებს

### 1. ტექსტის მუხლები

ა) კითხვისათვის მზადება – მოსწავლეები იხსენებენ იმ ინფორმაციას, რაც წინა გაპგეთილებზე მიიღეს ვაზის კულტურის შესახებ; ასახელებენ ვაზის ჯიშებს, საუბრობენ მის მოვლა-პატრონობაზე. მასწავლებელი აწვდის დამატებით ინფორმაციასაც.

ბ) მოსწავლეები კითხულობენ ტექსტს ჯერ ხმამაღლა, შემდეგ ჩუმად; ეძებენ უცხო ლექსიკურ ერთეულებს და კონტექსტის მიხედვით ხსნიან მათ. მასწავლებლის მითითებით ტექსტის თითოეულ მონაკვეთს (*რომლებიც წიგნში სპეციალური ნუმერაციით არის აღნიშნული*), უსვამენ კითხვებს (*წყვილებში მუშაობა, „რვეული,“ დავალება №1*), ამ კითხვების საშუალებით ჯერ ზეპირად, შემდეგ კი წერილობით (*„რვეული“, დავალება №2*) გადმოსცემენ ტექსტის შინაარსს.

ტექსტის ანალიზისა და დასკვნების გამოტანის მიზნით სრულდება ტესტები (პასუხები: 1 ბ, 2 გ).

გ) მარტივი დარგობრივი ტექსტის შექმნა – დავალება №3 (წერილობითი ობიექტების ძირითადი სიტყვების გამოყენებით).

დ) ტექსტის კონსტრუირება („რგეული,“ დავალება №4. პასუხები: 4, 1, 3, 5, 2).

ე) შეჯამება – როდის დაუშვა გლეხმა შეცდომა (როცა გაზაფხულზე გაზხსარები აღარ დაუყენა).

## 2. მნობრივ მასალაზე დაპირვენა

ლექსიკურ-ფრაზეოლოგიური მუშაობა – „რგეული,“ დავალება №5 (პასუხები: გულჭეთილი, გულმოწვალვ, გულჩივილი, გულმაგარი, გულთბილი, გულცივი...).

სიტყვის სემანტიკაზე დაკვირვება – შეავსონ კროსვორდი ტექსტიდან ამოკრე-ფილი საგნის თვისების აღმნიშვნელი სიტყვებით და დაუსვან მათ სათანადო კითხვა. („რგეული“, დავალება №6, პასუხები: სურნელოვანი, გამძლე, ნაზი, ტკბილი).

შედეგების კოდი: III.2, III.3, III.4, III.8, III.9.

## გაკვეთილების მასალა

მასალა: ნოდარ ღუმბაძის „შემოდგომის სურათი“,  
არსებითი სახელი (2 სთ)

### მიზნები

- პოეტური ტექსტის აღქმა
- გამომეტყველებითი კითხვის ჩვევის დაუფლება
- მხატვრულ სახეებზე დაკვირვება
- წაკითხულის დაკავშირება ილუსტრაციასთან, ლიტერატურულ და ფერწერულ ნაწარმოებებს შორის პარალელურის გავლება

### აქტივობები

- მოსწავლე კითხულობს და აანალიზებს ერთსა და იმავე ოქმაზე შექმნილ ლიტერატურულსა და ფერწერულ ნაწარმოებებს, ავლებს პარალელურის
- მათ შორის
- აფასებს მხატვრის მიერ შექმნილ ილუსტრაციას
- წაკითხული ნაწარმოების მიხედვით თავადაც ქმნის ილუსტრაციას
- წერს
- მუშაობს ინდიდვიდუალურად და წყვილებში

### 1. ტექსტზე მუშაობა

ა) კითხვისათვის მზადება – ტექსტის წაკითხვამდე მოსწავლე აკვირდება სახელმძღვანელოში მოთავსებულ ფიროსმანის სურათს „რთველი“, აანდიზებს წელიწადის რომელი დროა მასზე ასახული, ასაბუთებს თავის აზრს, აფიქსირებს, რისი გადმოცემა სურდა მხატვარს, რამდენად შეძლო მან ეს, ისესენებს ანალიგიურ თემაზე შექმნილ ლიტერატურულ თუ ფერწერულ ნაწარმოებებს (აქვე მასწავლებელმა შეიძლება დამატებითი ინფორმაცია მიაწოდოს ნიკო ფიროსმანის შესახებ).

**დამატებითი ინფორმაცია მასწავლებლისათვის** – ნიკო ფიროსმანა შვილი (ფიროსმანი), 1862-1918 წლები; საქოდალური სამხატვრო განათლება არ მიუდია, თავს აფარებდა თბილისებრ გაჭრებსა და მედუქნეებს, მათი შეკვეთით ქმნიდა ნახატებს, მოქლი ცხოვრება ვერ დააღწია თავი გაჭირვებას, გარდაიცვალა მარტოობაში ისე, რომ სიცოცხლეში აღიარება არ ღირსებია. მისი საფლავი უცნობია. ფიროსმანის შემოქმედების მიმართ ინტერესი განსაკუთრებით გაიზარდა XXსაუკუნის 50-იანი წლებიდან. ამჟამად მისი ნახატები ინახება ხელოვნების მუზეუმებში, აგრეთვე – კოლექციებში. მისი შემოქმედებისათვის განსაკუთრებით დამახასიათებელია სოფლის თემატიკა, სწორედ ამისი ერთ-ერთი ნიმუშია წარმოდგენილი ნახატი „რთველი“. იგი ჩვეულებრივ მუშამბაზე ხატავდა, მის სურათებზე ადგილი შესამჩნევია, რომ ავტორს საქოდალური განათლება არ მიუღია. მხატვრის სურათებში უპირველესად გამოხატულია მისი შინაგანი სიმართლე, უშუალობა, ხასიათი. სამართლიანად მიაჩნიათ, რომ

ფიროსმანი ეროვნულ ნიადაგზე აღმოცენებული მხატვარია. ამჟამად მისი სახელი ცნობილია საქართველოს ფარგლებს გარეთაც და საერთაშორისო ექსპერტების დიდი მოწონებით სარგებლობას. მის მშობლიურ სოფელში გახსნილია მხატვრის სახლ-მუზეუმი.

**ბ) ტექსტის კითხვა – მოსწავლეები გამომეტყველებით კითხულობენ ლექსს, აკავშირებენ სათაურს მის შინაარსონ, მსჯელობენ, რა განწყობით არის იგი დაწერილი, აკვირდებიან მხატვრულ სახეებს: „ეს ქარვით პირამდე ნავსები გოდორები“, „ეს გიშრით პირამდე ნავსები ურმები“, „მტევნები... ცრემლს დვრიან წუწუნით“, „ჭურები გმინავენ, ქშინავენ, ოკრებიან“... წერილობით ასრულებენ „რევულში“ მოცემულ №1 და №2 დავალებებს (ახალი ლექსიკური ერთულების პრაქტიკული გამოყენება, კითხვებზე პასუხი); ადარებენ ერთმანეთს ლექსსა და სურათს, შეაქვთ გარკვეული კორექტივები.\***

**გ) დარგობრივი ტექსტის შედგენა – „რევული“, დაგალება №3 (წელიწადის დროის აღწერა).**

**დ) ტექსტის კონსტრუირება – „რევული“, დაგალება №4 (პასუხები: 3, 1, 5, 2, 4).**

## 2. მნობრივ მასალაზე მუშაობა

**არსებითი სახელი –** მოსწავლეები ჯერ აკვირდებიან სურათზე გამოსახულ საგნებს და აჯგუფებენ სულიერი და უსულო საგნების სახელებს, შემდეგ ლექსიდან ამოიკითხავენ ასეთ სიტყვებს (გოდორი, ურემი, ღვინო, ცუტკარი, ბიჭები, ჯამები, ჭურები, საწნახელი), უსვამენ მათ სათანადო კითხვებს და განმარტავენ, რომელი მათგანი აღნიშნავს უსულო საგანს, სულიერს, რომელია მათში ადამიანის აღმნიშვნელი სახელები. აქვე ეძღვევა არსებითი სახელის განმარტება.

ამ ცოდნის გამოყენებით სრულდება „რევულში“ დაგალებები: №5 (პასუხები: ქარვა, სურათი, ღვინო, ცრემლი, საწნახელი, გიშრი) და №6 (სულიერი და უსულო არსებითი სახელების დაჯგუფება).

**შედეგების კოდი:** III.2, III.3, III.4, III.7, III.8, III.9.

---

\* სასურველია, მასწავლებელმა ეს მასალა დაუკავშიროს სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების გაკვეთილს და მოსწავლეებს შესთაგაზოს ოქმატური ხატვა „როველი“.

## გაკვეთილების მასალა

ლიდია მეგრელიძის „შემოდგომა ჩემს სოფელში“,  
არსებითი სახელი (3 სთ)

### მიზნები

- შემოდგომაზე ადამიანის შრომა-საქმიანობის გაცნობა
- საგნის (მოვლენის) აღწერა
- კითხვის მარტივი სტრატეგიების დაუფლება
- გაბმული მეტყველების განვითარება
- ლექსიკური მარაგის გამდიდრება
- ხელოვნების სხვადასხვა დარგის (ლიტერატურის, ფერწერის, მუსიკის)  
ინტეგრირებული აღქმა

### აქტივობები

- მოსწავლე აღწერს შემოდგომის შრომა-საქმიანობას
- კითხულობს
- ყოფს ტექსტს ნაწილებად და ასათაურებს
- წერს
- გადმოსცემს ტექსტის შინაარსს
- აკავშირდებს ეროვნული ლიტერატურულ, ფერწერულ და მუსიკალურ  
ნაწარმოებებს, ავლებს მათ შორის პარალელებს

## 1. ტექსტზე მუშაობა

**ა) კითხვისათვის მზადება** – მოსწავლეები იხსენებენ შემოდგომის შრომა-საქმიანობას, მასწავლებელი აწვდის დამატებით ინფორმაციასაც ამ ოქმის შესახებ; აღწერენ შემოდგომის სურათს სოფლად (იხსენებენ ნანახს, წაკითხულს, მოსმენილს), აქვე აკვირდებიან სახელმძღვანელოს 25-ე გვერდზე მოთავსებულ ქ. ახვლედიანის ნახატს „იმერეთი“, მსჯელობენ წელიწადის რომელი დროის გადმოცემა სურდა მხატვარს, როგორ შეძლო ეს (უკრებით...).

**2. ტექსტის კითხვა და ანალიზი** – მოსწავლეები ტექსტს კითხულობენ თავიდან ბოლომდე, გზადაგზა იხსენება გაუგებარი სიტყვები და გამოთქმები, ასახელებენ ნაწარმოებში ასახულ წელიწადის დროს (შემოდგომა), ადგილს (საქართველოს, კერძოდ, დასავლეთ საქართველოს, ერთ-ერთი სოფელი – მინიშნებები: ავტორის ლექსიკა

— ოდა, ჭუინტი სიმინდი..., სიმღერები — „დელი-ოდელა“, „რაშო-რერა“...), მოვლენებს (ადამიანის შრომა-საქმიანობა სოფლად: სიმინდის ტეხა, ხილის კრეფა, როველი, საზამთროდ შეშის მომარაგება...).

გ) **ლექსიკურ-ფრაზეოლოგიური მუშაობა** — ახლად შესწავლილი ლექსიკური ერთეულების გამოყენებით წინადადებების შედგენა, წინადადებებში ახლად შესწავლილი ლექსიკური ერთეულების ჩასმა („რვეული“, დავალება №1); არსებითი სახელები-სათვის სათანადო ზმნებისა და („რვეული“, დავალება №2) ზედსართავი სახელების (დავალება №6) შერჩევა.

დ) **ტექსტის შინაარსის გადმოცემა კითხვებზე პასუხითა და გაბმული თხრობით.**

ე) **ჩუმი კითხვა** (ტექსტის დაყოფა ნაწილებად და თითოეული ნაწილისათვის სათაურის შერჩევა („რვეული“, დავალება №2).

ვ) **გამომუტყველებით კითხვაში გარჯოში.**

ზ) **ტექსტის გააზრება** — ტექსტური დავალება (სწორი პასუხია ვ), მოთხრობის მიხედვით წერილობითი თხზულების შედგენა („რვეული“, დავალება ვ).

## 2. მნობრივ მასალაზე დაკვირვება

ტექსტში არსებითი სახელების მოძებნა და მათვის კითხვების დასმა, მათი დაჯგუფება სულიერთა და უსულოთა მიხედვით („რვეული“, დავალება ვ).  
ეპითეტებზე დაკვირვება — დავალება №6.

**შედეგების კოდი:** III, III2, III4, III7, III9.

მასალის: **ქეთევან ჭილაშვილის „ერთი – შენ, ერთი – მე“** დაგეგმვას მოლიანად მასწავლებელს ვანდობთ (2 სო).

## გაპგეთილების მასალა

ედუარდ სეტონ თომჩისონი, „რატომ კარგავენ წივწივები წელიწადში ერთხელ გონებას“, არსებითი სახელი (3 სთ)

### მიზნები

- საუბარი გადამფრენსა და ჩვენში მოზამთრე ფრინველებზე
- კითხვის მარტივი სტრატეგიების დაუფლება
- გაბმული მეტყველების უნარ-ჩვევების ფორმირება, ლოგიკური თანმიმდევრობით თხრობა
- ლექსიკური მარაგის გამდიდრება
- საკუთარი აზრის დასაბუთება
- სიტყვათა დაჯგუფება ენობრივ-გრამატიკული ნიშნების მიხედვით

### აქტივობები

- მოსწავლე ეცნობა ჩვენში მოზამთრე ფრინველებს
- კითხულობს ტექსტს
- ყოფს მას ცალკეულ ნაწილებად და ასათაურებს
- გადმოსცემს ტექსტის შინაარსს
- წერს
- გამოთქვამს და ასაბუთებს თავის აზრს
- ეუფლება ახალ ლექსიკურ ერთეულებს, მეტყველებაში პრაქტიკულად იყენებს მათ
- აჯგუფებს არსებით სახელებს რიცხვის მიხედვით

## I. ტექსტური მუშაობა

**ა) კითხვისათვის მზადება:** მასწავლებელი კლასს ყოფს სამ ჯგუფად და თითოეულ ჯგუფს აძლევს დავალებას – გაიხსენონ რა იციან გადამფრენი და ჩვენში მოზამთრე ფრინველების შესახებ (ჯგუფური მუშაობა).

დამატებითი ინფორმაცია მასწავლებლისათვის – ჩვენში მოზამთრე ფრინველების რიცხვს განეკუთვნება წიგწივა, ბეღურასნაირობა ოჯახის წარმომადგენელი; ტანად მომცროა, სიგრძე 12-12 სმ, მასა – 7-25 გრ. ბინადრობს ტყეებში, ბადებში, პარკებსა და ბუჩქნარებში. გავრცელებულია ევროპაში, აზიაში, აფრიკაში, ამერიკაში. საქართველოში გვხვდება დიდი წიგწივასა და ულვაშა წიგწივას სახეობები. შეტანილია „წითელ წიგნში“.

**ბ) ტექსტის სანიმუშო კითხვა, ლექსიკურ-ფრაზეოლოგიური ანალიზი;**

გ) ჩუმი კითხვა, ტექსტის დაყოფა ცალკეულ ნაწილებად დ მათთვის სათაურების შერჩევა – დავალება №4 (საორიენტაციო დასათაურება: ზამთრის მოახლოება; უდარღელი წიგწივები; ზამთარი ტყები; წიგწივები გაზაფხულის მოლოდინში; წიგწივები გვიან შემოდგომაზე...);

დ) ტექსტის შინაარსის გადმოცემა კითხვებზე პასუხით, გეგმის მიხედვით (რვეული, დავალება №1, დავალება №4);

ე) ტექსტის გააზრება (რვეული, ტესტური დავალებები, პასუხები: 1ბ, 2ა, დავალება №2);

ვ) წერილობითი თხზულება „ზამთრის მოახლოება“ (რვეული, დავალება №3).

ეძლევა დასკვნა: „ზმნა მხოლობით რიცხვშია, თუ ის მხოლოდ ერთი საგნის მოქმედებას გამოხატავს; ზმნა მრავლობით რიცხვშია, თუ ის ერთზე მეტი, მრავალი საგნის მოქმედებას გამოხატავს“.

აქვე პრაქტიკულად დავაკვირვებთ რიცხვში მონაცვლე „ზის“ და „სხედან“ ზმნებზე. ამ მიზნით გამოვიყენებთ სახელმძღვანელოს ამავე გვერდზე მოცემულ რუბრიკას „განაგრძეთ“. ამ ცოდნის გამოყენებით სრულდება მე-5 და მე-6 დავალებები.

**ბ) ორთოგრაფიაში ვარჯიში –** დავალება №7.

**შედეგების კოდი:** III 1, III 2, III 3, III 5, III 6, III 7, III 10.

## გაკვეთილების მასალა

„მე თვითონ“ (ნ. ნოსოვის მიწედვით), სხვადასხვა პირში თხრობა; ზმნური ფორმაციების მარტივი შემთხვევები, ზმნის კითხვები (2 სთ)

### მიზნები

- ლიტერატურული ტექსტის კითხვა და ანალიზი
- საკუთარი აზრის დასაბუთება
- ლოგიკური თანმიმდევრობით თხრობა
- კითხვის მარტივი სტრატეგიების დაუფლება
- ლიტერატურული პერსონაჟის დახასიათება
- სხვადასხვა პირში თხრობა
- ზმნის უღლების მარტივ შემთხვევებზე დაკვირვება (პრაქტიკულად, სათანადო ტერმინების მიწოდების გარეშე)

### აქტივობები

- მოსწავლე კითხულობს და აანალიზებს ლიტერატურულ ტექსტს
- აკეთებს დასკვნებს, ასაბუთებს თავის აზრს
- გადმოსცემს წაკითხულის შინაარსს სხვადასხვა (I და III) პირში
- მარტივად ახასიათებს ლიტერატურულ პერსონაჟს
- წერს
- აჯგუფებს ზმნებს კითხვების მიხედვით
- აკვირდება ზმნური ფორმაციების მარტივ შემთხვევებს

### 1. ტექსტური მუშაობა

**ა) კითხვისათვის მზადება – შეიძლება წარიმართოს ორგვარად:** 1) მოსწავლეები ადგენერ ზეპირ თხზულებას სახელმძღვანელოში მოცემული სურათის მიხედვით, 2) მასწავლებელი ტექსტს ხსნის მათემატიკურ მასალასთან ინტეგრაციით: მოსწავლეები იმეორებენ გამრავლებისა და გაყოფის მარტივ შემთხვევებს. არჩევანი ამ შემთხვევაში მასწავლებლისათვის მიგვინდია.

**ბ) ტექსტის კითხვა – ტექსტს თავიდან ბოლომდე კითხულობს მასწავლებელი, შემდეგ კი – მოსწავლეები. გამოიყენება როგორც ხმამაღალი, ისე ჩუმი კითხვა. ჩუმი კითხვის პროცესში მოსწავლეები ტექსტს ყოფენ ცალკეულ ნაწილებად და ასათაურებენ (დავალება №4).**

მოსწავლეთა მიერ ამოიხსნება ტექსტში მოცემული ამოცანა და შედგება სათანადო გამოსახულება.

**გ) ტექსტის ანალიზი** – გაირკვევა ვინ მოგვითხრობს ამ ამბავს, ვინ არის ნაწარმოების მთავარი გმირი (ლაშა), მის გარდა კიდევ რომელი ლიტერატურული პერსონაჟია გამოყვანილი ნაწარმოებში (ლაშა და ლიკა), ლაშას რა თვისებები ჩანს ამ მოთხრობაში (ასაძუთებელ ტექსტიდან), მარტივად დაახასიათებენ ლაშასა და ლიკას (ტექსტის მიხედვით), განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდება ფრაზაზე: „ხულხება ადამიანი გაეხდი!“ გაირკვევა, რას გულისხმობს ამ შემთხვევაში „ხება ადამიანი“, რამ შეცვალა ლაშა, როგორ წარმოოქვამს იგი ამ სიტყვებს (ხიამაყით), რამ გამოიწვია მასში ეს გრძნობა... შესრულდება ტესტური დავალება (სწორი პასუხია გ). წყვილებში კი შესრულდება დავალება №3.

**დ) ტექსტის შინაარსის გადმოცემა** – მოსწავლეები ტექსტის შინაარსს გადმოსცემენ ჯერ I დონის კითხვების მეშვეობით (– რა გაუხარდა ლაშა? – რას ფიქრობდა იგი? – რა ხოხოვა შინმისულ ლაშას დაიკომ? – რისი იმედი პქონდა ლაშას? – რა გაუკირდა მას?...), შემდეგ კი – გაბმული თხრობით. წერილობით სრულდება დავალება №2.

## 2. მნიშვნელოვანი დაკვირვება

**ა) მარტივი დარგობრივი ტექსტის შექმნა** – დავალება №1 (შეადგინე მსგავსი ამოცანა და ამოხსევი).

**ბ) სხვადასხვა პირში თხრობა** – მოსწავლეები აკვირდებიან, ვინ მოგვითხრობს ტექსტში გადმოცემულ ამბავს, ცდილობენ თავი წარმოიდგინონ ავტორის როლში და ისე გადმოგვცენ მისი შინაარსი.

**გ) ზმის ფორმაციების მარტივ შემთხვევებზე დაკვირვება** – დავალება №5.

**დ) ორთოგრაფიაზე ვარჯიში** – დავალება №6.

**შედეგების კოდი:** III2, III 3, III4, III5, III6, III7, III8, III10.

„წაიკითხე თვითონ“ – „ძმა ძმისთვისაო...“ („წიგნის სამყარო“, VI თემა).

ვაჟა-ფშაველას ლექსის „ბიჭობა განა ღონეა!“ და 2 კვირეული საათის დაგეგმვას მთლიანად მასწავლებელს ვანდობთ.

## გაპგეთილების მასალა

„სამასი თავდადებული გლეხი“ (ი. გოგებაშვილის მიხედვით),  
სიტუაციის პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობა, ზმნის რიცხვი (2 სთ)

### მიზნები

- ისტორიული სტატიის კითხვა და ანალიზი
- წაკითხულის გააზრება და დასკვნების გამოტანა
- მარტივი საგანმანათლებლო ინფორმაციის მიწოდება და შეჯამება
- კითხვის სტრატეგიების დაუყვლება
- სიტუაციის პირდაპირსა და გადატანით მნიშვნელობაზე დაკვირვება
- ზმნის მხოლობითი და მრავლობითი რიცხვის ფორმების მართებულად გამოყენება მეტყველებაში
- ლოგიკური თანმიმდევრობით თხრობა

### აქტივობები

- მოსწავლე კითხულობს ისტორიულ სტატიას
- აჯამებს მარტივ საგანმანათლებლო ინფორმაციას
- ასაბუთებს თავის აზრს
- გაძმული თხრობით ზეპირად და წერილობით გადმოსცემს წაკითხულის შინაარსს
- წერს
- ეუფლება კითხვის სტრატეგიებს
- ადადგენს დეფორმირებულ ტექსტს
- იყენებს მართებულად ზმნის მხ. და მრ. რიცხვის ფორმებს მეტყველებაში

## I. ტექსტური მუშაობა

**ა) კითხვისათვის მზადება** – მასწავლებელი კლასში სვამს კითხვას: რა არის გმირობა? რომელი ქართველი გმირების შესახებ სმენიათ? რა იციან გმირი მეფეების შესახებ? რა იციან მეფე ერეკლეს შესახებ?

**დამატებითი ინფორმაცია მასწავლებლისათვის:** ერეკლე მეფე, იგივე ერეკლე II, ქართლ-კახეთის გაერთიანებული სამეფოს მმართველი, ცხოვრობდა 1720-1798 წლებში, დაკრძალულია მცხეთაში, სვეტიცხოველში. აერთიანებდა ქართლისა და კახეთის ბაგრატიონების ორივე შტოს. 1747 წელს მამამისთან, ოფიშერაზე II-სთან ერთად, რომელიც ამ დროს ქართლის მეფე იყო, გაათავისუფლა თბილისი ირანელი დამპყრობლებისაგან. 1762 წელს, მამამისის გარდაცვალების შემდეგ, გააერთიანა ქართლ-კახეთის სამეფოები, რაც საქართველოს ცენტრალურაციისა და გაძლიერებისაქენ გადადგმული ნაბიჯი იყო. გაატარა მნიშვნელოვანი რეფორმები, კერძოდ, აკრძალა ტევზებით ვაჭრობა, შექმნა მორიგეობის პრინციპებით დამყარებული ქართული ჯარი, აღაგმა ლეკიანობა, რაც უდიდეს ზიანს აქციებდა ქვეყნას; იღვწოდა მრეწველობის განვითარებისათვის, გაჩნდა პირების ფაბრიკები და ქარხნები (შაქრის, მინის, იარაღის...), განავითარა სამთამართო წარმოება (სპილენძის, ვერცხლის, ოქროს... მოპოვება), განახლდა ზარაფხანა, გახშირდა წიგნების ძეგლება, დააარსა სემინარიები, გარს შემოიკრიბა კულტურის

მოდგაწეოდა დასი. ისტორიაში შევიდა როგორც ნიჭიერი მხედართმთავარი, რომლის სახელთანაც დაკავშირებულია ქართული ჯარის არაერთი ბრწყინვალე გამარჯვება. სიცოცხლის დიდი ნაწილი მან ლაშქრობაში გაატარა და ხშირად უბრალო ჯარისკაციებით ცხოვრობდა. ხალხმა მას სიუფარულით „პატარა კახი“ უწოდა. მის სახელს უკავშირდება აგრეთვე პრორუსული თრიუმბაციის გაძლიერება საქართველოში, რაც გამოწვეული იყო მუსულმანური სახელმწიფოების განუწყვეტელი თავდასხმებით. მოცემულ ნაწარმოებში („სამახი თავდადებული გლეხი“) ხწორედ ერთ-ერთი ასეთი ბრძოლაა აღწერილი – 1795 წელს თბილისზე აღა-მაჭად-ხანის გამოლაშქრება. ბრძოლა კრწანისის ველზე გაიმართა. ეს ბრძოლა, სამწუხაროდ, ქართველთა დამარცხებით დამთავრდა.

**ბ) ტექსტის კითხვა და ანალიზი** – ტექსტს თავიდან ბოლომდე კითხულობს მასწავლებელი, შემდეგ მოსწავლეები კითხულობდენ ნაწილ-ნაწილ და ამ პროცესში სსნიან გაუგებარ სიტყვებსა და გამოთქმებს. ტექსტის დამუშავება ხდება **ინდუქციური** გზით – ცალ-ცალკე დამუშავდება და გაანალიზდება თითოეული მონაკვეთი. გაირკვევა, რომელი ბრძოლაა მასში აღწერილი, როდის მოხდა ნაწარმოებში აღწერილი მოქმედება, რომელი ისტორიული გმირია მასში გამოყვანილი, რატომ პქვია ამ ნაწარმოებს „სამასი თავდადებული გლეხი“, ქართველი მებრძოლების რა თვისება ჩანს ამ თხზულებაში, რა იყო ამ შემთხვევაში ქართველთა დამარცხების მიზეზი, რამდენად შეეფერება ამ ტექსტს აფორიზმი „სჯობს სიცოცხლესა ნაზრახსა სიკვდილი სახელოვანი“, თავდა ხომ არ გაიხსენებენ შესაბამის ანდაზებს... მოოხრობის მთავარი აზრი რომელი სტრიქონით არის გადმოცემული („ან გამარჯვება მტერზე, ან სიკვდილი ბრძოლის ველზე!“).

ტექსტის გააზრებისა და საკუთარი აზრის დასაბუთებისათვის სრულდება ტესტური დავალება (ხწორი პასუხია ა) და დავალება №4.

**გ) შინაარსის გადმოცემა** – მოსწავლეები ჩუმად კითხულობენ ტექსტს, ყოფენ ნაწილებად და ასათაურებენ (დავალება №2), შემდეგ კი ამ გეგმის მიხედვით გადმოსცემენ წაკითხულის შინაარსს ჯერ ზეპირად და შემდეგ – წერილობით (დავალება №3).

## 2. მნიშვნელოვანი დაგვირვებები

**ა) ტექსტის კონსტრუირება** – დავალება №5 (პასუხები: 3,2,1,5,4).

**ბ) ზმის მხ. და მრ, რიცხვის ფორმებზე დაკვირვება და წერით მეტყველებაში გამოყენება** – დავალება №5 (პასუხები: ესხმოდა, ზოგავდნენ, იმრძოდა, დამარცხდა, უჩვენა).

**გ) სიტყვის გამოყენება პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობით** – ციფრ უარი – ციფრ წყალი. გაირკვევა, რას აღნიშნავს პირველ შემთხვევებაში ეს სიტყვა და რას აღნიშნავს იგი II მაგალითში.

**შედეგების კოდი:** III 2, III 3, III 4, III 6, III 9, III 10.

(აქ 1 სო-ს მასწავლებელს ვუტოვებთ თავისუფალი მუშაობისათვის).

## გაპგეთილების მასალა

ლავრენტი ჭიჭინაძის „ნადირ-შაჰის ხმალი“;  
საგნის თვისების აღმნიშვნელი სიტუა, მისი კითხვები (2 სთ)

### მიზნები

- სტატიის კითხვა და ანლიზი
- პერსონაჟების მარტივად დახასიათება
- საკუთარი აზრის დასაბუთება
- გაბმული თხრობის ჩვევის დაუფლება
- ლექსიკური მარაგის გამდიდრება
- მიღებული საგანმანათლებლო ინფორმაციის შეჯამება („გიცოდი, გავიგა, მინდა ვიცოდე“)
- საგნის თვისების გამომხატველ სიტყვებზე დაკვირვება და მათვის კითხვების მისადაგება

### აქტივობები

- მოსწავლე კითხულობს და აანალიზებს ტექსტს
- აკეთებს დასკვნებს, ასაბუთებს თავის აზრს
- აჯამებს საგანმანათლებლო ინფორმაციას
- მუშაობს წყვილებში
- წერს
- აკვირდება საგნის თვისების გამომხატველ სიტყვებს და უსვამს მათ კითხვებს
- იყენებს ახალ ლექსიკურ ერთეულებს პრაქტიკულად
- ვარჯიშობს მართლწერაში

### 1. ტექსტზე მუშაობა

ა) კითხვისათვის მზადება – მასწავლებელი სვამს კითხვას: რა გმირობა შეიძლება გამოიჩინოს მებრძოლმა ბრძოლის ველზე? (ეს მუშაობა შეიძლება ჩატარდეს ჯგუფურადაც).

დამატებითი ინფორმაცია მასწავლებლისათვის – ნადირ-შაჰი: ირანის შაჰი 1736-1747 წლებში. ხელმძღვანელობდა ირანული ხალხის ბრძოლას ავღანელებისა და ოსმალების წინააღმდეგ. 1737-1738 წლებში დაღაშერა ჩრდილოეთ ინდოეთი, 1739 წლს აიღო ქალაქი დელი. ამ ბრძოლაში მას, როგორც მოკავშირე, ერეკლეც ახლდა, რომელიც ჯერ კიდევ არ იყო მეფე. დამპყრობლური თმების შედეგად შეიქმნა ირანის უხარმახარი სახელმწიფო, რომელშიაც ირანის პროვინციების გარდა, შევიდა ხომხოთი, აზერბაიჯანი, აღმოხავდეთ საქართველო, დაღებრანი...

**ბ) ტექსტის კითხვა და ანალიზი** – ტექსტს პაუზებით კითხულობს მასწავლებელი, პაუზებს აკეთებს იქ, სადაც თვითონ ჩათვლის საჭიროდ. პაუზებით კითხვის პროცესში იხსნება გაუგებარი სიტყვები და გამოთქმები. კითხვაში ვარჯიშის შემდეგ მოსწავლეები ახლად შესწავლილი სიტყვებისა და გამოთქმების გამოყენებით ადგენენ წინადაღებებს, იყენებენ მათ სათანადო კონტექსტში, ასრულებენ I დავალებას (პასუხები: **შაჟები, ფიცხელი, საჭურველი**).

გაანალიზდება, ვინ ნადირ-შაჟი, ვის წინააღმდეგ იძრძოდა იგი, რატომ გამოესარჩდა ერეკლე ინდოელ მხედარს, მისი რა თვისება ჩანს ამ მოთხოვბაში, რა მოეწონა ნადირ-შაჟს და რატომ დაასაჩუქრა ერეკლე... ავლებენ პარალელს ადრე წაკითხულ ნაწარმოებებთან, მარტივად ახასიათებენ ლიტერატურულ პერსონაჟებს. ტექსტის გააზრებას ემსახურება ტესტური დავალება (სწორი პასუხია ბ), აგრეთვე დავალება №4.

**გ) ჩუმი კითხვა** – მოსწავლეები ჩუმად კითხულობენ ტექსტს და ასათაურებენ. სრულდება დავალება №3 (სავარაუდო სათაურები: ბრძოლა ინდოელებთან, ქართველი მეომრის სურვილი, ერეკლეს სიტყვები, ინდოელის მადლიურება, ნადირ-შაჟის საჩუქრი).

**დ) გაბმულ თხოობაზე მუშაობა** – ამ მიზნით გამოიყენება როგორც მოსწავლეთა მიერ შედგენილი გეგმა, ისე ფაქტობრივ მასალაზე ორიენტირებული კითხვები. წერილობით სრულდება დავალება №2.

**ე) შეჯამება** – დავალება №5.

## 2. მნობრივ მასალზე დაკვირვება

**ა) საგნის თვისების გამომხატველ სიტყვებზე დაკვირვება** – მოსწავლეები კითხულობენ წინადაღებას: „ინდოელების წინააღმდეგ ფიცხელი ბრძოლა გაიმართა“, ეძებენ მასში სიტყვას, რომელიც უპასუხებს კითხვაზე **როგორი?** აფიქსირებენ, რომელ სიტყვას დაერთვის იგი (არსებით სახელს – **ომი**), რას გამოხატავს იგი (როგორია არსებითი სახელი). ეძებენ ტექსტში სხვა სიტყვებს, რომლებიც ამავე კითხვაზე უპასუხებენ და არსებითი სახელის ამა თუ იმ ნიშან-თვისებას გამოხატავს (კარგი, ძვირფასი, ერთგული, გაოცემული...).

**ბ) მცდარი ფორმების გასწორება** – დავალება №6 (შეცდომებია სიტყვებში: წინააღმდეგ, მამაცურად, იძრძოდნენ, ვაჟკაცობა, თავდადებული, საჩუქრად).

**შედეგების კოდი:** III2, III3, III4, III5, III6, III7, III10.

ი. გოგებაშვილის „ცხრა ძმა ხერხეულიძისა“ და 3 კვირეული საათის დაგეგმვას მოლიანად მასწავლებელს განდობთ.

## გაპგეთილების მასალა

თამარ მეფე, იაკობი გოგებაშვილის მიხედვით; ზედსართავი სახელი,  
კითხვა როგორი? (3 საათი)

### მიზნები

- სტატიის კითხვა და ანალიზი
- ადრე შესწავლილ მასალასთან პარალელის გავლება
- თამარ მეფის შესახებ მარტივი საგანმანათლებლო ინფორმაციის მიწოდება და შეჯამება
- ლოგიკური თანმიმდევრობით თხრობა
- ზედსართავი სახელის რაობის გაცნობა

### აქტივობები

- მოსწავლე კითხულობს და აანალიზებს ტექსტს.
- აჯამებს საგანმანათლებლო ინფორმაციას და აკეთებს დასკვნებს
- ეცნობა ზედსართავი სახელის რაობასა და მის კითხვებს
- პრაქტიკულად იყენებს ამ ცოდნას
- მუშაობს ინდივიდუალურად, წყვილებსა და ჯგუფებში
- წერს

## I გაპგეთილი

### 1. ტექსტზე მუშაობა

#### ა) კითხვისათვის მზადება (7-8 წუთი):

მასწავლებელი ჯგუფური მუშაობით არკვევს, რა ინფორმაციას ფლობენ მოსწავლეები საქართველოს მეფეების შესახებ. საუბრობენ დავით აღმაშენებლის, ერებლე მეფის შესახებ შესწავლილი მოთხრობების: „მეფე მწიგნობარი“, „ნადირ-შაჰის ხმალი“, „ცხრა ძმა ხერხეულიძე“ – მიხედვით.

განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა ინფორმაციას თამარ მეფის შესახებ:

დამატებითი ინფორმაცია მასწავლებლისათვის – თამარის მამა გიორგი III იყო დავით აღმაშენებლის შვილი შვილი. გიორგი მეფე ვაჟი არ ჰყავდა და ტახტის მემკვიდრე მისი ერთადერთი ასული თამარი იყო. გიორგი შემობდა, რომ მისი გარდაცვალებისთანავე დიდგვაროვნები მისი ასულის გამეფებას წინ აღუდგებოდნენ. ამიტომ მან 1178 წელს თვითონვე აკურთხა თამარი მეფედ. 1178-1184 წლებში მამა-შვილი ერთად მართავდა ქვეყანას, ხოლო მამის გარდაცვალების შემდეგ თამარი ერთად კოროვნული მმართველი გახდა. მისი გამეფებისთანავე ფეოდალურმა არისტოკრატიამ დაიწყო ბრძოლა დაკარგული პრივილეგიების აღსაღებად. თამარი იძულებული იყო, ზოგი რამ დაეთმო, გადააყენა გიორგი III-ის მიერ აღზევებული უერთგულების მოხელეები. ამის შემდეგ მეფის ხელისუფლების

შეზღუდვის მოთხოვნით გამოვიდა მჯგურჭლეთუხუცესის დასი. მეფემ დიდი დიპლომატიური ტაქტი გამოიჩინა. მოლაპარაკებით, დათმობით, შეთქმულთა შორის უთანხმოების ჩამოგდებით... თანდაოთან დააშოშინა მემონა მემონაშეგები. თამარმა აჯანყებულებთან მოსალაპარაკებლად თარი დირსეული ქართველი მანდილოსანი: კრაგაი ჯაყელი და ხუშავ ცოქალი გაგ ზავნა. მანდილოსნებმა დავალება წარმატებით შეასრულებ.

გავლენიან ფეოდალთა ერთმა ჯგუფმა თამარს მისი სურვილის წინააღმდეგ შერთო კლადიმერ-სუზდალის დიდი მთავრის – ანდრია ბოგოლიებესის – ვაჟი, იური. ორნახევარი წლის შემდეგ თამარი განქორწინდა და იური საქართველოდან განდევნებ. იურის მოწვევისა და შემდეგ განდევნის მიზეზი უნდა იყოს მეფისა და მისი მოწინააღმდეგე ფეოდალების ინტერესების დაპირისპირება და ის შიდა-კლასობრივი ბრძოლა, რაც თამარის მეფობის პირველ წლებში გამწვავდა. პირველი დამარცხების შემდეგ თანდაოთან განიმტკიცა პოზიციები და მაღალ თანამდებობებზე თავისი მომხრეები დააწინაურა. 1189 წელს იქორწინა თს უფლისწულზე, ბაგრატიონთა შთამომავალ დავით სოსლანზე, რომელიც საქართველოს სამეფო კარზე იყო აღზრდილი თამარის მამიდის რუსულანის მიერ. მისგან შეეძინა თრი შვილი – ლაშა და რუსულანი.

თამარის ქმარყოფილმა გიორგი რუსმა ორჯერ სცადა საქართველოში დაბრუნება და გამეფება, მაგრამ თრივეჯერ დამარცხდა.

შინაგანი პოლიტიკური ბრძოლის გამარჯვებით დამთავრების შემდეგ მეფე თამარმა მთავარი უკრადღება საგარეო საქმეებზე გადაიტანა. თურქთა წინააღმდეგ 1195 წელს შამქორთან ბრძოლაში ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა. 1203 წელს დაამარცხეს რუმის სულთნის რუქნადინის ლაშარი (ბასიანის ბრძოლა). თამარის მეფობის დროს საქართველოში ფართო მასშტაბის სამუშაოები ჩატარდა – აშენდა გზები, ხიდები, ციხესიმაგრეები, სასახლეები, კალესია-მონასტრები. მფარველობას და მატერიალურ დახმარებას უწევდა ქართული კულტურის ცენტრებს ქვეყნის შიგნით და საზღვარგარეთ. ძალისხმეული არ იშეუძლია მეცნიერების, პოეზიის, ხელოვნების მესვეურთათვის. ისტორიულები და პოეტები ხელმისაწვდებელ მას. თამარი იქცა ქართველი ხალხის სათაყვანებელ პიროვნებად. ყველაზე მეტი პოემა, ლექსი და ლექსები თამარისადმია მიძღვნილი (ჩატარებისა და შავთელის უდები, შ. რუსთაველის „ვეფხისტევაოსანი“).

ჯართულმა კალესიამ თამარი წმინდანად შერაცხა.

### **ბ) ტექსტის კითხვა და ანალიზი (15-20 წუთი)**

ტექსტის კითხვას იწყებს მასწავლებელი და განაგრძობს კითხვაში გაწაფული ერთი ან ორი მოსწავლე, რის შემდეგაც იწყება ტექსტის განმეორებითი კითხვა ნაწილ-ნაწილ და უცნობი სიტყვებისა და გამოთქმების ანალიზი. უცნობ სიტყვებს ასახელებენ მოსწავლეები და თვითონვე განმარტავენ. მასწავლებელი ეხმარება სიტყვათა განმარტების დაზუსტებაში. აისხება სიტყვები და გამოთქმები:

**ლირსება** – დადებითი თვისება; **რკინისებრი ხასიათი** – მტკიცე ხასიათი; **დიდგვაროვანი** – საზოგადოების მაღალი ფეხის წარმომადგენელი, თავადი; **დაშოშმინება** – დაწყნარება, დამშვიდება. **შიშის ზარი დასცა** – ძალიან შეაშინა; **წარილი** – სურვილი; **აელაგმა** – აქ: დაემარცხებინა; **დაუცხრომლად იღვწოდა** – დაუდალავად ზრუნავდა.

აქვთ მოსწავლეთა მიერ მოხდება უცნობი სიტყვებისა და გამოთქმების გათვალისწინება – სხვადასხვა წინადადებაში მათი გამოყენება.

ტარდება **გამოკრებითი კითხვა**. ამ დროს სასურველია, გამოვიყენოთ ჯგუფური მუშაობა. კლასი იყოფა სამ ჯგუფად: თითოეულმა ჯგუფმა უნდა ამოიკითხოს ტექსტიდან პასუხები შემდეგ დავალებებზე:

#### **I ჯგუფი**

- თამარის მშობლები;
- დიდგვაროვნების აჯანყება.

## **II ჯგუფი**

- აჯანყებულთა დაშოშმინება;
- გარეშე მტრების ალაგმვა.

## **III ჯგუფი**

- თამარის ზრუნვა ქრისტიანობის გაძლიერებისათვის;
- თამარისდროინდელი ძლიერი საქართველო.

### **გ) ორთოეპიასა და ორთოგრაფიაზე მუშაობა (4 წუთი)**

- მასწავლებელი პრაქტიკულად ავარჯიშებს მოსწავლეებს ტექსტში მოცემული ორთოგრამების სწორად წარმოთქმასა და მართლწერაზე: გააძლიერა, სახელმწიფოდ, გადააქცია, მბრძანებლის, ბრწყინვავდა, შეხვდა, ააცილა, შეცდნენ, დაამარცხა, საბოლოოდ, ბრწყინვალე, აგრძნობინა, იღვწოდა, შეიქმნა, საბრძანებელში...
- ყურადღება მახვილდება რთული სიტყვების მართლწერაზე.

#### **ერთად იწერება:**

არაერთხელ, არაერთგზის, სისხლისღვრა, კაცომოყვარე.

#### **ცალკ-ცალკე იწერება:**

შიშის ზარი, არც ერთი.

#### **დეფისით იწერება:**

ეკლესია-მონასტერი.

### **დ) ლექსიკური მუშაობა (4 წუთი)**

წინადაღებებში ახლად შესწავლილი ლექსიკური ერთეულების ჩასმა („აქტივობების რვეული“, დავალება №1).

წინადაღებები ასეთ სახეს მიიღებს:

1. მეფე თამარი მრავალი დირსებით იყო შემკული.
2. მეფე გიორგის რეინისებრი ხასიათი პქუნდა.
3. დიდგვაროვნებმა აჯანყების მოწყობა სცადეს.
4. დირსეულმა ქალებმა აჯანყებულები დაა შოშმინეს.
5. თამარმა საქართველოს გარეშე მტრები ალაგმა.

**ე) შეჯამება (3-4 წუთი).** მოსწავლეები აჯამებენ, რა გაიგეს ახალი ამ გაკვეთილზე (გაეცნენ თამარის გამეფებას, თამარის მშობლებს, თამარის მიერ შინაური მტრების დაშოშმინებას, გარეშე მტრების ალაგმვას, თამარის დამოკიდებულებების ეკლესია-მონასტერის, განათლებისა და კულტურისადმი, ქვეყნის გაძლიერებას თამარის დროს...).

**ვ) შეფასება (2-3 წუთი) –** გაკვეთილის ბოლოს მასწავლებელი კლასთან ერთად აფასებს რამდენიმე მოსწავლეს. შეფასებისას აუცილებლად ითვალისწინებს შემდეგ პარამეტრებს:

– პრაქტიკული მუშაობა (ორგანიზებულობა, შემოქმედებითობა, მასალის ფლობა) – 40%; მსჯელობა კლასში (აქტიურობა, პარტნიორობა და ჯგუფთან მუშაობა – კითხვებზე ამომწურავი პასუხების გაცემა) – 35%.

პრეზენტაცია (საკუთარი აზრის დასაბუთება, კორექტირება) – 25%.

**ზ) საშინაო დაგალება (2 წუთი) – „თამარ მეფე“, ტექსტის მონიშნონ ადგილი, რომელმაც ყველაზე მეტად დააინტერესოს.**

**წერითი სამუშაო:** ტექსტის მიხედვით დაწერონ „აჯანყების დაშოშმინება“ („აქტივობების რვეული“, დაგალება №4).

### **შედეგების კოდი: III1, III2, III4, III9.**

## **II ბაპვეთილი**

### **ა) ტექსტზე მუშაობა**

1) კიოხვა (8-10 წთ) – მოსწავლეები კიოხულობენ ტექსტს. ყურადღება მახვილდება სწორი, შეგნებული, გამომეტყველებითი და სწრაფი კიოხვის მხარეებზე, გამოიყენება კიოხვის სხვადასხვა სახე – ინდივიდუალური, გამოკრებითი, გაგრძელებით... აქვე მოსწავლეებს ეძლევათ დაგალება, ყურადღებით მოუსმინონ თანაკლასელებს და ჩაინიშნონ მათ მიერ კიოხვაში დაშვებული შეცდომები, რომლებიც კიოხვის დასრულების შემდეგ გაანალიზება. მოსწავლეები კიოხულობენ ტექსტიდან იმ ადგილებს, რომლებმაც ყველაზე მეტად დააინტერესოს, ასაბუთებენ თავიანთ აზრს.

2) შინაარსის გადმოცემა (10-15 წუთი) – მასწავლებლის მიერ დასმულ ანალიზზე, სინთეზზე, გაგებაზე ორიენტირებული კიოხვების მიხედვით მოსწავლეები გადმოსცემენ ტექსტის შინაარსს:

- როდის მეფობდა თამარი?
- ვისი შთამომავალი იყო იგი? რა თვისებებით გამოირჩეოდნენ მისი გმობლები?
- როგორ აღწერს მწერალი თამარისდროინდელ საქართველოს?
- რა წელიდი შეიტანა თამარმა საქართველოს გაძლიერების საქმეში?
- რის გამო შეიყვარა იგი ქართველმა ხალხმა?
- რით გამოხატა თამარის მიმართ ხალხმა თავისი სიყვარული და თაყვანის ცემა?

ამ კიოხვებზე პასუხებით მოსწავლეები ჯერ ნაწილ-ნაწილ, შემდეგ კი მოლიად თხრობით გადმოსცემენ ტექსტის შინაარსს.

ბ) ტექსტის გააზრება (10 წუთი) – ტექსტის გააზრებისათვის, დამოუკიდებელ უნარ-ჩვევათა განვითარებისათვის:

– აკვირდებიან, რა ანდაზას იყენებს ამ ნაწარმოებში მწერალი („დედა ნახე, მამა ნახე, შვილი ისე გამონახე“). რატომ იყენებს იგი ამ ანდაზას.

### **გ) ჩუმი კიოხვა –**

დაყოფენ ტექსტს ნაწილებად და ასათაურებენ (ჯგუფური მუშაობა). სრულდება წერილობით („აქტივობების რვეული“, დაგალება №3).

დასათაურება დაახლოებით ასეთ სახეს მიიღება:

1. თამარის გშობლები;
  2. თამარის მიერ შინაური მტრების და შოშმინება;
  3. გარეშე მტრების აღავტინა;
  4. თამარის ზრუნვა ქრისტიანობის გაძლიერებისათვის;
  5. საქართველოს გაძლიერება თამარის მეფობის დროს.
- ჯგუფებს ეძლევათ დავალება საქართველოს მეფები დაალაგონ ქრონოლოგიურად: გიორგი III, თამარი, დავით აღმაშენებელი, ერეკლე II, ვახტანგ გორგასალი. (პასუხი: ვახტანგ გორგასალი, დავით აღმაშენებელი, გიორგი III, თამარი, ერეკლე II).

**დ) ლექსიკურ-ფრაზეოლოგიური მუშაობა (3 წუთი)** – მოცემული ნიმუშების ანალოგიით ჩასვან საჭირო სიტყვები:

უძლიერესი – ძლიერი  
უსაყვარლესი – საყვარელი  
ულამაზესი – .... (ლამაზი)  
უმშვენიერესი – .... (მშვენიერი)  
უმოკლესი – .... (მოკლე)  
უსუსტესი – .... (სუსტი)

**ე) გაკვეთილის შეჯამება და შეფასება (5 წუთი)**

**გ) საშინაო დავალება (2 წუთი)** – „თამარ მეფე“ – ოხრობით.

**წერითი სამუშაო:** ტექსტის მიხედვით უპასუხეთ კითხვებს („აქტივობების რვეული“, დავალება №2).

**შედეგების კოდი:** III3, III4, III6, III9.

### III ბაკვეთილი

**ა) ტექსტის შინაარსის გადმოცემა და ანალიზი (15 წუთი):**

მოსწავლეები გადმოსცემენ ტექსტის შინაარსს. ვარჯიშობენ ოხრობაში, გაბმულ მეტყველებაში, ყურადღება ექცევა ფაქტების ლოგიკური თანმიმდევრობით გადმოცემას, ორთოვპიასა და ინტონაციას.

ტექსტის საანალიზოდ მოსწავლეები (ან ჯგუფები) დასვამენ კითხვებს ტექსტის ირგვლივ. შეიძლება შინ წინასწარ მივცეთ დავალება, რაც შეიძლება მეტი კითხვა მოიყირონ ტექსტის ირგვლივ. აქ ერთგვარი შეჯიბრებაც გაიმართება.

უპასუხებენ მასწავლებლის შეკითხვებს:

- როგორი იყო საქართველო თამარის გამეფების დროს?
- რამდენი წლის გამეფიდა თამარი? (20 წლის).
- რამ აქცია თამარი ქართველი ხალხის უხაუვარლეს მეფედ?
- საიდან ჩანს, რომ თამარი იყო მოსიუვარულე დედა თავის ხალხისა?
- როგორ დაუფასა თამარს ამაგი ქართველმა ხალხმა?
- თუ გახსოვთ, კიდევ რომელი მეფე შერაცხა წმინდანად ეპლებიამ?

### **ბ) წაკითხულის შეჯამება (10 წუთი)**

თითოეულ ჯგუფს დაურიგდება ცარიელი ფურცელი, დაევალებათ ჩამოწერონ მოკლე წინადადებებით (ან სიტყვებით) რა იციან თამარის შესახებ (პირადი თვისებები, ჩამომავლობა, მიღწევები შინაურ თუ გარეულ მტერთან ბრძოლაში, თამარის ზრუნვა ეკლესიაზე, განათლებაზე და ა.შ.) სამუშაოს დამთავრების შემდეგ თითოეული ჯგუფი სმამაღლა წაიკითხავს თავის ნამუშევარს, გადაშლიან იმ საკითხს, რომელიც სამივე ჯგუფისაოვის საერთოა. გაიმარჯვებს ის ჯგუფი, როლის ნამუშევარშიც დარჩება უფრო მეტი განსხვავებული საკითხი.

(მოსწავლეთა ნამუშევრებში უნდა შეგვხვდეს შემდეგი ჩამონათვალი: თამარი: 1. მეფობდა XII საუკუნეში; 2. გამეფდა 20 წლის; 3. იყო დავით აღმაშენებლის შვილთაშვილი; 4. მადალი ჭკუის; 5. მტკიცე ხასიათის; 6. კაცომყვარე; 7. მშვენიერი; 8. დვოის-მოყვარე; 9. დააშოშმინა შინაური მტრები; 10. ალაგმა გარეშე მტრები; 12. ააშენა ეკლესია-მონასტრები; 13. გააძლიერა ქრისტიანობა; 14. განავითარა განათლება; 15. გააერთიანა და გააძლიერა საქართველო; 16. ჰყავდა ორი შვილი: რუსუდანი და ლაშა; 17. გარდაიცვალა 1213 წელს; 18. წმინდანად აღიარეს).

### **გ) ენობრივ მასალაზე დაკვირვება**

სრულდება სახელმძღვანელოში მოცემული დავალება.

დააკვირდით: თამარი იყო ბრძენი, ძლიერი, სამართლიანი.


- რას აღნიშნავს სიტყვები: ბრძენი, ძლიერი, სამართლიანი? (თვისებას).
- რომელ სიტყვას დაერთვიან? (არსებით სახელს – მეფე).
- რომელი კითხვა დაესმის მათ? (როგორი?)

მიეწოდებათ განსაზღვრება და ტერმინი: „სიტყვა, რომელიც დაერთვის არსებით სახელს, ადნიშნავს, როგორი არის ეს არსებითი სახელი და უპასუხებს კითხვაზე როგორი?“ ზედსართავი სახელია: ბრძენი, ძლიერი, სამართლიანი – ზედსართავი სახელებია.

მასწავლებლის დავალებით მოსწავლეები ზეპირად ასახელებენ ზედსართავ სახელებს: როგორი? კარგი, ცუდი, შავი, თეთრი, კეთილი, ბოროტი...

– კითხულობენ ტექსტს „თამარ მეფე“, ეძებენ და ასახელებენ ზედსართავ სახელებს (ძლიერი, უძლიერესი, კეთილი, მოსიუვარულე, მაღალი, მტკიცე, კაცომყვარე, უხაუვარლესი, დიდებული, ღირსეული....)

თამარ მეფის დამახასიათებელი თვისებების აღმნიშვნელი სიტყვებით აგსებენ კროსვორდს (ჯგუფებში მუშაობა).



(პასუხები: კეთილი, მოსიყვარულე, მშვენიერი, სამართლიანი, ძლიერი, ბრძენი)

#### დ) ლექსიკურ-ფრაზეოლოგიური მუშაობა (3 წუთი)

მოცემულ არსებით სახელებს ტექსტიდან შეურჩიეთ სათანადო ზედსართავი სახელები („აქტივობების რვეული“, დავალება №5).

დავალება ასე შესრულდება:

**ძლიერი სამუშაო**

**უძლიერესი სახელმწიფო**

**აუწერელი სილამაზე**

**რკინისებრი ხასიათი**

**კეთილი გული (ან მოსიყვარულე გული)**

**ღირსეული მანდილოსანი.**

#### ე) გაკვეთილის შეჯამება და შეფასება (4-5 წუთი)

#### ვ) საშინაო დავალება (2 წუთი) – თამარ მეფე.

**წერითი სამუშაო:** მოცემულ ზედსართავ სახელებს ტექსტიდან შეურჩიე არსებითი სახელები („აქტივობების რვეული“, დავალება №6).

**შედეგების კოდი:** III7, III8, III9,

## გაპგეთილების მასალა

„რუქნადინის დამარცხება“; სიტუაცის სემანტიკაზე დაკვირვება (ზედსართავი სახელის რაობა, მისი კითხვა), ტექსტის კონსტრუირება (2 სი)

### მიზნები

- გაძმული მეტყველების განვითარება – შინაარსის ლოგიკური თანმიმდევრობით გადმოცემა
- დასკვნების გამოტანა და დასაბუთება.
- ახალი ლექსიკური ერთეულების გააზრება და პრაქტიკულად გამოყენება
- მიღებული ინფორმაციის შეჯამება, მუშაობა სქემაზე: „გიცი, ვისწავლა, მინდა გიცოდე“
- ტექსტის კონსტრუირება.

### აქტივობები

- მოსწავლე კითხეულობს ტექსტს, ლოგიკური თანმიმდევრობით გადმოსცემს მის შინაარსს
- დამოუკიდებლად აყალიბებს და ასაბუთებს საკუთარ აზრს
- წერს
- იყენებს ახალ ლექსიკურ ერთეულებს პრაქტიკულად
- იყენებს საგნის ოვისების გამომხატველ სიტყვებს (ზედსართავ სახელები)
- მინდა გიცოდე და წერით მეტყველებაში
- ავსებს სქემას

## I გაპგეთილი

### 1. ტექსტზე მუშაობა

#### ა) კითხვისათვის მზადება (7-8 წუთი)

მოსწავლეები ავსებენ სახელმძღვანელოში მოცემულ „გონებრივი იერიშის“ რეკას:

კაცომოყვარე



თამარზე საუბრისას განსაკუთრებით ყურადღება გამახვილდება მის მიერ შინაური მტრების დაშოშმინებასა და გარეშე მტრების ალაგმვაზე. გაიხსენებენ შესწავლილი ნაწარმოებებიდან („ცხრა მმა ხერხეულიძე“, „სამასი თავდადებული გლეხი“...) ქართველთა თავგანწირულ პროცესს.

**დამატებითი ინფორმაცია მასწავლებლისათვის** – თამარის მეფობის დროს გაძლიერდა ხაქართველოს ხაგარეული პოლიტიკური გავლენა. რუმის ხელთანი რუქნადინი ვერ ითქმებდა ხაქართველოს გაძლიერებას. მან დიდი დაშქრობა მოაწეო ხაქართველოს წინააღმდეგ. ხელთანხმა მოციქულის ხელით თამარ მეფეს მუქარითა და შეურაცხმყოფელი სიტყვებით აღხავხე წერილი გამოუგზავნა. ელჩმა თავის მხრივ, დაუმატა: „ოუ მეფე (თამარი) ხჯულს შეიცვლის, ხელთანი მას ცოლად შეირთავს და თუ არა, ხარჭად დაიხვამხს“. მეფის ახეთი შეურაცხმყოფის გამო ხაქართველოს ამირსპასალარმა ზაქარია მხარგრძელმა სულთნის მოციქულს იხეთი სილა გააწნა, რომ ელჩი მკვდარივით დაეცა. როცა გონის მოყვანეს და წამოაყენეს, ზაქარიამ გამოუცხადა: ელჩი რომ არ ყოფილიყავი, ჯერ ენის ამოკვეთა იყო შენი ხვედრი, ხოლო შემდეგ – თავის მოჭრათ.

თამარმა ხელთნის მუქარის პასუხად ხაქართველოს მხედრობა სწრაფად შეერიბა. მეფემ ვარძიამდე მიაცილა თავისი ლაშქარი, დალოცა და მტრის წინააღმდეგ გაგზავნა. პრძოლა მოხდა ბასიანში (ერთუმის ახლოს), 1203 წელს. პირველი შეტაკება ოურქთა წარმატებით წარიმართა: ქართველოს მოწინავე რაზმი, ხახელგანთქმული სარდლის – ზაქარია მხარგრძელის – მეთაურობით უკან იხევდა, მაგრამ ამ დროს ქართველოს ძირითადმა ნაწილმა დავით ხელსანის წინამდლოლობით ოურქებს გვერდიდან მედგრად შეუტია. მტრის ლაშქარი აირია და გაიქცა. ქართველებმა პრწყინვალე გამარჯვება მოიპოვეს. რუქნადინმა გაქცევით უშველა თავს. გამარჯვებულმა ჯარმა დიდალი სამხედრო ქონება და სულთნის დროშაც იგდო ხელო. ტყვედ წამოყვანილ სულთანს თამარ მეფემ დამამცირებელი სახჯული მიაგო: მეფემ ტყვე სულთანი მონად გაყიდა და მის ფასად ჯორის ნალი აიღო.

### **ბ) ტექსტის კითხვა (15 წუთი)**

მასწავლებელი ტექსტს კითხულობს თავიდან ბოლომდე, შემდეგ წაიკითხავს კითხვაში განაცემული მოსწავლე. მოელი კლასის მონაწილეობით წარიმართება ტექტის ნაწილ-ნაწილ კითხვა. გზადაგზა დაიძებნება და აიხსნება უცნობი სიტყვები და გამოთქმები:

**რუმის სასულთნო – ოურქული ხახელმწიფო**

**მუსრავდა – ანადგურებდა, ქლებდა**

**დაიქსაქსა – დაიფანტა**

**პირი იბრუნა – უკან გაბრუნდა, უკან წავიდა**

**დავლა – ომში ნაშოვნი ქონება, ნადავლი**

მოსწავლეთა ძალებით მოხდება ამ უცნობ სიტყვათა გათვალსაჩინოება (სხვადასხვა წინადადებაში გამოყენება).

ამის შემდეგ მოსწავლეები ტექსტს თავიდან ბოლომდე კითხულობენ. ჩატარდება გამოკრებითი კითხვა. მოსწავლეები ამოიკითხავენ ტექსტიდან:

– რას ცდილობდა მტრი?

– როგორ მოიქცა რუმის სასულთნოს მბრძანებელი რუქნადინი?

– როგორ მოიქცა თამარი რუქნადინის ბარათის მიღების შემდეგ?

– როგორაა აღწერილი ბრძოლა?

– რით დამთავრდა ეს ბრძოლა?

– სად და როდის გაიმართა ბრძოლა?

### **გ) წაკითხულის გააზრება (5 წუთი)**

გაირკვევა, რა იყო მტრების საქართველოთი დაინტერესების მიზეზი. (საქართველო თანდათან ძლიერდებოდა. ძლევამოსილი ქვეყანა შიშის ზარს პიკრიდა დამპურობდები), რაში იყო დარწმუნებული რუქნადინი (თამარ მეფე ვერ გაძედავდა მის მრავალრიცხოვან დაშქართან შებმას და უბრძოლველად დანებდებოდა), რა იყო რუქნადინის დამარცხების მიზეზი (ქართველთა მოხერხებულობა და თავგანწირვა), სად და როდის მოხდა ეს ბრძოლა (ძახიანთან, 1203 წელს).

### **დ) ენობრივ მასალაზე დაკვირვება (10 წუთი)**

– დექსიკურ-ფრაზეოლოგიური მუშაობა:

„პირი იბრუნას“ ანალოგიით მასწავლებლის დახმარებით მოსწავლეები იხსენებენ სხვა მსგავს ფრაზეოლოგიზმებს:

პირს არ დააკარებს – არაფერს შეჭამს

პირში იკრავს – უცებ ჩაიდებს პირში

პირში ლუკმას უთვლის – საჭმელს აყვედრის

პირს მოხსნის – დაიწყებს (ლაპარაკს) და ყველაფერს იტყვის

პირში სული უდგას – ცოცხალია, არსებობს

შენს პირს შაქარი – უტყვიან კარგი ამბის მომტანს

ზედსართავ სახელზე ცოდნის განმტკიცების მიზნით, ტექსტში მოცემული ზედსართავი სახელებით ავსებენ კროსვორდს (ჯგუფური მუშაობა).

(პასუხები: უზარმაზარი, სახელგანოქმული, დიდი, სასტიკი, დიდძალი, შერცხვენილი, უთანასწორო, მოწინავე, ძლევამოსილი, ძლიერი):

### **ე) გაკვეთილის შეჯამება და შეფასება (5 წუთი)**

მოსწავლეები აჯამებენ, რა გაიგეს ამ გაკვეთილზე თამარ მეფის წარმოებულ ბრძოლაზე.

### **ვ) საშინაო დავალება (2 წუთი) – „რუქნადინის დამარცხება“.**

წერილობით უპასუხონ კითხვებს („აქტივობების რვეული“, დავალება №1).

**შედეგების კოდი: III2, III4, III5, III7.**

## **II გაპვეთილი**

### **ა) ტექსტის კითხვა (7-8 წუთი)**

მოსწავლეები კითხულობენ ტექსტს. ყურადღება მახვილდება გამომეტყველებით კითხვაზე, ვიყენებოთ გამოკრებით, გაგრძელებით კითხვას. მოსწავლეები ამოიკითხავენ ტექსტიდან იმ ადგილებს, რომელმაც ყველაზე მეტად დააინტერესათ, ასაბუთებენ თავიანთ აზრს. ყურადღება მიექცევა მნელად დასაწერ და წარმოსათქმელ სიტყვათა წაკითხვას (დამპურობლებს, ძლიერებით, მპრძანებელი, შეკრიბა, წინააღმდეგ, უბრძოლველად, მიიღო, შეკრიბა, ძლიერ, დაახლოებით, შეეგებნენ, გაჩადდა, ბრძოლა, რაზმა, მოიკრიბა, ბრძოლაში).

### **ბ) შინაარსის გადმოცემა (7-8 წუთი)**

მოსწავლეები ჯერ პასუხობენ მასწავლებლის მიერ დასმულ შეკითხვებს, რის შემდეგ გაბმული თხრობით გადმოსცემენ ტექსტის შინაარსს:

- ვინ იყო რუქნადინი?
- რამ შეაშფროთა იგი?
- რატომ გაბედა მან საქართველოზე თავდასხმა?
- ოქვენი აზრით, რატომ დამარცხდა ამ ომში რუქნადინი?

### **გ) ჩუმი კითხვა, ტექსტის დაყოფა ნაწილებად და დასათაურება (8 წუთი) (ჯგუფებში მუშაობა).**

მოსწავლეებმა ტექსტი უნდა დაყონ ნაწილებად, მოუძებნონ თითოეულ ნაწილს სათაური („აქტივობების რვეული“, დავალება №2).

გეგმა სავარაუდოდ ასეთ სახეს მიიღებს:

1. თამარისდროინდელი საქართველო.
2. რუქნადინის გადაწყვეტილება.
3. თამარის საპასუხო მოქმედება.
4. ბასიანის ბრძოლა.
5. შერცხვების რუქნადინი.

### **დ) ტექსტის კონსტრუირება (4 წუთი)**

დაალაგე წინადაღები ისეთი თანმიმდევრობით, რომ ტექსტი მიიღო („აქტივობების რვეული“, დავალება №4).

ტექსტი ასეთი სახის იქნება:

„სარწმუნოების შემდეგ თამარი ყველაზე მაღლა განათლებას იყენებდა. მას პყავდა განათლების მინისტრი, რომელსაც მწიგნობართუქუცესი ერქვა. იგი ხელს უწოდდა მწერლობის განვითარებასაც. ყველა ნიჭიერ მწერალს იახლოებდა და ნიშნავდა წარჩინებულ ადგილას. სწორედ ამიტომ იყო, რომ თამარის დროს ქართველი მწერლების ნიჭმა ფრთა შეისხა და ჩვენი ლიტერატურა გაამდიდრა მრავალი ახალი თხულებით.“

**პრეზენტაცია:** რამდენიმე მოსწავლე ხმამაღლა კითხულობს მიღებულ ტექსტს. მოსწავლეთა მიერ შეჯერდება სწორი პასუხები.

### **ე) სქემის შევსება – „ვიცი, ვისწავლე, მინდა ვიცოდე“ (7 წუთი):**

მოსწავლეები ავსებენ დაფაზე (ან ფორმატზე) დახაზულ სქემას (ჯგუფებში მუშაობა):

რა ვიცოდი თამარის შესახებ	რა ვისწავლე	რა მინდა ვიცოდე
1. იუო საქართველოს მეფე	1. გააუქმა სიკვდილით დასჯა	1. სადაა დასაფლავებული
2.	2.	2.
3.	3.	3.
4.	4.	4.

მასწავლებელი კლასს აწვდის სათანადო ინფორმაციას „მინდა ვიცოდეს“ მიხედვით.

გ) ენობრივ მასალაზე დაკვირვება: (3 წუთი)

– აკვირდებიან როული სიტყვების მართლწერას:

**ერთად**

მრავალრიცხოვანი

სახელგანოქმული

დიდძალი

**დეფისით**

არევ-დარევა

– ასრულებენ აქტივობების რვეულში მოცემულ მე-6 დავალებსაც.

მოცემულ ზედსართავ სახელებს შეურჩიე შინაარსით მახლობელი სიტყვები.

დავალება ასე შესრულდება.

**სახელგანოქმული** – სახელოვანი

**ძლევამოსილი** – ძლიერი, ყოვლისშემძლე

**ურიცხვი** – უოვალავი

**სახტიკი** – მკაცრი, უღმობელი, შეუბრალებელი

**უზარმაზარი** – მეტისმეტად დიდი

**თავგანწირული** – თავდადებული

ზ) გაპვეთილის შეჯამება და შეფასება (5 წუთი)

თ) საშინაო დავალება (2 წუთი). სტატია „რუქნადინის დამარცხება“ – თხრობით. წერითი დავალება: დაწერეთ „რუქნადინის დამარცხება“ („აქტივობების რვეული“, დავალება №8).

შედეგების კოდი: III6, III7, III8, III9, III10.

„წაიკითხე თვითონ“ – „ჩვენი დედაისტორია“ („წიგნის სამყარო“, VII თემა).

## გაპვეთილების მასალა

ჯანსუდ ნიქაბამე – „ჩვენი დედასაქართველო“; სახელთა წარმოქმნა (გეო-გრაფიული და ადამიანთა წარმომავლობის სახელები - პრაქტიკული)

2 საათი

### მიზნები

- პოეტური ტექსტის აღქმა და გააზრება
- გამომეტყველებითი კითხვის ჩვევის დაუფლება
- შესწავლილ ლიტერატურულ ნაწარმოებთა შორის პარალელების გავლება
- ლოგიკური აზროვნების განვითარება
- სიტყვის სემანტიკაზე დაკვირვება


### აქტივობები

- მოსწავლე კითხულობს და აანალიზებს ტექსტს
- მსჯელობს და ასაბუთებს თავის აზრს
- აკავშირებს ერთმანეთთან სხვადასხვა ჟანრის ნაწარმოებს (ლექსი, მოთხრობა), ავლებს მათ შორის პარალელს
- აღადგენს დეფორმირებულ ტექსტს
- აკვირდება გეოგრაფიულსა და ადამიანთა წარმომავლობის სახელებს და პრაქტიკულად იყენებს მათ მეტყველებაში
- მუშაობს წყვილებში, ჯგუფებში

## I ბაპვეთილი

### ა) კითხვისათვის მზადება (7-8 წუთი)

მასწავლებელი კლასს ყოფს სამ ჯგუფად. თითოეულ მათგანს (**ჯგუფები**) აძლევს დავალებას: შეავსონ „გონებრივი იერიშის რუკა“ (ჩასვან წრეში სიტყვა ისე, რომ მისი მიმატებით ახალი [როული] სიტყვები მიიღონ):



(რუკაზე წინასწარ მხოლოდ მოცემულია მინიშნებები: საქართველო, ბუნება, ბოძი, ციხე... მოსწავლეებმა წრეში უნდა ჩასვან სიტყვა „დედა“ და მისი გამოყენებით მიიღონ ახალი სიტყვები...).

გაირკვევა, რატომაა ამ სიტყვებში „დედა“. პასუხი შეიძლება შესწავლილი ლექსითაც გასცენ (გ. წერეთლის „დედა“, რომელიც მოსწავლეებმა I კლასში შეისწავლეს):

**„დედა პეტა დედაციხეს,  
დედაქალაქს, დედამიწას,  
დედაბოძს ოუ დედაენას  
დედის ძალა დედამ მისცა.  
დედა უძღვის წინ ყველაფერს,  
ჩვენს სალოცავს, ჩვენს საფიცარს,  
რადგან ძალა დედამ მისცა,  
დედა იცავს დედამიწას.“**

ამის შემდეგ თითოეულ ჯგუფს ეძლევა დავალება: დაალაგონ სტრიქონები ისე, რომ ლექსის სტროფი მიიღონ (ტექსტის კონსტრუირება):

1. ვისაც არ უყვარს სამშობლო თვისი,
  2. ვისაც არ უყვარს მშობელი დედა,
  3. ვინდა გაუღებს სამუყვროდ კარებს?!?
  4. ის მის მაგივრად ვის შეიყვარებს.?
- (პასუხი: 2, 4, 1, 3)

მასწავლებლის დახმარებით მოსწავლეები აკეთებენ დასკვნას: ვისაც დედა არ უყვარს, იგი ვერავის ვერ შეიყვარებს; ვისაც თავისი სამშობლო არ უყვარს, აღარავინ არ იმეგობრებს მასთან.

### ბ) ტექსტის კითხვა და ანალიზი (15-20 წუთი)

ლექსს გამომეტყველებით კითხულობს მასწავლებელი. ლექსში უხვად გვხვდება კითხვითსიტყვიანი კითხვითი წინადადებები (სულ 5 წინადადება), ძახილის წინადადებები (3 წინადადება), ამიტომ მასწავლებლის კითხვის ნიმუშს განსაკუთრებული ყურადღება ენიჭება.

მასწავლებლის შემდეგ ლექსს კითხულობს კითხვაში გაწაფული რამდენიმე მოსწავლე. ყურადღება მახვილდება კითხვითი და ძახილის წინადადებების სათანადო ინტონაციით წარმოთქმაზე, რასაც მოჰყვება ლექსის ნაწილ-ნაწილ და გამოკრებითი კითხვა:

#### ა) მოსწავლეებს ვავალებთ ამოიკითხონ სტრიქონები, რომლებშიც აღწერილია:

- დედის მზრუნველობა შვილებზე („ოქვი ვინ არის, ვისაც ჩვენთვის“... ვიდრე „ხით-მარშიც რომ გვხდავს“),
  - შვილების აღზრდა სამშობლოს სიყვარულით („ვინ ჩაუდგა გმირის სული...“),
  - სამშობლოს ღრმა სიყვარული („ვის ვეძახით სიყვარულით...“).
- ბ) უპასუხონ სახელმძღვანელოში მოცემულ კითხვებს:

- როგორ არის ლექსში დახასიათებული დედა?  
(საყვარელი, ტკბილზე ტკბილი, თბილი, მხრუნველი, შვილების გმირობის სულისკვეთებით აღმზრდელი).
- რატომ არის შედარებული საქართველო დედასთან?  
(ორივე ერთნაირად საყვარელია).
- ასრულებენ „აქტივობების რვეულში“ მოცემულ ტესტს:  
ეს ლექსი ეძღვნება: а) დედას, ბ) საქართველოს, გ) ორივეს.  
(პასუხია: გ ორივეს)

### **გ) ომონიმებზე მუშაობა (3 წუთი)**

- შეადარეთ სიტყვა „ნანა“ წინადადებებში:  
„დედის ნანა გვზრდიდა“, „ნანა ბეჯითი მოსწავლეა“. რას ამჩნევთ?  
(პირველ წინადადებაში გამოხატავს სიმღერას, მეორეში კი – გოგონას სახელს).

### **დ) გეოგრაფიულსა და წარმომავლობის სახელებზე დაკვირვება (3 წუთი):**

ასრულებენ მე-3 დავალებას („აქტივობების რვეული“)

საქართველო – ქართველი

რუსთი – რუსი

საბერძნეთი – ბერძენი

თურქეთი – თურქი

სომხეთი – სომები

საფრანგეთი – ფრანგი

პირველ მწერივში მოცემული სიტყვები ქვეყანას აღნიშნავს, მეორე მწერივში კი – ამ ქვეყნებში მცხოვრებ ხალხს, ეროვნებებს.

**ე) გაკვეთილის შეჯამება. (3-4 წუთი):** მოსწავლეები აჯამებენ, რა გაიგეს ამ გაკვეთილზე; ერთმანეთს უზიარებენ თავიანთ შთაბეჭდილებებს.

**ვ) მოსწავლეთა შეფასება (3-4 წუთი):** გაკვეთილის ბოლოს მასწავლებელი კლასთან ერთად აფასებს რამდენიმე მოსწავლეს. გასათვალისწინებელია შემდეგი პარამეტრები.

– პრაქტიკული მუშაობა (ორგანიზებულობა, შემოქმედებითობა და მასალის ფლობა), მსჯელობა კლასში (აქტიურობა, ხაჯუთარი აზრის დახასუფავება, კორექტულობა).

### **ზ) საშინაო დავალება (3 წუთი) – „ჩვენი დედასაქართველო“;**

- წერითი სამუშაო დავალება №1 („აქტივობების რვეული“);
- გაიხსენონ შესწავლილი ლექსები დედაზე, სამშობლოზე.

## II ბაპვეთილი

### ა) ტექსტზე მუშაობა (18-20 წუთი)

მოსწავლეები ვარჯიშობენ გამომეტყველებით კითხვაში. ყურადღება მახვილ-დება სწორი, შეგნებული, სწრაფი და გამომეტყველებითი კითხვის მხარეებზე. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა კითხვითსიტყვიანი კითხვითი წინადაღებების სწორად წაკითხვას: „ოქვი, გინ არის, სიზმარშიც რომ გვხედავს?“. „გამარჯვებას, განახლებას ხვედრების ვისი დროში? „გინ ჩაუდგა გმირის სული ყველა ქართველ მხედარს? „გინ ვეძახით სიყვარულით დედას, მშობელ დედას?“ „გინ გვალაღებს, გინ გვახარებს ყველ-გან – შინ და გარეთ“ (ხმის ამაღლება ხდება კითხვით სიტყვებზე: გინ, ვისი, გინ).

– მოსწავლეები ტექსტში აკვირდებიან ძნელად დასაწერ და წარმოსაოქმედ სი-ტყვებს, როულ სიტყვებს – წარმოთქვამენ სწორად, წერენ დაფაზე... (კარგი, გვზრდი-და, გვითბობებს, ტკბილზე ტკბილი, ხვედრების, გვალაღებს, გვახარებს, დედასაქართ-ველო).

მასწავლებლის დავალებით მოსწავლეები ამოიკითხავენ იმ სტრიქონებს (სტრო-ფებს), რომლებიც განსაკუთრებით მოეწონათ და ასაბუთებენ თავიანთ შეხედულე-ბას.

მასწავლებელი ამოწმებს, ვინ რომელი სტრიქონი დაიზეპირა ლექსიდან, მოისურვეს თუ არა შინ მოლიანად დაზეპირება.

### ბ) პარალელის გავლება შესწავლილ ლიტერატურულ ნაწარმოებთა შორის (7-6 წუთი).

რომელი ნაწარმოები მოაგონათ ლექსის სტრიქონებმა:

„ვინ ჩაუდგა გმირის სული ყველა ქართველ მხედარს?“?

(ი. გოგებაშვილის „ცხრა ძმა ხერხეულიძე“ – ხალხის ოქმულებით, ცხრა ძმა ხერხე-ულიძის დედაც ბრძოლის ველზე იყო, ამხნევებდა შვილებს და როცა მის ერთ ვაჟს, სახივდილოდ დაჭრილს, ქართული დროშა ხელიდან გაუვარდა, დედამ აიღო დროშა და მეორე შვილს მისცა ხელში“...).

გ) დიდაქტიკური თამაში „მივეფეროთ დედას, სამშობლოს“ (5 წუთი) – წინა დღით მოსწავლეებს მიცემული პქონდათ დავალება „გაიხსენონ შესწავლილი ლექსები დე-დასა და სამშობლოზე“ ჯგუფები ეჯიბრებიან ერთმანეთს, ვინ მეტ სტრიქონს წარ-მოთქვამს დედასა თუ სამშობლოზე. მოსწავლეები სტრიქონებს ასახელებენ I და II კლასში ამ თემაზე შესწავლილი ლექსებიდან (მოვიტან რამდენიმე ნიმუშს: „ვიყო რო-გორიც დედას სურს, ჩემი იმედი პქონდებს“. „მეცა მყავს დედა ლამაზი, მეცა მაქვს ერთი ნატვრა“, „კიდევ ბევრჯერ გაგითენდეს, დედავ, მარტის დილა“. „ჩემი ხატია სამშო-ბლო, სახატე – მოელი ქვეყანა“. „საქართველოს უკვდავება მოჩქეფს ...“, „გვიყვარდეს სამშობლო, სიმართლე გვიყვარდეს“...). სასურველია, თუ მოსწავლეები არაპროგრამ-ული ლექსების ცოდნასაც გამოვლენენ. ბოლოს მოსწავლეები ასკვნიან, რომ ყველა სტრიქონს აერთიანებს სიყვარული. იმარჯვებს ის ჯგუფი, რომელიც მეტ სტრიქონს გაიხსენებს...

დ) გრამატიკის ელემენტებზე მუშაობა, საკითხავი ტექსტის გამოყენება გრამატიკაში სავარჯიშოდ (8 წუთი)

საგნის, საგნის მოქმედების, საგნის ოვისების აღმნიშვნელ სიტყვათა გამეორება:

შეასრულებენ აქტივობების რვეულში მე-4 დავალებას (პასუხებია: არსებითი სახელი; ზმნა, ზედსართავი სახელი).

არსებით სახელებს ტექსტიდან შეურჩევენ ზედსართავ სახელებს:

(დავალება 2. „აქტივობების რვეული“). პასუხებია: მადლიანი, ტკბილი, საყვარელი).

ავსებენ სახელმძღვანელოში მოცემულ კროსვორდს. იყენებენ ტექსტში „ჩვენი დედასაქართველო“ მოცემულ არსებით სახელებს (მხედარი, მხარე, დროშა, კალთა).

ე) გაკვეთილის შეჯამება და შეფასება (5 წუთი).

ვ) საშინაო დავალება (3 წუთი). „ჩვენი დედასაქართველო“; დასაწერად: ამოიწერონ ლექსიდან ორი კითხვითი და ორი ძახილის წინადადება.

**შედეგების კოდი: III 2, III 3, III 4, III 5, III 6.**

## გაქვეთილების მასალა

### ოტია იოსელიანი – „ფიცი“, რიცხვითი სახელი (3 საათი)

#### მიზნები

- ლიტერატურული ტექსტის კითხვა და ანალიზი
- საკუთარი აზრის გამოთქმა და დასაბუთება
- გაბმული თხრობის ჩვევის დაუფლება
- ტექსტის მონაკვეთებად დაყოფა და დასათაურება
- ორთოვეპიასა და ორთოგრაფიაზე მუშაობა
- რაოდენობითი რიცხვითი სახელის გაცნობა
- პრაქტიკული სტილისტიკის საკითხების (რიცხვითი სახელისა და არსებითი სახელის რიცხვში შეთანხმება) დაუფლება

#### აქტივობები

- მოსწავლე კითხულობს და აანალიზებს ლიტერატურულ ტექსტს
- აყალიბებს საქუთარ მოსაზრებებს და ასაბუთებს მათ
- ყოფს ტექსტს მონაკვეთებად და ასათაურებს
- გარჯიშობს ორთოვეპიასა და ორთოგრაფიაში
- აკვირდება სიტყვათაწარმოქმნის მარტივ შემთხვევებს
- მუშაობს წერითი მეტყველების განვითარებაზე
- ეცნობა რაოდენობით რიცხვით სახელებს, იყენებს მათ მეტყველებაში მართებული ფორმით

#### I გაგვთილი

##### ა) კითხვისათვის მზადება (4-5 წუთი):

მასწავლებელი სვამს კითხვას: რა არის ფიცი? როდის იფიცებენ ადამიანები?

კლასი იყოფა სამ ჯგუფად. თითოეული ჯგუფი გვთავაზობს თავის მოსაზრებას საკითხის ირგვლივ. აუცილებელია ამ მოსაზრებების დასაბუთება. მოქმედებს პრინციპი: ყველას აზრი საყურადღებოა. მასწავლებელი არ ერევა მოსწავლეთა პასუხებში, ამღევს მხოლოდ გეზს, რომ სწორად წარიმართოს დისკუსია და არ მიიღოს დაპირისპირების ხასიათი. მოსწავლეები იხსენებენ მაგალითებს ცხოვრებიდან. ამ ეტაპზე მთავარია არა მხოლოდ ჭეშმარიტების ძიება, არამედ დისკუსიის ხელოვნების თანდაოან დაუფლებაც: მოსმენა, სხვისი აზრის პატივისცემა, საკუთარი მოსაზრების ჩამოყალიბება და დასაბუთება.

##### ბ) ტექსტის კითხვა და გააზრება (20-25 წუთი)

მასწავლებელი ტექსტს კითხულობს პაუზებით. I პაუზა – „შინ დაბრუნებულ გიას დედა ავად დაუხვდა“. II პაუზა – „ჰოდა, ვაითუ...“. III პაუზა – „გიამ შეუმჩნევლად მოიხურა კარი და აივანზე დარჩა“. IV პაუზა – „რასაკვირველია, ასეთი შვილის დედას გულიც გაუსკდებოდა“...

თითოეული პაუზის შემდეგ მოსწავლეებს ეძლევათ საშუალება, გამოოქვან საკუთარი მოსაზრება სიუჟეტის შემდგომი განვითარების შესახებ. ადარებენ საკუთარ ვერსიას ავტორისეულ ვარიანტს.

ნაწილ-ნაწილ კითხვის დროს აიხსნება უცნობი სიტყვები: **ბექობი, შარა, სამზადი სახლი**) (იხ. სიტყვათა სალარო, გვ. 99).

ფაქტებზე ორიენტირებული კითხვებით ჩატარდება გამოკრებითი კითხვა:

- რა ტყუილი თქვა გიამ?
- რა ქნა გიამ ავადმყოფი დედის დანახვისას?
- როგორ მოატყეა მეორედ ნანი?
- რის შემთხვევა გიამ ექიმის დანახვისას?
- როგორ მოატყეა მესამედ ნანი?
- რა იფიქრა შინ დაბრუნებულმა გიამ?
- როგორ მოიქცა ბოლოს გია ნანისთან შეხვედრისას?
- რა გადაწყვიტა გიამ??

(პასუხებს მოსწავლეები ტექსტიდან ამოიკითხავენ).

სწორი კითხვის ტექნიკის დაუფლების მიზნით, მასწავლებელმა, სასურველია, ჩატაროს დიდაქტიკური თამაში „გაბმულხარ, ჩიტო, მახეში!“ (ჯგუფური მუშაობა). ტექსტს კითხულობენ ნაწილ-ნაწილ. როცა ერთი ჯგუფის წარმომადგენელი კითხულობს, დანარჩენი ჯგუფის წევრები ცდილობენ შეამჩნიონ კითხვაში დაშვებული შეცდომა და გაასწორონ, რაზედაც ეწერებათ „+“. გაიმარჯვებს ის ჯგუფი, რომელიც მეტ „+-ს დააგროვებს.

მოსწავლეები პასუხობენ სახელმძღვანელოში მოცემულ კითხვებს:

- რატომ დაუჯერა ნანიმ გიას ტყუილი? (რადგან დედა დაიფიცა).
- რის შემთხვევა გიას? (დედის ავადმყოფობის მიზეზად მისი ტყუილზე დაფიცება ჩათვალა).

- როგორ ფიქრობთ, პეტრი გიას შიშის ზოზეზი? (პეტრი, რადგან ტყუილზე დაფიცება და დედის ავადმყოფობა ერთმანეთს დაემთხვა).

- როდის თქვა გიამ სიმართლე? (როცა შინ დაბრუნებულს დედა დამინებული დაუხვდა, დარწმუნდა – ექიმმა უთხრა, გიას ტყუილზე დაუფიცებისარო, რამაც დედას გული გაუხეოქა).

ტექსტის გააზრებისა და დამოუკიდებელი მსჯელობის უნარ-ჩვევათა განვითარებისათვის შემოხაზვენ სახელმძღვანელოში მოცემული ტექსტის – „როგორ მოიქცეოდა გია ამის შემდეგ?“ სწორ პასუხს. დაასაბუთებენ თავიანთ აზრს, შემოგვთავაზებენ ახალ ვარიანტსაც (ვთქვათ, დაიფიცებდა მაშინ, როცა ვინმეს რაიმეს დაპირდებოდა...).

გ) ორთოეპიასა და ორთოგრაფიაზე მუშაობა (6 წუთი): მოსწავლეები ნაწილ-ნაწილ კითხვის დროს ტექსტში აკვირდებიან ძნელად დასაწერ და წარმოსათქმელ სიტყვებს: ტყუილი, როგორიცაა, გაციება, მომიკვდესო, თხუთმეტი, სახლში, დაუხვდნენ, შემთხვევა, მიხვდება, სჭირს, აოქმევინა, იყოო, გასინჯავს, დიდად, ექიმმა, რასაკვირველია, გაახილა...

დ) ანტონიმებზე მუშაობა – (4 წუთი) (ჯგუფური მუშაობა) თითოეულ ჯგუფს დაურიგდება თითო ბარაო სხვადასხვა სიტყვით, ევალებათ – ტექსტში მოძებნონ საპირისპირო მნიშვნელობის სიტყვები (ანტონიმები) და მიუწერონ:

### ბარათი 1

სძულდა – (უყვარდა)  
გააღო – (მოიხურა)  
ეღვიძა – (ეძინა)

### ბარათი 2

მართალი – (ტყუილი)  
წინ – (უძან)  
დახუჭა – (გაახილა)

### ბარათი 3

კარგად – (ავად)  
სიცრუე – (სიმართლე)  
პატარა – (დიდი)

## ე) გაპეტილის შეჯამება და შეფასება (5 წუთი).

ე) საშინაო დავალება: (2 წუთი) „ფიცი“. წერითი სამუშაო: ტესტური დავალება (აქტივობების რვეული). რატომ დაუჯერა ნანიმ გიას? (სწორი პასუხია ა) – „გიას ენდობოდა“.

დავალება 1. („აქტივობების რვეული“): რომელი სიტყვებიდან ჩანს, რომ ტექსტში აღწერილი ამბავი სოფლად ხდება?

(პასუხებია: ბექობი, შარაგზა, ორდობე, სამზადი).

## II ბაგვათილი

### ა) ტექსტზე მუშაობა:

#### 1. კითხვა. (10-15 წუთი)

მოსწავლეები ვარჯიშობენ ხმამაღალ კითხვაში. ტექსტი ძირითადად დიალოგის ფორმისაა. გვხვდება კითხვითი (კითხვითსიტყვიანი და არაკითხვითსიტყვიანი), ძახილის (თხოვნის, შიშის გამომხატველი) და კითხვა-ძახილის წინადადებები. ამიტომ ყურადღება მახვილდება ასეთი წინადადებების სათანადო ინტონაციით წაკითხვა-წარმოქმაზე.

მოსწავლეები კითხულობენ ტექსტიდან იმ ადგილებს, რამაც ყველაზე მეტად დააფიქრათ, რომელიც მოეწონათ, ასაბუთებენ თვითი აზრს.

2. მოთხოვის დაყოფა ნაკვეთებად და დასათაურება (ჯგუფებში მუშაობა) (8-10 წუთი). ნაწილ-ნაწილ კითხვის დროს თითოეულ სურათს წარმოგვიდგენს თითოეული ჯგუფი, მოსაწონი სათაურები დაიწერება დაფაზე. გეგმა დაახლოებით ასეთ სახეს მიიღებს:

- ტურისტი
- გიას შოში
- მეორე ტურისტი
- მესამე ტურისტი
- სიმართლის აღიარება
- გიას გადაწყვეტილება. („რვეული“, დაგალება №3).

### **3. შინაარსის გადმოცემაზე მუშაობა: (6-8 წუთი)**

გეგმის მიხედვით ნაწილ-ნაწილ გადმოგვცემები მოსწავლეები ჯერ ცალკეული მონაკვეთის, შემდგა კი – მოედი ტექსტის შინაარსს.

#### **4) ტექსტის გააზრება (10 წუთი)**

– მოსწავლეები მსჯელობენ, ამ მოთხრობის მიხედვით, როგორი ბიჭია გია. ასაბუთებენ თავიანთ აზრს.

წერილობით ასრულებენ მე-2 დაგალებას (აქტივობების რვეული): როგორია გია?

##### **ა) მოთხრობის დასაწყისში?**

(სავარაუდო პასუხი: დედის მოსიყვარულე, გაბედული, სიმართლის მოქმედი).

მოსწავლეები სახელმძღვანელოში კითხულობენ ვაჟა-ფშაველას „ლამაზად შვილის გამხრდელი დედა მიცენია ღმერთადა“. აანალიზებენ მას და უკავშირებენ ტექსტს (გია დედას კარგად აღუზრდია, მართალია, მას შეცდომა მოუგიდა, მაგრამ თვითონვე ცნო თავი დამნაშავედ და შეცდომა გამოასწორა...).

ისესენებენ ანდაზებს დედაზე (კარგი შვილი დედის გულის გარდიაო; დედის წინ მორბენალ შვილს ან მგელი შეჭამს ან მგლის შვილიო; შვილმა რომ დედის გულისათვის ხელისგულზე ერბო-კვერცხი შეიწვას, დედის ამაგს მაინც კერ გადაიხდისო...) აკეთებენ დასკვნას: ყველაზე ლამაზი დედა ისაა, ვისაც ჭკვიანი და ზრდილი შვილი ჰყავს.

**გ) გაეცანით – თქვენი თანატოლების ნამუშევარია (7 წუთი):** – მოსწავლეები ეცნობიან რვეულში მოთავსებულ მათი თანატოლების ნამუშევარს – „დედას დაეხმარნენ“ (ტექსტსა და ილუსტრაციას), მსჯელობენ და აყასებენ მათ, შეაქვთ კორექტივები, ასაბუთებენ თავიანთ აზრს...

##### **დ) გაკვეთილის შეჯამება და შეფასება (3 წუთი).**

**ე) საშინაო დაგალება (2 წუთი). „ფიცი“ – თხრობით, ანდაზის მიხედვით („კარგი შვილი დედის გულის ვარდიაო...“) ტექსტის შედგენა.**

### III ბაკვეთილი

#### ა) ტექსტის შინაარსის გადმოცემა და ანალიზი (18 წუთი).

მოსწავლეები ჩუმად კითხულობენ ტექსტს. შემდეგ გადმოსცემენ მის შინაარსს. უერადღება ექცევა ტექსტის შინაარსის მესამე პირში გადმოცემას, ფაქტების ლოგიკურ თანმიმდევრობას, ორთოეპიასა და ინტონაციას.

ტექსტის საანალიზოდ მოსწავლეები ერთმანეთს დაუსვამენ კითხვებს (წყვილებში მუშაობა), აფასებენ ამ შეკითხვებზე მიღებულ პასუხებს.

მსჯელობენ გიას საქციელზე – რა თვისებებია დასაგმობი (სიცრუ, ტრაბახი), მისაბაძი (ცხრილი გადაწყვეტილების მიღება, დანაშაულის აღიარება).

მსჯელობენ, რის თქმა სურს მწერალს მკითხველისათვის (შეიძლება შეცდომა დაუშვა, მთავარია, შენ თვითონ აღიარო და გამოახსოვო).

#### ბ) რთული სიტყვების მართლწერაზე დაკვირვება (5 წუთი): (გამოიყენება ტექსტი)

მდინარისპირა, შინ დაბრუნებული, ვაითუ, კიხრისტებით, უკან დაბრუნებულს, დიდი-დიდი, გულ შეღორებული, შარაგ ზა, ორდობე.

გაირკვევა მათი მნიშვნელობა. ამ სიტყვების გამოიყენებით შედგება წინადადებები.

#### გ) სინონიმებზე მუშაობა: (3 წუთი)

შეურჩიე ტექსტიდან მსგავსი მნიშვნელობის სიტყვები:

გზა – (შარა)

გორაკი – (ბეჭობი)

ატირდა – (აქვითინდა)

სახლში – (შინ)

#### დ) ენობრივ მასალაზე დაკვირვება (12 წუთი)

##### ლექსიკურ-ფრაზეოლოგიური მუშაობა:

ტექსტში მოცემული სიტყვათა შეხამების „გული წაუგიდა“ – გრძნობა დაკარგა, „გული გაუსკდებოდა“ – (ძალიან შეეშინდებოდა) ანალოგიით, მასწავლებელთა დახმარებით, მოსწავლეები იხსენებენ სხვადასხვა სიტყვის შეხამებას (ჯგუფებში მუშაობა):

გულიდან ამოიღებს – შეიძულებს, დაივიწყებს.

გული ამოუგარდება – გული ძლიერ აუმგერდება (დაღლის ან ძლიერი განცდის გამო)

დიდი გული აქვს – ამაყიდა

გული არ უდგება – ვერ ჩერდება, სადმე წასვლა უნდა.

გულს გაუკეთებს – დააიმედებს

გული ეწვის – გული სტკივა ვისიმე, რისამე სიბრალულით

გულს ვერ უდებს – საქმის, მუშაობის ხალისი არა აქვს

გული მოსდის – ბრაზდება

გული მოუგვდება – ძლიერ შეწუხდება, ძალიან შეეცოდება...

– საგნის რაოდენობის აღმნიშვნელი სიტყვის გაცნობა:

მოსწავლეები აკვირდებიან სიტყვებს – „სამი“, „თვრამეტი“, „თხუთმეტი“ – სახელმძღვანელოში მოცემულ წინადაღებებში (გვ. 101) ადგენენ, რას აღნიშნავს ეს სიტყვები (საგნის რიცხვს), რა კითხვა დაესმის მათ (რამდენი?).

ასახელებენ, რამდენი მოსწავლეა კლასში, რამდენია გოგონა და რამდენი ვაჟი; რამდენი მერჩი დგას საკლასო ოთახში, თითოეულ მერჩე რამდენი მოსწავლე ზის...

მოსწავლეებს მასწავლებლის დახმარებით გამოაქვთ დასკვნა: საგნის რაოდენობის აღმნიშვნელ სიტყვას რიცხვითი სახელი ეწოდება, მისი კითხვაა რამდენი?

ასახელებენ რიცხვით სახელებს. კითხულობენ სახელმძღვანელოში მოცემულ განმარტებას (გვ. 100).

ასრულებენ აქტივობების რვეულები მე-5 დავალებას: ლექსიდან ამოიწერეთ რიცხვითი სახელები არსებითობაზე ერთად (პასუხებია: ერთი ბეღურა, ასი პეპელა, ორი ათასი კალია, ასი ათასი მუხლუხი).

საკითხავ ტექსტში „ფიცი“ ეძებენ რიცხვით სახელებს (ერთი, ორი, სამი, შვიდი, ოხუთმეტი, ოვრამეტი).

– ვარჯიშობენ რიცხვითი სახელისა და არსებითი სახელის რიცხვში შეთანხმების საკითხებზე, ასრულებენ მე-6 დავალებას (აქტივობების რვეული). ასწორებენ დაშვებულ შეცდომებს (ხუთი ამხანაგი, ბევრი შეცდომა, ცოტა საჩუქარი, მრავალი ლექსი).

ე) გაპეტილის შეჯამება და შეფასება (5-6 წუთი).

გ) საშინაო დავალება (2-3 წუთი) – „ფიცი“ – ოხრობით. წერითი სამუშაო: დავალება 4. („აქტივობების რვეული“) – ტექსტის მიხედვით დაწერე: შეცდომის გასწორება.

შედეგების კოდი: III 2, III 4, III 6, III 7, III 8, III 9, III 10.

## გაპგეთილების მასალა

„შევცდით?!“ (ნ. ნოსოვის მიხედვით), რიცხვითი სახელი, მარტივი  
მიზნობრივი ტექსტი (3 სთ)

### მიზნები

- კითხვის მარტივი სტრატეგიების დაუფლება
- გაბმულ მეტყველებაზე მუშაობა
- საკუთარი აზრის დასაბუთება
- შინაარსის წერილობითი გადმოცემა
- პრაქტიკული სტილისტიკის საკითხებზე მუშაობა რიცხვით სახელობის დაკავშირებით
- მარტივი მიზნობრივი ტექსტის შედგენა
- სხვადასხვა პირში თხრობა

### აქტივობები

- მოსწავლე კითხულობს და აანალიზებს ლიტერატურულ ტექსტს
- ყოფს მას ცალკეულ ნაწილებად და ადგენს გეგმას
- ამ გეგმის მიხედვით გადმოცემს წაკითხულის შინაარსს ჯერ თხრობით, შემდეგ – წერილობით
- გამოთქამს და ასაბუთებს თავის აზრს
- ადგენს მარტივ მიზნობრივ ტექსტებს – ა) ნაპოვნია: ... , ბ) დავკარგე: ...)
- აკვირდება რიცხვითი სახელის რაობას, იყენებს მას მეტყველებაში სწორი ფორმით
- მუშაობს ჯგუფურად, წყვილებში, ინდივიდუალურად

## I. ტექსტური მუშაობა

1. კითხვისათვის მზადება – მასწავლებელი ამზადებს კლასს ტექსტის მოსასმენად, ამ მიზნით აცნობს სიუჟეტის მხრივოდ დასაწყისს და სვამს კითხვას: თქვენი აზრით, როგორ არის მოსალოდნელი ამბის შემდგომი განვითარება?

2. ტექსტის კითხვა – ტექსტს კითხულობენ პაუზებით. პაუზები კეთდება იქ, სადაც მასწავლებელი ჩათვლის საჭიროდ. თითოეული პაუზის შემდეგ მოსწავლეებს უნდა მიეცეთ საშუალება, გამოთქან ვარაუდი სიუჟეტის შემდგომი განვითარების შესახებ. ამ დროს აისხება კლასისათვის გაუგებარი სიტყვები და გამოთქმები.

3. ტექსტის ანალიზი – გაირკვევა, ვინ და ვინ არიან ნაწარმოების მთავარი გმირები (კახა და დათო), არამთავარი გმირები (უცნობი ქალი და ნატო ბებია), სად ხდება მოქმედება (ერთ-ერთ ქალაქში), საიდან ჩანს ეს (კახას მისამართიდან), კახასა

და დათოს ოა თვისებებია ასახული ამ ნაწარმოებში (მოსწავლეები თავიანთ აზრს ასაბუთებენ ტექსტიდან და კითხულობენ სათანადო ადგილებს); ოა ხერხს მიმართეს ბიჭებმა პატრონის მოსაძებნად, ოა ტიპის განცხადება შეადგინეს; ოისი მითითებაა აუცილებელი ამგვარი განცხადებების შედგენისას; სწორად მოიქცნენ თუ არა ისინი, როცა პატრულს არ მიმართეს და თვითონვე გადაწყვიტეს პატრონის მოძებნა; რამდენად მისაღებია მათთვის უცნობი ქალის დარიგება (რვეული, დავალება №1); რატომ ადარ გაახსენდათ მათ უცნობი ქალის დარიგება; რატომ იმსახურებდა ნატო ბებო ახეთ ნდობას; საიდან ჩანს, რომ ჩანთის პატრონი სწორედ ნატო ბებო იყო... მათი აზრით, რატომ უწოდა მწერალმა ამ მოთხოვნის „შევცდით?“, რატომ იხმარა სათაურში კითხვის ნიშანი, ვის მიმართავს მწერალი ამ კითხვით...

მოსწავლეები ჩუმად კითხულობენ ტექსტს, ყოფენ მას ცალკეულ ნაწილებად, ადგენენ გეგმას (რვეული, დავალება №2, სავარაუდო პასუხები: ხელჩანთის პოვნა, ბიჭების გადაწყვეტილება, განცხადება, უცნობი ქალის დარიგება, პატრონის გამოჩენა). ამ გეგმის მიხედვით გადმოცემენ ტექსტის შინაარსს ჯერ თხოვნით, შემდეგ – კი წერილობით (დავალება №3).

## II. მნიშვნელოვანი დაკვირვება

1. მარტივი მიზნობრივი ტექსტის შედგენა – მოსწავლეები ადგენენ განცხადებას დაკარგული და ნაპოვნი ნივთების შესახებ; იცავენ იმ აუცილებელ ატრიბუტებს, რომლებიც საჭიროა ამგვარი ტიპის განცხადებისათვის (დაკარგული ნივთის დასახელება, მისამართისა და ვინაობის მითითება – დავალება №4).
2. რაოდენობით და რიგობით რიცხვით სახელებზე დაკვირვება – მოსწავლეები აკვირდებიან განცხადების ტექსტს და ასახელებენ სიტყვებს, რომლებიც უპასუხებს კითხვებზე: რომელი? მერამდენე? არკვევენ, რას აღნიშნავს ეს სიტყვები (საგნების რიგს), აკვირდებიან და აღწერენ საკლასო ოთახს, ადგენენ ტექსტს და გამოყოფენ მათში სიტყვებს, რომლებიც აღნიშნავს: а) საგნების რაოდენობას (ოცი მერხი, ცხრა-მეტი მოსწავლე, თრი ფანჯარა, ერთი მაგიდა, ერთი სკამი...) და ბ) საგნების რიგს (მეორე სართული, მესამე რიგი, პირველი მერხი....).... სრულდება დავალებები: №5 და №6.
3. სხვადასხვა პირში თხოვნა – მოსწავლეები გადმოსცემენ ტექსტის შინაარსს ჯერ I, შემდეგ კი – III პირში.

**შედეგების კოდი:** III 2, III 3, III 4, III 5, III 6, III 9, III 10.

## გაპგეთილების მასალა

„ერთი მანეთის შოვნა“ (ქართული ხალხური ზღაპარი),  
ფრაზეოლოგიზმები (2 სთ)

### მიზნები

- ლიტერატურული ტექსტის კითხვა და ანალიზი
- კითხვის მხარეების სრულყოფა
- ლოგიკური თანმიმდევრობით თხრობა
- საკუთარი აზრის დასაბუთება
- საგანოშორისი კავშირი (სტუმრად მათემატიკასთან)

### აქტივობები

- მოსწავლე კითხულობს და აანალიზებს ტექსტს
- გამოთქვამს და ასაბუთებს თავის აზრს
- გადმოსცემს წაკითხულის შინაარსს
- წერს
- აკვირდება ტექსტი გამოყენებულ ფრაზეოლოგიზმებს და იყენებს მეტყველებაში

## I. ტექსტზე მუშაობა

1. კითხვისათვის მზადება – მასწავლებელი კლასს ახსენებს ანდაზებს, რომლებიც ტყუილის თქმას შეეხება (ტყუილს მოკლე ფეხები აქვს; ფიცი მწამს, ბოლო მაკვირვებს; ქურდს კუდი ეწვისო...). და ავალებს, რომელიმე ამ ანდაზის მიხედვით შეადგინონ ამბავი და გააცნონ კლასს. შეიძლება ეს სამუშაო ჯგუფურადაც შესრულდეს.

2. ტექსტის კითხვა – ტექსტს თავიდან ბოლომდე კითხულობს ან მასწავლებელი, ან კითხვაში გაწაფული რომელიმე მოსწავლე. გზადაგზა, ტექსტის კითხვის პროცესში, აიხსნება მოსწავლეთათვის გაუგებარი სიტყვები და გამოთქმებიც. გამოიყენება კითხვის ორივე სახე – სმამადალი და ჩუმი. ჩუმი კითხვისათვის მოსწავლეებს ეძლევათ დავალება – წაიკითხონ ტექსტი და გაარკვიონ – ხომ არ დარჩა მასში მათოვის გაუგებარი რომელიმე სიტყვა; მოძებნონ და ამოიკითხონ მითითებული ადგილი (მაგ., წაიკითხეთ ადგილი, სადაც აღწერილია მამის გადაწყვეტილება, დედის რჩევა...); შეურჩიონ ტექსტის თითოეულ მონაკვეთს სათაური... ამოიწერონ ტესტიდან ის ადგილი, რომელიც, მათი აზრით, მთავრია (დავალება №3).

**3. ტექსტის ანალიზი** – მოსწავლეები ახასიათებენ პერსონაჟებს, აფასებენ მათ მოქმედებას (რამდენად მისაღებად ეჩვენებათ მამის გადაწყვეტილება; იმსახურებდა თუ არა შვილი მამის ასეთ უნდობლობას; რამდენად ამართლებენ დედის მოქმედებას; მათი აზრით, რა იყო შვილის ასეთი სიზარმაცისა და სიცრუის მიზეზი...); აყალიბებენ საკუთარ აზრს და ასაბუთებენ მას (რვეული, დავალებები: №1 და №2, სახელმძღვანელო – დაახაძულე შენი აზრი), ტექსტის გააზრებაში მოსწავლეს დაეხმარება აგრეთვე ტესტური დავალებაც (სწორი პასუხია ა).

## II. ენობრივ მასალები დაკვირვება

**1. ლექსიკური მარაგის გამდიდრება** – მოსწავლეები აკვირდებიან ტექსტში გამოყენებულ ლექსიკურ არქაიზმებს (ფულის ერთეულები: კაპიკი, შაური, მანქო; სიგრძის საზომი ერთეული – ვერსი...), განმარტავენ მათ მნიშვნელობას; აანალიზებენ, რაზე მიგვითოვებს მათი გამოყენება ტექსტში (რომ აქ აღწერილი ამბავი ძველად მოხდა – დავალება №4). აქვე შეიძლება შევასრულოთ დავალება №5 (სტუმრად მათებატიკასან).

**2. ფრაზეოლოგიზმებზე დაკვირვება** – სახელმძღვანელო, გვ. 106, ოქვით ერთი სიტყვით – „გაემგზავრა იქ, საიდანაც აღარ ბრუნდებიან“ – გარდაიცვალა; „გული მოუკვდა“ – ძალიან ეწყინა; „გული დაეწვა“ – ძალიან ეწყინა; „გული მოუკიდა“ – გაბრაზდა; „გული მიუცა“ – გამხნევდა, გამაგრდა.

**შედეგების კოდი:** III 1, III 2, III 4, III 5, III 8.

მომდევნო ორი კვირეული საათის დაგეგმვას (იოსებ გრიშაშვილის „მოხუცის დარიგება“, რიცხვითი სახელი) მოლიანად მასწავლებელს ვანდობთ.

## გაპგეთილების მასალა

იროდიონ ევდოშვილის „რას გალობს შაშვი“, ჩამოთვლილი და  
გამაერთიანებელი სიტუაციი, სასეუნი ნიშანი  
გამაერთიანებელ სიტუაციასთან (3 სთ)

### მიზნები

- მხატვრული ტექსტის კითხვა და ანალიზი
- გაბული მეტყველების განვითარება
- გამომეტყველებით კითხვაში ვარჯიში
- სხვადასხვა პირში თხრობა
- გამაერთიანებელი სიტყვის რაობაში გარკვევა
- ახალი პუნქტუაციური ნიშნის (ორწერტილის) გაცნობა

### აქტივობები

- მოსწავლე კითხულობს და აანალიზებს ლიტერატურულ ტექსტს
- გადმოსცემს მის შინაარსს
- გამოხატავს და ასაბუთებს თავის აზრს
- ვარჯიშობს პუნქტუაციაში, ეცნობა „ორწერტილის“ ხმარების კონკრეტულ შემთხვევას
- ეუფლება პრაქტიკული სტილისტიკის საკითხებს (სხვადასხვა პირში თხრობა)
- თხზავს მხატვრულ ტექსტს სათაურის, დასაწყისისა და დასასრულის მიხედვით
- წერს

### I. ტექსტზე მუშაობა

1. კითხვისათვის მზადება – მოსწავლეები აკვირდებიან სახელმძღვანელოში მოთავსებულ სურათს და მასწავლებლის მითითებით ადგენენ ტექსტს – რას გალობს გალიაში დატყვევებული ფრინველი? ეს სამუშაო შეიძლება შევთავაზოთ ჯგუფებსაც: კლასი იყოფა სამ ჯგუფად და თითოეული ჯგუფი წარმოადგენს ტექსტის საკუთარ ვარიანტს, რომლებიც განიხილება და შეფასდება კლასშივე.

2. ტექსტის კითხვა და ანალიზი – მასწავლებელი ტექსტს კითხულობს თავიდან ბოლომდე გამომეტყველებით, შემდეგ მოსწავლეები კითხულებენ ნაწილ-ნაწილ და მთელი კლასის მონაწილეობით აიხსნება გაუგებარი სიტყვები და გამოთქმები. ტექსტი დაიყოფა ნაწილებად და შედგება გეგმა (**დაგალება №2**). გაირკვევა, როდის ხდება ნაწარმოებში აღწერილი მოქმედება, თუ არის ამის შესახებ მინიშნება ტექსტში, წელიწადის რომელი დროებია აღწერილი, როგორ ხატავს ცივ ზამთარს ავტორი, ვინ

მოგვითხრობს ამ ამბავს, **რატომ** მიმართავს ამ ხერხს მწერალი (რომ უფრო ემოციური და შთამბეჭდავი გახადოს თხრობა), **რა განწყობით** უნდა წავიკითხოთ ეს მოთხრობა, **რის თქმა** სურს მწერალს მკითხველისათვის, **საიდან** ჩანს ეს... სრულდება დავალება №1. ტექსტის გააზრებას ეხმარება ტექსტური დავალებები (სწორი პასუხებია: 1 გ, 2 ა).

**3. მხატვრული ტექსტის შექმნა დასაწყისისა და დასასრულის მიხედვით – დავალება №3.**

## II. ენობრივ მასალზე დაგვირგვინვა

**1. სხვადასხვა პირში თხრობა** – მოსწავლეები გადმოსცემენ ამ ტექსტის შინაარსს ჯერ I, შემდეგ კი – III პირში.

2. ჩამოთვლილი და გამაერთიანებელი **სიტყვები**, **სასვენი ნიშანი** (ორწერტილი) გამაერთიანებელ სიტყვასთან – დაფაზე იწერება წინადადება: „**თოვლზე ვხედავდი უსიცოცხლო ფრინველებს:** ბეღურებს, ჩხიკვებს, ყვავებს, კაჭკაჭებს“. გაირკვევა, რომელ სიტყვებს აერთიანებს ამ წინადადებაში სიტყვა „**ფრინველებს**“ (ბეღურებს, ჩხიკვებს, ყვავებს, კაჭკაჭებს), რა სასვენი ნიშანი იწერება მასთან (ორწერტილი). კლასში სრულდება და გაანალიზდება **დავალება №4**, შინ შესასრულებლად შეიძლება მიკვეთ **დავალება №5**. თუ დრო დარჩა, კარგი იქნება, თუ მასწავლებელი აღნიშნული სავარჯიშოებით არ დაკმაყოფილდება და თავადაც შესთავზებს კლასს ანალოგიურ დავალებებს.

**შედეგების კოდი:** III 2, III 4, III 6, III 10, III 11.

მომდევნო თრი კვირეული საათის დაგეგმვას (ანა კალანდაძის „**შემოვლენ როკ-კით**“) მოლიანად მასწავლებელს ვანდობოთ.

## გაპგეთილების მასალა

გუგული ტოგონიძის „ბალახის სიმღერა“, ჩამოთვლილი და გამაერთიანებელი სიტყვები, სასენი ნიშნები მათთან (2 სთ)

### მიზნები

- კითხვის მარტივი სტრატეგიების დაუფლება
- ბალახოვანი მცენარეების შესახებ მარტივი საგანმანათლებლო ინფორმაციის მიღება და შეჯამება (საგანმანათლებლო კურსების მიზნების განვითარება)
- მხატვრულ სახეებზე დაკვირვება (პრაქტიკულად)
- მარტივი დარგობრივი ტექსტის შედგენა
- გამაერთიანებელი (განმაზოგადებელი) სიტყვა, მისი რაოდა
- მარტივი პუნქტუაციური ჩვენების ფორმირება

### აქტივობები

- მოსწავლე იდებს და აჯამებს მარტივ საგანმანათლებლო ინფორმაციას ბალახოვანი მცენარეების შესახებ
- კითხულობს და აანალიზებს მხატვრულ ტექსტს
- აკვირდება მხატვრულ სახეებს
- აკეთებს დასკვნებს, ასაბუთებს თავის აზრს
- ეუფლება კითხვის მარტივ სტრატეგიებს
- ასრულებს პუნქტუაციურ სავარჯიშოებს

## I. ტემსტზე მუშაობა

**1. კითხვისათვის მზადება – მასწავლებელი მოსწავლეებს გაახსენებს იმ ინფორმაციას ბალახოვანი მცენარეების შესახებ, რაც მათთვის უკვე ცნობილია ბუნების მეტყველების გაკვეთილებიდან. მოსწავლეები საუბრობენ ბალახოვანი მცენარეების თავისებურებაზე, ისესნებენ და ასახელებენ სხვადასხვა ბალახოვან მცენარეს. იგსება „გონებრივი იერიშის“ რუკა.**

**2. ტექსტის კითხვა – მასწავლებელი ტექსტს კითხულობს გამომეტყველებით თავიდან ბოლომდე. შემდეგ ტექსტს მოსწავლეები კითხულობენ ნაწილ-ნაწილ და მთელი კლასის მონაწილეობით ისესნება გაუგებარი სიტყვები და გამოთქმები. ახლადშესწავლილი სიტყვების გამოყენებით აღგენენ წინადადებებს. ტექსტს კითხულობენ როგორც ხმამაღლა, ისე ჩუმად. ჩუმი კითხვის პროცესში მასწავლებელი კლასს აძლევს დავალებას, დაყონ ტექსტი ცალკეულ მონაკვეთებად და თითოეულ ნაწილს შეურჩიონ სათაური (რვეული, დავალება №2), ან პირიქით – მოძებნონ ტექსტში კონკრეტული ადგილი და ამოიწერონ (დავალება №1).**

3. ტექსტის შინაარსის გადმოცემა და ანალიზი – მოსწავლეები ტექსტის შინაარსს გადმოსცემენ ჯერ ნაწილ-ნაწილ, კითხვებზე პასუხებით, შემდეგ კი – გაძმული თხრობით. ტექსტის ანალიზისას გაირკვევა, რა იყო ბალახის წუხილის მიზეზი; რატომ ნატრობდა იგი მაინცდამაინც ხედ გადაქცევას; როგორი იყო ბუნება ბალახის გარეშე; რა იყო მისი ტირილის მიზეზი; რატომ ამდერდა იგი; რის თქმა სურს მწერალს ჩვენთვის ამ ნაწარმოებით; რომელი ადგილია ტექსტში, მათი აზრით, ყველაზე ლამაზი და შთამბეჭდავი... (ამ კითხვებზე პასუხების გაცემისას მოსწავლეები აუცილებლად ასაბუთებენ თავიათ აზრს და საჭიროების შემთხვევაში იყენებენ ტექსტსაც). სრულდება დავალება №3.

## II. უნიკალური მასალაზე დაგვირგვება

1. სხვადასხვა პირში თხრობა – მოსწავლეები აკვირდებიან, ვინ გადმოგვცემს ნაწარმოებში მოორიენტირდებიან, ამბავს; რატომ მიმართავს ამ ხერხს ავტორი; რა შეიცვლებოდა, თუ ამ ამბავს თვითონ მწერალი მოგვითხრობდა; გადმოსცენ ტექსტის შინაარსი ისე, თითქოს მას თავად მწერალი გვიყვება.

2. მარტივი დარგობრივი ტექსტის შედგენა – დავალება №4, პასუხები: 4, 3, 5, 1, 6, 7, 2, 8..

3. ჩამოთვლილი და გამაერთიანებელი (განმაზოგადებელი) სიტყვები, სასვენი ნიშნები მათთან – დაფაზე იწერება წინადადება: „ბალახებია: მრავალძარღვა, მატიტელა, ორფოთოლა, სამყურა“. მოსწავლეები აკვირდებიან რომელი ბალახების სახელწოდებებია ამ წინადადებებში ჩამოთვლილი (მრავალძარღვა, მატიტელა, ორფოთოლა, სამყურა), რომელი სიტყვა აერთიანებს მათ (ბალახებია), რა სასვენი ნიშანი იწერება გამაერთიანებელ სიტყვასთან, ჩამოთვლილ სიტყვებთან, სულ რამდენი სასვენი ნიშანია ამ წინადადებაში გამოყენებული, რატომ... სრულდება სავარჯიშოები №5 და №6.

4. კრებით სახელებზე დაკვირვება – სახელმძღვანელო, გვ. 115, პასუხები: გუნდი, რემა (ჯოგი), ფარა.

შედეგების კოდი: III 2, III 3, III 4, III 6, III 9.

„წაიკითხე თვითონ“ – „შეხე, ჩვენი საქართველო როგორ აყვავილებულა“ (წიგნის სამყარო“, VIII თემა).

## გაპგეთილების მასალა

„რატომ დამუნჯდნენ ხეები“ (ესტონური ხალხური ზღაპარი), ჩამოთვლილი და გამაერთიანებელი (განმაზოვანებელი) სიტუაცია, როგორი სიტუაციის (ორცნებიანი კომპოზიტების) მართლწერა (3 სთ)

### მიზნები

- ფოთლოვანი და წიწვოვანი ხეების გაცნობა (საგანოშორისი კავშირი ბუნების-მეტყველებასთან)
- ლიტერატურული ტექსტის კითხვა და ანალიზი
- გაბმული მეტყველების განვითარება
- კითხვის მარტივი სტრატეგიების დაუყოლება
- ლექსიკური მარაგის გამდიდრება
- ლიტერატურის ჟანრებზე (ხალხური ზღაპარი) დაკვირვება
- ორთოგრაფიული და პუნქტუაციური ჩვევების დაუყოლება
- მარტივი დარგობრივი ტექსტის შექმნა

### აქტივობები

- მოსწავლე აჯამებს მარტივ საგანმანათლებლო ინფორმაციას ტყის შესახებ (საგანოშორისი კავშირი)
- კითხულობს და აანალიზებს ტექსტს
- გამოთქამს და ასაბუთებს თავის აზრს
- ქმნის მარტივ დარგობრივ ტექსტს
- ეცნობა ორცნებიანი კომპოზიტების მართლწერას
- ვარჯიშობს პუნქტუაციაზე
- მუშაობს წყვილებში, ჯგუფურად

## I. ტმშსტავი მუშაობა

**1. კითხვისათვის მზადება –** მოსწავლეები იხსენებენ იმ ინფორმაციას, რაც მათ ბუნებისმეტყველების გაკვეთილებზე მიიღეს ფოთლოვანი და წიწვოვანი მცენარეების შესახებ. საუბრობენ ტყის დანიშნულებაზე, მის მნიშვნელობაზე, მოვლა-პატრონობაზე, ადამიანისა და ტყის ურთიერთდამოკიდებულებაზე...

**2. ტექსტის კითხვა –** მასწავლებელი ტექსტს კითხულობს პაუზებით. პაუზებს აკეთებს იქ, სადაც თვითონ ჩაოვლის საჭიროდ. თითოეული პაუზის შემდეგ მოსწავლეებს აძლევს შესაძლებლობას, გამოთქან ვარაუდი, როგორ განვითარდება, მათი აზრით, ტექსტის მიხედვით შემდგომში მოქმედება. პაუზებით კითხვის პროცესში იხსება გაუგებარი სიტყვები და გამოთქმები. მოსწავლეები რამდენჯერმე კითხულობენ ტექსტს, გამოიყენება კითხვის ორივე სახე – ხმამაღალი და ჩუმი. ჩუმი კითხვისას

მოსწავლეები ტექსტს ყოფენ ცალკეულ ნაწილებად და ასათაურებენ (დაგალება №2, სავარაუდო სათაურები: ა) ფოთლოვანი ხეების თხოვნა; ბ) წიწვოვანი ხეების თხოვნა; გ) ჯადოქრის საჩუქარი; დ) წევბლის ძალა; ე) როდის დამუნჯდნენ ხეები).

3. ტექსტის ანალიზი და შინაარსის გადმოცემა – მოსწავლეები აანალიზებენ ტექსტს, გაირკვევა რომელ ლიტერატურულ ჟანრს ეკუთვნის იგი (ზღაპარია), ამ ჟანრის დამახასიათებელი რა ნიშნები აქვს მას (ფანტასიურ ელემენტებს შეიცავს – მზე მიწაზე ჩამოვიდა, წევბლას ჯადოსნური ძალა აქვს, ერთ-ერთი პერსონაჟი ჯადოქრია, საბოლოოდ მარცხდება ძოროტება, ხეები ლაპარაკობენ...), რა აზრია ამ ზღაპარში გატარებული (ხიკეთ შეუმჩნეველი არ რჩება, ადამიანმა უნდა შეძლოს ხიკეთის დანახვა, მეტისმეტი არახოდებს არ უნდა მოინდომოს...), ახასიათებენ პერსონაჟებს, თავიანთ მოსაზრებას ასაბუთებენ, ტექსტიდან კითხულობენ სათანადო ადგილებს. ტექსტის შინაარსს გადმოსცემენ ჯერ კითხვებზე პასუხებით, შემდეგ კი – გაბმული თხრობით. სრულდება დაგალებები №1 და №3.

## II. ენობრივ მასალაზე დაპგირებება

1. მარტივი დარგობრივი ტექსტის შედგენა – დაგალება №4. პასუხები: 1, 3, 5, 4, 2.
2. პუნქტუაციაში ვარჯიში – დაგალება №5.

3. რთული სიტყვების მართლწერა – დაფაზე იწერება ორცნებიანი კომპოზიტები ტექსტიდან (ცოლ-შვილი, ზამთარ-ზაფხული, სახლ-კარი, ხეეწნა-მუდარა), გაირკვევა, რამდენ საგანს აღნიშნავს (ორს), შეიძლება თუ არა მათ შორის და კაგშირის ჩასმა. სათანადო მაგალითებზე დაკვირვებით გამოაქვთ დასკვნა, რომ ასეთი სიტყვები დაფისით იწერება, „რვეულიდან“ სრულდება დაგალება №6.

შედეგების კოდი: III2, III4, III5, III6, III7, III8.

## გაპგეთილების მასალა

რევაზ ინანიშვილის „სად ცხოვრობს მეზღაპრე“; სიტუვის სემანტიკა (ძირული და წარმოქმნილი სიტუაციები), სასენი ნიშნების ხმარება ჩამოთვლილ სიტუაციან, რთული სიტუაციის მართლწერა (2 სთ)

### მიზნები

- ლიტერატურული ტექსტის კითხვა და ანალიზი
- მხატვრულ სახეებზე დაკვირვება
- მარტივი მხატვრული ტექსტის შეთხვა
- ლექსიკური მარაგის გამდიდრება
- სიტყვათა წარმოქმნაზე დაკვირვება (კნინობითი და ხელობის აღმნიშვნელი სახელები)
- პუნქტუაციური ჩვევების ფორმირება
- რთული სიტყვების (ორცნებიანი კომპოზიტების) მართლწერა

### აქტივობები

- მოსწავლე კითხულობს და აანალიზებს მხატვრულ ტექსტს
- გადმოსცემს წაკითხულის შინაარსს
- წერს
- ქმნის მხატვრულ ტექსტს დასაწყისისა და დასასრულის მიხედვით
- აკვირდება სიტყვათწარმოქმნის გარკვეულ შემთხვევებს (კნინობითი და ხელობის აღმნიშვნელი სიტყვები)
- ვარჯიშობს პუნქტუაციასა და ორთოგრაფიაში

## I. ტექსტური მუშაობა

**1. კითხვისათვის მზადება** – მოსწავლეები იხსენებენ წაკითხულ ზღაპრებს, მათ ავტორებს, ეროვნულ ადარებებს ხალხურ და ლიტერატურულ ზღაპრებს, მსჯელობებს იმ სპეციფიკურ ნიშნებზე, რაც საერთოა ყველა ზღაპრისათვის (ეს გაკვეთილი შეიძლება ჩატარდეს არატრადიციულადაც და იგი კლასგარეშე ღონისძიებას დაუკავშირდეს, მაგ., „სტუმრად ზღაპართან“).

**2. ტექსტის კითხვა** – მასწავლებელი ტექსტს თავიდან ბოლომდე კითხულობს გამომეტყველებით. შემდეგ მოსწავლეები კითხულობენ ტექსტს ნაწილ-ნაწილ. ამ დროს იხსენება გაუგებარი სიტყვები და გამოქმები, იყენებენ მათ სათანადო კონტექსტში (რვეული, დავალება №1), აკვირდებიან მხატვრულ სახეებს (ტანჭრული ვერხი, ფო-

თლები ჩურჩულებენ, ნისლი... გაყუჩდება, ნისლივით მხებუქი მოხუცი, ცუქცუქით გავა...), გაირკვევა, რატომ იყენებს მათ მწერალი. მოსწავლეები ვარჯიშობენ ტექსტის კითხვაში, გამოიყენება კითხვის ორივე სახე (ხმამაღალი და ჩუმი), განსაკუთრებული ყურადღება ექცევა გამომეტყველებით კითხვას. ჩუმი კითხვისას მასწავლებელი აძლევს დავალებას, მოძებნონ ტექსტში ადგილები, სადაც აღწერილია: ა) მეზღაპრის ხაცხოვრებელი ადგილი, ბ) განთიადის ხურათი, გ) ოეგზაობა, დ) მოხუცი მეზღაპრის ხტუმრები.

**3. ტექსტის ანალიზი** – გაირკვევა, რომ მეზღაპრე ამჯერად წარმოსახვითი პერსონაჟია, წარმოსახვითია მისი საცხოვრებელი ადგილიც; გაანალიზდება, როგორ აღწერს მწერალი მეზღაპრესა და მის ყოველდღიურ საქმიანობას; იმ ადგილს, სადაც იგი ცხოვრობს; არკვევენ, ტექსტში ასახული ამბებიდან რომელი შეიძლება მივიჩნიოთ რეალობად, რომელი მომენტებია აქ ფანტასტიკური; რომელ ლიტერატურულ ჟანრს განეკუთვნება ეს ნაწარმოები და რატომ... ეძებენ ტექსტში იმ ადგილს, რომელიც განსაკუთრებულად ლამაზად ეჩვენებათ (**დავალება №3**), ასაბუთებენ თავიანთ მოსაზრებას. აქვე წყვილებში მოსწავლეებს ეძლევათ დავალება, შეადგინონ პატარა ტექსტი (ამ შემოხვევაში – ზღაპარი) დასაწყისისა და დასასრულის მიხედვით (**დავალება №2**), საოაური თავად შეურჩიონ.

## I. მცობრივ მასალაზე დაკვირვება

1. სიტვათწარმოქმნაზე დაკვირვება – სახელმძღვანელო, გვ. 120, რვეული, დავალება №5.
2. პუნქტუაციაზე ვარჯიში – სახელმძღვანელო, გვ. 120, რვეული, დავალება №4.
3. რთული სიტყვების მართლწერა – დავალება №6..

**შედეგების კოდი:** III 2, III 3, III4, III 6, III 9.

## გაკვეთილების მასალა

თემატური გაკვეთილების ციკლი – „სტუმრად კეთილ მეზღაპრესთან“ (ჭაბუა ამირეჯიბის „ჭიამარა და ბოროტი კაცი“, ოტია იოსელიანის „ვირის ჭკუა“, გუგული ტოგონიძის „ჭიანჭველა და ფუტკარი“), სასვენი ნიშნები, ბრჭყალების ხმარების მარტივი შემთხვევები (8 სთ)

### მიზნები

- ლიტერატურული ზღაპრის კიოხვა და ანალიზი
- კიოხვის მარტივი სტრატეგიების დაუფლება
- ლიტერატურული პერსონაჟების მარტივი დახასიათება
- გაბმული თხრობის ჩვევის გამომუშავება
- საკუთარი აზრის დასაბუთება
- ლექსიკური მარაგის გამდიდრება
- პუნქტუაციური ჩვევების ფორმირება

### აქტივობები

- მოსწავლე კიოხულობს და აანალიზებს ლიტერატურულ ზღაპარს
- აკვირდება იმ მსაგავსებასა და განსხვავებას, რაც ლიტერატურულსა და ხალხურ ზღაპარს შორის არსებობს
- ყოფს ტექსტს ცალკეულ მონაკვეთებად და ადგენს გეგმას
- გადმოსცემს წაკიოხულის შინაარსს
- მარტივად ახასიათებს ლიტერატურულ პერსონაჟებს
- წერს
- ვარჯიშობს პუნქტუაციაში
- ეცნობა ახალ სასვენ ნიშანს (ბრჭყალებს) და მისი გამოყენების მარტივ შემთხვევებს

ეს გაკვეთილები შეიძლება ჩატარდეს რამდენადმე არატრადიციული ფორმით და დაუკავშირდეს კლასგარეშე დონისძიებას. არჩევანს მთლიანად მასწავლებელს ვანდობო. საათების განაწილებაც მისოვის მიგვინდია. მიუკუთხოვთ მხელოდ ერთს – რვეულში მოცემული დავალებები: „დასვი სასვენი ნიშნები“ (№6, გვ. 25) და „ჩასვი ბრჭყალებში სათანადო სიტყვები“ (№5, გვ. 27) მასწავლებელმა შეიძლება გამოიყენოს სმენითი კარნახისოვისაც.

## გაპგეთილების მასალა

ივანე კრილოვის „ჭრიჭინა და ჭიანჭველა“, ფრაზეოლოგიზმები, სასვენი ნიშნები (ბრჭყალები) (2 სო)

### მიზნები

- მხატვრული ტექსტის კითხვა და ანალიზი
- ლიტერატურული პერსონაჟების მარტივი დახასიათება
- საკუთარი აზრის დასაბუთება
- გამომეტყველებით კითხვაში ვარჯიში
- შინაარსის წერილობითი გადმოცემა
- პუნქტუაციასა და ორთოგრაფიაზე ვარჯიში
- ფრაზეოლოგიზმებზე დაკვირვება

### აქტივობები

- მოსწავლე კითხულობს და აანალიზებს ლიტერატურულ ტექსტს
- ვარჯიშობს გამომეტყველებით კითხვაში
- მარტივად ახასიათებს ლიტერატურულ პერსონაჟებს და ასაბუთებს თავის აზრს
- წერს, ვარჯიშობს შინაარსის წერილობით გადმოცემაზე

## I. ტექსტზე მუშაობა

**1. კითხვისათვის მზადება –** მასწავლებელი კლასს ახსენებს იგავ-არაკის რაობას, ყურადღებას ამახვილებს იმ განსხვავებაზე, რაც იგავ-არაკსა და სხვა ლიტერატურულ ჟანრებს შორის არსებობს (იგავ-არაკი დამრიგებლობითი ხასიათისაა, ავტორი არაპირდაპირ გვეუბნება თავის სათქმელს, ხშირად მოქმედ პირებად ცხოველები, ფრინველები და მწერები გვევლინებიან, მოცულობით შედარებით ძცირეა, შეიძლება დაწერილი იყოს როგორც პროზაული, ისე – ლექსის ფორმით...), იხსენებენ ცნობილ მეიგავეს – სულხან-საბა თრბელიანსა და მის მიერ დაწერილ იგავ-არაკებს.

**2. ტექსტის კითხვა და ანალიზი –** მასწავლებელი ტექსტს კითხულობს თავიდან ბოლომდე გამომეტყველებით. ამის შემდეგ ტექსტს ნაწილ-ნაწილ კითხულობებს მოსწავლეები და გზადაგზა სსნიან გაუგებარ სიტყვებსა და გამოთქმებს. აკვირდებიან ფრაზეოლოგიზმებს: **შიშმა წელი მოსწყვიტა – ძალიან შეეშინდა, ზამთარმა... თვალი გამოაჭყიტა – დადგა ზამთარი, კარზე მიადგა – ესტუმრა... ვარჯიშობენ სინონიმური ფორმების მოძებნაზე: მოცლილი – უსაქმერი, შეკრთა – შეშინდა, ვედრებით – ხვეწიოთ, მუდარით, იფარფაშე – იმხიარულე, ვილხენდი – ვერთობოდი... მოსწავ-**

ლექტი ტექსტს კითხულობენ ჩუმადაც, რა დროსაც მასწავლებელი აძლევს დავალებას (დგება შინაარსის გადმოსაცემი გეგმა). მოძებნეთ და წაიკითხეთ ის ადგილი, სადაც:  
ა) აღწერილია ჭრიჭინას უზრუნველობა; ბ) მისი შიში; გ) ჭიანჭველასთან სტუმრობა;  
დ) ჭიანჭველას პასუხი. სრულდება დავალება № 2, შეიძლება გამოვიყენოთ როლებად  
კითხვაც, რა დროსაც განსაკუთრებული ყურადღება მახვილდება ტემპზე, ინტონაცი-  
აზე, ფსიქოლოგიურ მახვილზე...

გაირკვევა, როგორი ადამიანი იგულისხმება ჭიანჭველაში, ჭრიჭინაში (ამ მიზნით  
შეიძლება გამოვიყენოთ როგორც „გონებრივი იერიშის რუპა“, ისე „ვენის დიაგრამა“),  
რის თქმა სურს მწერალს; ჩანს თუ არა ტექსტში, ვის აზრს იზიარებს მწერალი და  
რომელი გმირის მოქმედებას იწონებს (დაახასიათონ ტექსტიდან ხათანადო ადგილების  
ამოკითხით); თვითონ მოსწავლები როგორ შეფასებას აძლევენ ამ პერსონაჟების  
საქციელს... სრულდება დავალებები №1 და №3.

## II. ენობრივ მასალაზე დაპგირვება

პუნქტუაციური საფარჯიშო – დავალება №4.

შედეგების კოდი: III 2, III 4, III 5, III 7, III 9, III 11.

წაიკითხე თვითონ – „ზღაპარ იყო, ზღაპარ იყო...“ („წიგნის სამყარო“,  
IX თემა).

## გაპგეთილების მასალა

ლავრენტი ჭიჭინაძის „წკეზლები“, რიცხვში მონაცვლე ზმნები,  
ზუნქტუაციის მარტივი შემთხვევები (2 სთ)

### მიზნები

- მხატვრული ტექსტის კითხვა და ანალიზი
- პარალელების გავლება შესწავლილ (წაკითხულ) ლიტერატურულ ნაწარმოებებთან
- პერსონაჟების დახასიათება, საკუთარი აზრის დასაბუთება
- შინაარსის გადმოცემისას ლოგიკური თანმიმდევრობის დაცვა
- ლექსიკური მარაგის გამდიდრება
- რიცხვში მონაცვლე ზმნებზე დაკვირვება, მათი გამოყენება მეტყველებაში მართებული ფორმით
- პუნქტუაციური და ორთოგრაფიული ჩვევების ფორმირება

### აქტივობები

- მოსწავლე კითხულობს და ანალიზებს ტექსტს
- ახასიათებს პერსონაჟებს, ასაბუთებს თავის აზრს
- ავლებს პარალელს ადრე შესწავლილ ლიტერატურულ ნაწარმოებებთან, პოულობს მათ შორის მსგავსებასა და განსხვავებას
- ერთმანეთობან აკავშირებს ლიტერატურულ ნაწარმოებსა და ანდაზებს
- გადმოსცემს წაკითხულის შინაარსს
- ადგენს გეგმას
- წერს
- ვარჯიშობს ორთოეპიაზე, ორთოგრაფიაზე, ინტონაციაზე, პუნქტუაციაზე

### I. ტექსტის პითხება

1. კითხვისათვის მზადება – მოსწავლეები იხსენებენ ადრე შესწავლილ ნაწარმოებს „ბერიკაცი და ნამყენი“, აანალიზებენ სიტყვა „ნამყენის“ მნიშვნელობას, იხსენებენ, რა არის მყნობა, როდის ხდება იგი, რა მიზანი აქვს მას...

2. ტექსტის კითხვა და ანალიზი – მასწავლებელი ტექსტს კითხულობს პაუზებით (I პაუზა – I აძხაცის პოლობა, II პაუზა – II აძხაცის პოლობა, III პაუზა – IV აძხაცის პოლობა). მოსწავლეები ვარჯიშობენ ტექსტის კითხვაზე, გამოიყენება კითხვის ორივე სახე – სმამადალი და ჩუმი. მოსწავლეები ტექსტს კითხულობენ ნაწილ-ნაწილ და ადგენენ შინაარსის გადმოსაცემ გეგმას (დავალება №2). მასწავლებელი ყურადღებას

ამახვილებინებს კლასს იმ ადგილებზე, თუ როგორ აღწერს მწერალი გიას მღელვარებ-ბას, გიასა და ბაბუა ალექსის საუბარს, პერსონაჟთა რა თვისებები ჩანს ამ ადგილები-დან; სად, ტექსტის კიდევ რომელ მონაკვეთში, ჩანს პერსონაჟების ეს თვისებები; რო-გორ ამთავრებს მწერალი თხრობას; რის თქმა სურს მას მკითხველისათვის (**დავალება №1**)... მოსწავლეები იხსენებენ ადრე წაკითხულ მსგავსი თემატიკის ნაწარმოებებს (შ. ასანიშვილის „შემთხვევა“, რ. ინანიშვილის „კრეჭანა“, ქ. ჭილაშვილის „გაბერილი უბე“...) და ავლებენ მათ შორის პარალელებს. სრულდება **დავალება №3**; ასახელებენ და აანალიზებენ შესაბამის ანდაზებს („კარგი პქენი, ქვაზე დადგ, გაიარე, წინ დაგხ-ვდება...“).

## II. უცნობი მასალაზე დაპირვენა

ა) რიცხვში მონაცემები ზმნებზე დაკვირვება – სახელმძღვანელო, გვ. 133.

ბ) პუნქტუაციასა და ინტონაციაზე ვარჯიში – დავალება №4 (ეს დავალება მას-წავლებელმა შეიძლება გამოიყენოს კარნახით წერისოფისაც), დავალება №6 (პასუხი-ხილია: მსხალი, ქლიავი, ბალი, ვაშლი). შედგება წინადადება – ხილია: მსხალი, ქლია-ვი, ბალი, ვაშლი.

გ) ორთოეპია-ორთოგრაფიაზე ვარჯიში: დავალება №5. (მასწავლებელს შევახ-სენებო სავარჯიშოში გამოყენებული სიმბოლოების მნიშვნელობას:  – თანხმოვანი,  – ხმოვანი).

შედეგების კოდი: III 2, III 4, III 5, III 6, III 9, III 10.

## გაკვეთილების მასალა

მერი ბოლქვაძის „დარის ღრუბელი“, ბუნების მოვლენები, ერთსა და იმავე თემაზე მხატვრული და დარგობრივი ტექსტების კონსტრუირება (ფუნქციონალური სტილის გამოყენების უმარტივესი შემთხვევები) (3 სთ)

### მიზნები

- მხატვრული ტექსტის კითხვა და ანალიზი
- გაბმულ მეტყველებაზე მუშაობა
- მხატვრულ სახეებზე დაკვირვება
- ლექსიკური მარაგის გამდიდრება
- პუნქტუაციური ჩვევების ფორმირება
- ბუნების მოვლენებზე დაკვირვება, მარტივი დარგობრივი და მხატვრული ტექსტების შედგენა ერთსა და იმავე თემაზე
- საგანოშორისი კავშირი ბუნებისმეტყველებასთან
- სამეტყველო ეტიკეტის ფორმები

### აქტივობები

- მოსწავლე კითხულობს და აანალიზებს ლიტერატურულ ნაწარმოებს
- გადმოცემს მის შინაარსს
- ეუფლება ახალ ლექსიკურ ერთეულებს და პრაქტიკულად იყენებს მეტყველებაში
- ადწერს ბუნების მოვლენებს
- ადგენს მარტივ დარგობრივ და მხატვრულ ტექსტებს ერთსა და იმავე თემაზე
- აკვირდება სამეტყველო ეტიკეტის ფორმებს
- წერს

## I. საპითხავ ჟამში მუშაობა

**1. კითხვისათვის მზადება –** მასწავლებელი ბუნებისმეტყველების გაკვეთილებიდან (აგრეთვე წინა კლასში შესწავლილი ლიტერატურული მასალიდან) კლასს ახსენებს ბუნებაში წყლის მიმოქცევას, ესაუბრება წვიმის წარმოშობაზე, ცოცხალი თუ არა-ცოცხალი სამყაროსათვის მის მნიშვნელობაზე, იხსენებენ სათანადო მაგალითებს...

**2. ტექსტის კითხვა და ანალიზი –** მასწავლებელი ტექსტს თავიდან ბოლომდე კითხულობს გამომეტყველებით, საგანგებო ყურადღება ექცევა ტემპს, პაუზებს, მახვილებს, ინტონაციას... ამის შემდეგ ტექსტს ნაწილ-ნაწილ კითხულობენ მოსწავლები და გზადაგზა ხსნიან გაუგებარ სიტყვებსა და გამოთქმებს. ახალი სიტყვები და გამოთქმები იხსნება კლასის საერთო ძალებით, „სიტყვის სალაროს“ გამოყენებით.

გაირკვევა წელიწადის ომელი დროა ტექსტში აღწერილი, საიდან ჩანს ეს, ომელი მცენარეებია ნახსენები, რა იციან ამ მცენარეების შესახებ ბუნებისმეტყველების გაპვეთილებიდან...

მასწავლებელი ტერმინების გარეშე კლასს ყურადღებას ამახვილებინებს მხატვრულ სახეებზე (ეპითეტებზე – იისფერი, ნაცრისფერკაბა, ვარდისფერი; გაპიროვნებაზე – ღრუბლის ტირილი, ყვავილების წუწუნი, ღრუბელმა... კოპები შეიკრა, ღრუბელი სიამოვნებისაგან გაიბადრა, ღრუბელი... გაილურსა, ღრუბელმა წაიდუდუნა)... გაანალიზდება, რატომ, რა მიზნით იყენებს ამ მხატვრულ ხერხებს მწერალი, როგორ შეიძლება იმავე მოვლენის აღწერა სხვა სიტყვებით; აკვირვებს აგრეთვე სამეტყველო ეტიკეტის ფორმებზე (ღრუბელმა მზეს მოწიწებით სთხოვა, ღრუბელი ცაზე აბრძანდა, თუ შეიძლება, ჩამაცვით გარდისფერი კაბა...), გაირკვევა მათი ფუნქცია... სრულდება დავალება №1.

მოსწავლეები გადმოსცემენ წაკითხულის შინაარსს, ამ მიზნით შეიძლება წინასწარ შედგეს გეგმაც.

მხატვრული ტექსტის შედგენა დასაწყისისა და დასასრულის მიხედვით – დავალება №4.

## II. მნიშვნელოვანი დაკვირვებები

1. სინონიმებზე მუშაობა – დავალება №2, დავალება №5.
2. მარტივი დარგობრივი ტექსტის შექმნა – დავალება №3, პასუხები: 2, 4, 6, 3, 1, 5.
3. სახელმძღვანელოში მოცემული კროსვორდის პასუხები: ჯურდმული, გვირილა, სამყურა, კაბა, ხე, ყვავილი, წვეო.

**შედეგების კოდი:** III 2, III 3, III 4, III 6, III 8, III 9.

„ცა და დედამიწა“ (ხალხური) 2 სთ.

ეს მასალა ფაქტობრივად წინა თემის გაგრძელებაა, მის დაგეგმვას მთლიანად მასწავლებელს ვანდობთ.

## გაპგეთილების მასალა

ლუარსაბ ბოცვამის „ეფავილების ნადიმი“, კითხვითსიტყვიანი კითხვითი  
წინადადება, ინტონაცია (3)

### მიზნები

- მხატვრული ტექსტის კითხვა და ანალიზი
- კითხვის მარტივი სტრატეგიების დაუფლება
- წაკითხულის გაზრება და დასკვნების გამოტანა
- სამეტყველო ეტიკეტის ფორმებზე დაკვირვება
- ინტონაციური და პუნქტუაციური ჩვევების ფორმირება
- საგანთშორისი კავშირი (სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება)

### აქტივობები

- მოსწავლე კითხულობს და აანალიზებს ტექსტს
- ადგენს გეგმას
- გადმოსცემს ტექსტის შინაარსს
- აკეთებს დასკვნებს და ასაბუთებს თავის აზრს
- ქმნის ილუსტრაციას წაკითხულის მიხედვით
- წერს
- ეუფლება ინტონაციისა და პუნქტუაციის წესებს კითხვითსიტყვიანი კითხვითი წინადადების მაგალითზე

### I. ტექსტზე მუშაობა

**1. კითხვისათვის მზადება –** მასწავლებელი მოსწავლეებს აცნობს გაზაფხულის თვეების ქართულ სახელწოდებებს (მარტი – მირკანი, აპრილი – ივრიკა, მაისი – ვარდობისთვე), გაირკვევა, რატომ ჰქვია მაისს ვარდობისთვე, რომელი ყვავილები ყვავის მაისში, რატომ ითვლება ვარდი ყვავილების დედოფლად...

**2. ტექსტის კითხვა –** მასწავლებელი ტექსტს კითხულობს პაუზებით, პაუზებს აკეთებს იქ, სადაც თვითონ ჩათვლის საჭიროდ; მოსწავლეებს აძლევს საშუალებას გამოოქვან და დაასაბუთონ თავიანთი მოსაზრება მოვლენების შემდგომი განვითარების შესახებ. გზადაგზა „სიტყვის საღაროს“ დახმარებითა და მოსწავლეთა აქტიური მონაწილეობით აიხსნება გაუგებარი სიტყვები და გამოთქმები. ამ სიტყვების გამოყენებით დგება ფრაზები და წინადადებები. ტარდება გამოკრებითი კითხვაც: მოძებნეო და წაიკითხეთ ის ადგილები, სადაც აღწერილია: ა) ვარდის მზადება წვეულებისათვის; ბ) მშვენიერი სტუმრები; გ) მუსიკის მომაჯადობებელი ძალა... სრულდება დავალება №1. ჩემი კითხვისათვის მასწავლებელი კლასს აძლევს დავალებას: მოთხოვობა

დაყონ ნაწილებად და შეადგინონ შინაარსის გადმოსაცემი გეგმა. შეიძლება გეგმის ერთ-ერთი საკითხი წარმოადგინონ ნახატის სახითაც (დავალება №2).

**3. ტექსტის ანალიზი** – მოსწავლეები განმარტავენ, როდის ხდება ნაწარმოებში ასახული მოქმედება (დაასაბუთონ ტექსტიდან), ვინ და ვინ არიან ნაწარმოების მთავარი გმირები, მათი რა თვისებები ჩანს ტექსტში, როგორ აფასებენ თვითონ ამ გმირების საქციელს, თუ ჩანს ნაწარმოებში მწერლის დამოკიდებულება ამ გმირებისადმი, რის თქმა სურს მწერალს მკითხველისათვის; როგორ, რა საშუალებებით ახერხებს იგი ამას, ხომ არ გაიხსენებენ შესაფერის ანდაზას...

სრულდება ტექსტი დავალება (ხური პასუხებია: 1 გ, 2 ა).

**4. ტექსტის შინაარსის გადმოცემა** – მოსწავლეები ტექსტის შინაარსს გადმოსცემენ ჯერ კითხვებზე პასუხით, შემდეგ კი წინასწარ შედგენილი გეგმის მიხედვით. შეიძლება გეგმის ესა თუ ის საკითხი მივცეო დასახატავადაც.

## II. ენობრივ მასალაზე დაკვირვება

**ინტონაციასა და პუნქტუაციაზე ვარჯიში** – მასწავლებელი კლასს ყურადღებას ამახვილებინებს სახელმძღვანელოში მოცემულ კითხვით წინადადებებზე, სადაც კითხვითი სიტყვები განსხვავებული შრიფტითაა გამოყოფილი, და ავარჯიშებს მათ სწორად წარმოთქმაზე (ამ დროს უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება თავად მასწავლებლის ნიმუშს). ავარჯიშებს სახელმძღვანელოში კითხვითი წინადადებების მოძებნასა და წაკითხვაზე (აქ ყველა კითხვითი წინადადება კითხვითსიტყვიანია, ამიტომ მათი წაკითხვაც ერთვარად ხდება – ხმას ყველგან კითხვით სიტყვაზე ვუმაღლებთ). აქვე სრულდება დავალება №3. რაც შეეხება №4 დავალებას, იგი, კითხვის ნიშნების გარდა, შეიცავს მოსწავლეთაოვის სასვენი ნიშნების ხმარების ყველა ცნობილ შემთხვევას, ამდენად, იგი შეიძლება გამოვიყენოთ სმენითი კარნახისთვისაც.

**შედეგების კოდი:** III 2, III 4, III 6, III 8, III 9.

## გაპვეთილების მასალა

ქეთევან ჭილაშვილის „ქეთინო“, კითხვითსიტუაციანი კითხვითი წინადაღება, თეატრთან დაკავშირებული თემატური ლექსიკა (2 სო)

### მიზნები

- მხატვრული ტექსტის კითხვა და ანალიზი
- კითხვის მარტივი სტრატეგიების დაუფლება
- გაბმული მეტყველების განვითარება
- თეატრთან დაკავშირებული თემატური ლექსიკის გაცნობა (საგანთმორისი კავშირი სახვითსა და გამოყენებით ხელოვნებასთან)
- პუნქტუაციასა და ინტონაციაზე ვარჯიში
- მხატვრული ტექსტის შედგენა

### აქტივობები

- მოსწავლე კითხულობს და გაიაზრებს მხატვრულ ტექსტს
- გადმოსცემს მის შინაარსს
- წერს
- ეუფლება კითხვის მარტივ სტრატეგიებს
- ქმნის მხატვრულ ტექსტს
- ეცნობა თეატრთან დაკავშირებულ ლექსიკას და მეტყველებაში იყენებს მას

## I. ტექსტზე მუშაობა

**1. კითხვისათვის მზადება –** მასწავლებელი დაფაზე წერს თეატრთან დაკავშირებულ ლექსიკურ ერთეულებს: სპექტაკლი, სცენა, მსახიობი, როლი, პიესა... და მოსწავლებს ავალებს გაიხსენონ, რასთან არის ეს სიტყვები დაკავშირებული (თეატრთან), მსგავსი მნიშვნელობის კიდევ რომელ სიტყვებს გაიხსენებენ (შეიძლება შედგეს გონიერი იერიშის რეპარატურა... რა იციან თეატრის შესახებ, თუ ყოფილან თეატრში, რომელი საბავშვო სპექტაკლი უნახავთ...).

**2. ტექსტის კითხვა და ანალიზი –** მასწავლებელი ტექსტს კითხულობს თავიდან ბოლომდე გამომეტყველებით, შემდეგ მოსწავლეებს აკითხებს ნაწილ-ნაწილ და მოქლე კლასის მონაწილეობით იხსნება გაუგებარი სიტყვები და გამოთქმები, სრულდება დავალება №1 (პასუხები: აარტერში, სპექტაკლი, სცენაზე, წარმოდგენა). ვარჯიშობები როგორც ხმამაღალი, ისე ჩუმ კითხვაში; ჩუმი კითხვისას ტექსტი იყოფა ნაწილებად და დგება გეგმა (დავალება №3).

გაირკვევა, წელიწადის რომელ დროს ხდება ნაწარმოებში აღწერილი მოქმედება (ზამთარში), თუ არის ამის შესახებ მინიშნება ტექსტში (დავალება №2), რა შთაბეჭ-

დილება მოახდინა ქეთინოზე სპექტაკლმა (დაასაბუთონ ტექსტიდან), როგორ აფასებს თეატრის თანამშრომელი ქეთინოს გულმავიწყობას, რა უხარია მას; ქეთინოს რა თვისებები ჩანს ამ მოთხრობაში; ავტორის აზრით, რატომ არ გაცივდებოდა იმ თოვლიან დამეს ქეთინო; ეთანხმებიან თუ არა ავტორის აზრს... ტექსტის გააზრებისათვის სრულდება ტესტური დაგალებები (პასუხები 1ბ, 2ბ).

მოსწავლეები გადმოსცემენ ტექსტის შინაარსს როგორც მასწავლებლის დამხმარე კითხვების, ისე წინასწარ შედგენილი გეგმის მიხედვით.

## II. მცოდნივ მასალაზე დაპვირვება

1. თემატური ლექსიკის ამოწერა – დავალება №4 (პასუხები: პარტერი, სცენა, მაყურებელი, მსახიობი, სპექტაკლი...).

2. არსებითი სახელის რაობა – შეავსეთ კროსვორდი ტექსტში გამოყენებული არსებითი სახელებით; სახელმძღვანელო, გვ. 141, პასუხები: ქეთინო, დედა, საბანი, პალტო, ფერია, მსახიობი.

3. პუნქტუაცია და ინტონაცია – მოძებნეთ ტექსტში კითხვითსიტყვიანი კითხვითი წინადადებები და წაიკითხეთ ხმამაღლა (პასუხები: სად ხარ აქამდე? უპალტორდ რატომ მოხვედი? პალტო რა უყავი? თქვენ გინ ბრძანდებით?).

4. მხატვრული ტექსტის შექმნა სათაურისა და დასაწყისის მიხედვით (დაგალება №5).

შედეგების კოდი: III 2, III 3, III 4, III 6, III 7, III 9, III 10.

## გაკვეთილების მასალა

ქეთევან ჭილაშვილის „როგორ შევასრულე როლი“, თეატრთან  
დაკავშირებული თემატური ლექსიკა,  
არაკითხვითსიტუაციანი კითხვითი წინადადება (3 სთ)

### მიზნები

- მხატვრული ტექსტის კითხვა და გააზრება
- თემატური ლექსიკის დაუფლება
- გაბმული მეტყველების განვითარება
- პუნქტუაციური და ინტონაციური ჩვევების გამომუშავება
- სხვადასხვა პირში თხრობა
- მარტივი მიზნობრივი ტექსტის შექმნა – თეატრალური აფიშა (საგანოშორისი კავშირი – სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება)

### აქტივობები

- მოსწავლე კითხულობს და აანალიზებს ტექსტს
- მარტივად ახასიათებს ლიტერატურულ პერსონაჟებს
- გაღმოსცემს ტექსტის შინაარსს I-სა და III პირში
- ეცნობა თეატრთან დაკავშირებულ თემატურ ლექსიკას და მეტყველებაში იყვნებს მას
- ეუფლება ინტონაციისა და პუნქტუაციის ჩვევებს
- წერს
- ადგენს მხატვრულ ტექსტს ანდაზის მიხედვით

## I. ტომსონის მუშაობა

**1. კითხვისათვის მზადება** – ეს მასალა ფაქტობრივად წინა თემის გაგრძელებაა, ამდენად, მასწავლებელმა თავად უნდა გადაწყვიტოს, როგორ დააკავშიროს ეს ორი მასალა ერთმანეთთან (თემის, უანისა თუ ავტორის მიხედვით).

**2. ტექსტის კითხვა და ანალიზი** – მასწავლებელი ტექსტს კითხულობს თავიდან ბოლომდე გამომეტყველებით (შეიძლება გააგრძელებინოს მოსწავლესაც), კითხვის პროცესში აიხსნება გაუგებარი სიტყვები და გამოთქმები (მოთავე – ხელმძღვანელი, რაიმე საქმის წამომწევები; დამაშოშმინეს – დამაწყნარებელი, დამამშვიდებელი; ონავარი – ცელი; მიელაქუცა – მიეფერა...). ყურადღება მახვილდება თეატრთან დაკავშირებულ ლექსიკურ ერთეულებზე. სრულდება დავალებები: №2 (პასუხები: სცენა, პარტერი, რე-

ეისორი, მოქმედება, რეპეტიცია, მსახიობი, კულისები, როლი, აფიშა) და №5 (პასუხები: წარმოდგენა, რეჟისორი, როლი, აფიშა, მოქმედება).

მოსწავლეები ტექსტიდან ასახელებენ ადგილებს, სადაც აღწერილია: ა) სპექტაკლისათვის მზადება; ბ) თომას ძღვლვარება (დავალება №1); გ) მათიკოსა და თომას საუბარი; დ) თომას გაოცება... მოსწავლეები ტექსტიდან ასახელებენ მოქმედ პირებს (დავალება №4) და ზეპირად მოკლედ ახასიათებენ მათ, თავიანთ მოსაზრებას ასაბუთებენ ტექსტიდან.

მოსწავლეები გადმოსცემენ ტექსტის შინაარსს ჯერ I, ხოლო შემდეგ – III პირში. წერილობით ასრულებენ დავალებას №3.

## II. უნიკალური დაპირებები

1. მარტივი მიზნობრივი ტექსტის შექმნა – სახელმძღვანელოში მოცემული ნიმუშის მიხედვით შეადგინონ და გააფორმონ აფიშა რომელიმე სპექტაკლისათვის (დავალება №6).

2. პუნქტუაცია და ინტონაცია – სასურველია, თუ ამ მასალის გაცნობამდე მოსწავლეებს გავახსენებოთ ზმნის რაობას და საანალიზოდ ტექსტიდან დავასახელებინებოთ რამდენიმე ზმნას. დაფაზე იწერება ორი წინადადება: ერთი თხრობითი (პიესა მათიკოშ დაწერა) და ერთი კითხვითი (პიესა მათიკომ დაწერა?). მოსწავლეები აკვირდებიან რა მსგავსება (ურივე წინადადება ერთსა და იმავე აზრს გამოხატავს ერთი და იმავე სიტყვებით) და რა განსხვავებაა მათ შორის (ერთი მათგანი თხრობითია და მის ბოლოს იწერება წერტილი, მეორე კი კითხვითია და მის ბოლოს კითხვის ნიშანი იწერება; განსხვავებაა ინტონაცია შიც). გაირკვევა, რომ კითხვითი წინადადება ამჯერად კითხვით სიტყვას არ შეიცავს და ხმას ზმნაზე (დაწერა) ვუმაღლებოთ. ვავარჯიშებოთ ამგვარი წინადადებების მართებული ინტონაციით წარმოოქმაზე, ამ დროს განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება მასწავლებლის ნიმუშს. მოსწავლეები ტექსტში ეძებენ კითხვით წინადადებებს და აკვირდებიან, რა განსხვავებაა კითხვითსიტყვიანი (ჩემგან რა გინდათ? სცენაზე როგორ უნდა ვიცურაო?) და არაკითხვითსიტყვიანი კითხვითი წინადადების (ზეგამდე მოვახშე როლის ხვავდახ?) წარმოოქმაში.

შედეგების კოდი: III 2, III 5, III 7, III 8, III 9, III 10, III 11.

„წაიკითხე თვითონ“ – „ნორჩ ხელოვანთა კლუბი“ („წიგნის სამყარო“, X თემა).

## გაკვეთილების მასალა

მარკ ტვენის „მოხერხებული ტომი“ (ნაწევები „ტომ სოიერის თავი ა-დასავლიდან“), ფრაზეოლოგიზმები, ინტონაცია, ჰუნქტუაცია (2 სთ)

### მიზნები

- ლიტერატურული ტექსტის კითხვა და ანალიზი
- ლიტერატურული პერსონაჟების მარტივად დახასიათება
- საკუთარი აზრის დასაბუთება
- გაბმული მეტყველების განვითარება
- ფრაზეოლოგიზმებზე (იდიომებზე) დაკვირვება
- პუნქტუაციასა და ინტონაციაზე ვარჯიში (კითხვითი და ძახილის წინადაღები)

### აქტივობები

- მოსწავლე კითხულობს და აანალიზებს მხატვრულ ტექსტს
- გადმოსცემს მის შინაარსს
- გამოხატავს საკუთარ დამოკიდებულებებს და ასაბუთებს თავის აზრს
- მარტივად ახასიათებს ლიტერატურულ პერსონაჟებს
- ვარჯიშობს პუნქტუაციასა და ინტონაციაში
- წერს

## I ტემსტუე მუშაობა

1. კითხვისათვის მზადება – მოსწავლებელი კლასს უჩვენებს მარკ ტვენის წიგნს „ტომ სოიერის თავიდასავალი“, მოსწავლეებს აცნობს ნაწარმოების მთავარ გმირს, რომლის სახელსაც ატარებს წიგნი; შემდეგ კი უკითხავს ნაწყვეტს.

2. ტექსტის კითხვა და ანალიზი – ტექსტს ნაწილ-ნაწილ კითხულობენ მოსწავლეები და გზადაგზა ხსნიან გაუგებარ სიტყვებსა და გამოთქმებს, ყურადღება განსაკუთრებით მახვილდება პერსონაჟთა არაქართულ სახელებზე (ტომი, ბენი, ბილი, ჯონი, ჯიმი, დეიდა პოლი), აიხსნება, რატომ აქვთ მათ ასეთი სახელები, რა ჩანს აქედან (ნაწარმოებში აღწერილი ამბავი ჩვენში არ ხდება), აიხსნება იდიომატური გამოთქმები: მწუხარება დაეუფლა – შეწუხდა, ცხელ ოფლში იწურებოდა – შრომობდა, ცას ეწეოდა სიხარულისაგან – ძალზე უხაროდა, თვალს აღვენებდა – უკურებდა, აზრი მოუვიდა – გაიფიქრა, საცინლად აიგდო – დახინდა... ტექსტის გააზრებისათვის სრულდება დაგალებები №1, №2, №3 და №4, ასევე ტესტური დავალება (სწორი

პასუხია ბ). მოსწავლეები მარტივად ახასიათებენ პერსონაჟებს, იხსენებენ სათანადო ანდაზებს, ასაბუთებენ თავიანთ აზრს.

მოსწავლეები გადმოსცემენ ტექსტის შინაარსს ჯერ კითხვებზე პასუხით, შემდეგ კი – გაბმული თხრობით, ყურადღება მახვილდება ლოგიკური თანმიმდევრობის დაცვასა და დიალოგური ფორმების პერიფრაზზე.

## II. მნობრივ მასალაზე დაპირებება

1. მხატვრული ტექსტის შედგენა მოცემული ანდაზის მიხედვით (დავალება №5) – ეს დავალება შეიძლება გამოვიყენოთ ჯგუფური მუშაობისთვისაც. თითოეული ჯგუფი წარმოადგენს საკუთარ ვარიანტს, რომელიც კლასშივე ფასდება მოსწავლეობა მიერ.

2. ინტონაციასა და პუნქტუაციაზე ვარჯიში – მოსწავლეები ტექსტში ეძებენ კითხვით წინადადებებს და კითხულობებს სათანადო ინტონაციით; ასაბუთებენ, რატომ უმაღლებენ ხმას კონკრეტულ სიტყვაზე; ასევე ეძებენ და ხმამაღლა, სათანადო ემოციით კითხულობენ ძახილის წინადადებებს, განმარტავენ მოცემულ შემთხვევაში რა ემოციას გამოხატავს ეს წინადადება). ამავე მიზანს ემსახურება დავალება №6 – დაუსვი წინადადებას რამდენიმე კითხვა და წაიკითხე სათანადო ინტონაციით (ვინ ტკბებოდა თავისი ნამუშევრის ცქერით? რის ცქერით ტკბებოდა ტომი? რას შვრებოდა ტომი? ვისი ნამუშევრის ცქერით ტკბებოდა ტომი? რით ტკბებოდა ტომი? ტომი თავისი ნამუშევრის ცქერით ტკბებოდა?..).

შედეგების კოდი: III 2, III 4, III 5, III 6, III 9.

## გაკვეთილების მასალა

გაკვეთილის მასალა: გიორგი პროფესიას ირჩევს – ი. ტალიაშვილის  
მიხედვით; კითხვითი წინადადება (გამეორება),  
დიალოგზე დაკვირვება (2 საათი)

### მიზნები

- ტექსტის კითხვა და ანალიზი
- მესამე პირში თხრობა
- საკუთარი აზრის ჩამოყალიბება და დასაბუთება
- პროფესიების გაცნობა
- დიალოგზე დაკვირვება
- თხზულების წერის დაუფლება
- მარტივი ინტონაციურ-პუნქტუაციურ-ორთოგრაფიული ჩვევების ფორმირება

### აქტივობები


- მოსწავლე კითხულობს და აანალიზებს ტექსტს
- თხრობით გადმოსცემს შინაარსს მესამე პირში
- აკვირდება ტექსტში მოცემულ დიალოგებს
- ეცნობა სხვადასხვა პროფესიას
- აკეთებს დასკვნებს, ასაბუთებს თავის აზრს
- აკვირდება სიტყვათწარმოქმნის მარტივ შემთხვევებს
- წერს

## I გაკვეთილი

### ა) კითხვისათვის მზადება (7-8 წუთი)

მასწავლებელი კლასს ყოფს სამ ჯგუფად (ჯგუფებში მუშაობა) და თითოეულ ჯგუფს აძლევს დავალებას, გაიხსენონ რომელ პროფესიებს იცნობენ; აქვე განუმარტავს: პროფესია – ადამიანის ძირითადი საქმიანობა, სპეციალობა. მოსაფიქრებლად ეძღვაოთ 3-4 წუთი.

კასუების მოსმენის შემდეგ კლასის აქტიური მონაწილეობითა და მასწავლებლის დახმარებით ივსება „გონგირივი იერიშის“ რეკა:



აქვე მასწავლებელი არ გვევს, რა იციან მოსწავლეებმა მათ მიერ დასახელებული თითოეული პროფესიის შესახებ; რომელი პროფესია უფრო მოსწონთ და რატომ; რა პროფესიის არიან მათი მშობლები; თვით რომელი პროფესიის არჩევას აპირებენ...

### ბ) ტექსტის კითხვა (15 წთ)

ტექსტის სათაურის – „გიორგი პროფესიას ირჩევს“ – გაცნობისას მასწავლებელი კლასს აძლევს დავალებას: – ოქვენი აზრით, რა პროფესიას აირჩევს გიორგი? იყიქრეთ და ტექსტის წაკითხვის შემდეგ გვითხარით, დაემთხვა თუ არა ოქვენი ვარაუდი გიორგის არჩევანს.

მასწავლებელი ტექსტს კითხულობს თავიდან ბოლომდე გამომეტყველებით. მასწავლებლის ნიმუშს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება, რადგან ტექსტი დიალოგის ფორმისაა, შეიცავს როგორც კითხვითსიტყვიან, ასევე არაკითხვითსიტყვიან კითხვით წინადადებებს. ავარჯიშებს მოსწავლეებს ტექსტის კითხვაში. ლექსიკური ანალიზის მიზნით, მოსწავლეები ტექსტს კითხულობენ **ნაწილ-ნაწილ**, ეძებენ გაუგებარ სიტყვებსა და გამოთქმებს, ცდილობენ მათ ასენას კონტექსტის მიხედვით, საჭიროების შემთხვევაში ეხმარება მასწავლებელი. აიხსნება სიტყვები და გამოთქმები:

**აგრძნომი** – სოფლის მეურნეობის სპეციალისტი

**მეზვრე** – ზვრის (ვენახის) მომვლელი და მცველი

**ზვარი** – დიდი ვენახი

**ბეწვის ხიდი** – ძნელად გადასალახავი რამ, რომელიც დიდ სიფრთხილესა და დაკვირვებას მოითხოვს (ბეწვი – ერთი თმის დერი, ანუ ბალანი; ერთი ბეწვა – ძალიან პატარა, ერთი ციცქა; ბეწვისოდენა – ძალიან მცირე რამ; ბეწვზე გადარჩენა – ძლივს გადარჩენა).

**გამოკრებითი კითხვა:** მასწავლებელი დასვამს **ფაქტებზე ორიენტირებულ კითხვებს**. მოსწავლეები პასუხებს ტექსტში ამოიკითხავენ:

– პირველად რას შეეკითხა გიორგი ბებიას?

(„ბებო, მითხარი, რომელი პროფესიის არჩევას აპირებ ცხოვრებაში?“)

– რა უპასუხა ბებომ?

(„მე უკვე არჩეული მაქას, ახლა შენი რიგია“).

– რამ დააფიქრა გიორგი?

(„არ ვიცი, ვისი პროფესია ავირჩიო: პაპის, მამის თუ დედის?“)

– რა პასუხი მიიღო გიორგიმ ბებოსაგან?

(„ყველას პროფესია კარგია, მაგრამ საქუთარი გზით სიარული ყველაფერს სჯობია“).

– ბეწვის ხიდზე გასასვლელად რა დარიგება მისცა ბებომ გიორგის?

(„– ისტავლი – გახვალ, არ ისტავლი – ჩავარდები“).

– ბებიის სიტყვებით, რას მოგვცემს ცოდნა?

(„მუშაობას შეგაჩვევს, კაცი გამოხვალ, სოფელს გამოადგები“).

– რას აკეთებს ანდრო ძია?

(„ანდრო ძია სოფლის თავკაცია, ხელმძღვანელი“).

მოსწავლეები მსჯელობენ, რომელი პროფესიის არჩევა უწინასწარმეტყველეს გიორგის, დაემთხვა თუ არა მათი ვარაუდი გიორგის არჩევანს.

### გ) ტექსტის ანალიზი (15 წუთი)

მასწავლებელი სვამს უყრო მნიშვნელოვან კითხვებს (ანალიზსა და სინთეზზე ორიგენტირებულს). მოსწავლემ თავად უნდა შეძლოს წაკითხულის ანალიზი და საონადო პასუხის მოფიქრება:

– რატომ დაფიქრდა გიორგი პროფესიის არჩევაზე?

– როგორ გესმით სიტყვები: „საქუთარი გზით სიარული ყველაფერს სჯობია“?

– რა პროფესიებია ჩამოთვლილი მოთხრობაში?

– თქვენი აზრით, რომელია მათ შორის ყველაზე საჭირო? ყველაზე საპატიო? თქვენ რომელ პროფესიებს დაუმატებდით?

– რომელი პროფესიის არჩევა გადაწყვიტა გიორგიმ?

– როგორ ფიქრობთ, ხომ არ შეცდა იგი?

ასრულებენ წერით სამუშაოს დავალება №1 (აქტივობების რეგული) – ამოწერეთ ტქქსტიდან ის ადგილი, სადაც საუბარია:

ა) სოფლისათვის საჭირო პროფესიებზე;

ბ) გიორგის მშობლების პროფესიაზე;

გ) გიორგის არჩევაზე.

(პასუხებია: ა) მუშა, მხენელ-მთესველი, მწყემსი, მეზვრე, მონადირე, აგრონომი, მასწავლებელი;

ბ) გიორგის მამა და პაპა აგრონომები არიან, დედა და ბებია კი – პედაგოგები.

გ) გიორგიმ აირჩია სოფლის თავკაცობა, ხელმძღვანელობა.

### დ) შეჯამება (3-4 წუთი)

მოსწავლეები აჯამებენ რა გაიგეს ახალი ამ გაკვეთილზე (გაუცნებ სხვადასხვა პროფესიას, – ცხოვრებაში საქუთარი გზით სიარული ყველაფერს სჯობია, დაფიქრდებ თავიანთ მომავალ პროფესიაზე...), ერთმანეთს უზიარებენ თავიანთ შოაბეჭდილებებს.

### ე) შეფასება (2 წუთი)

გაკვეთილის ბოლოს მასწავლებელი კლასოან ერთად აფასებს რამდენიმე მოსწავლეს. შეფასებისას ითვალისწინებს შემდეგ პარამეტრებს:

- პრაქტიკული მუშაობა (ორგანიზებულობა, შემოქმედებითობა, მასალის ფლობა)
- 40%; მსჯელობა კლასში (აქტიურობა, ინდივიდუალური და ჯგუფური მუშაობა). კითხვებზე პასუხების გაცემა – 35% პრეზენტაცია (საკუთარი აზრის დასაბუთება, კორექტულობა) – 25%.

### **გ) საშინაო დავალება (2 წუთი)**

„გიორგი პროფესიას ირჩევს“ – კითხვით. ტექსტში მონიშნონ ის ადგილები, რომელმაც ყველაზე მეტად დააფიქრათ.

წერითი სამუშაო: **დავალება 2.** (აქტივობების რვეული) მოთხოვთ მიხედვით დაწერე „ელექტ ბებოს რჩევა“.

**შედეგების კოდი:** III 2, III 4, III 6, III 9.

## **II ბაპვეთილი**

### **ა) ტექსტის კითხვა (10 წუთი)**

მოსწავლეები ხმამაღლა კითხულობენ ტექსტს, ყურადღება მახვილდება სწორი და გამომეტყველებითი კითხვის ჩვევაზე (ტექსტი, პაუზა, მახვილი, ინტონაცია). განსაკუთრებული აქცენტი კეთდება კითხვითსიტყვიანი კითხვითი წინადადებების წაკითხვაზე (რომელი პროფესიის არჩევას აპირებთ ცხოვრებაში? „ოუ ვისწავლი და გავალ, რას მივიღებ?“ „ცოდნა რას მომცემს?“ „სოფელს რომ გამოვადგე, ვინ უნდა ვიყო?“ „ჩვენი ანდრო ძია რადას მიკეთებს?“).

ტექსტი დიალოგის, საუბრის ფორმითაა გადმოცემული.

– რამდენი ადამიანის საუბარია ტექსტში? (ორი ადამიანის: გიორგისა და ელექტ ბებიასი).

– ძირითადად ვინ სვამს შეკითხებს? (გიორგი), ვინ პასუხებს? (ელექტ ბებია). ამოიკითხავენ რომელმა ადგილმა დააინტერესათ და რატომ? (სავარაუდო პასუხები: „საკუთარი გზით სიარული ყველაფერს ხჯობია“, „გავალ ბეჭვის ხიდზე? – ისტავლი – გახვალ, არ ისტავლი – ჩავარდები“. „ცოდნა რას მომცემს? – მუშაობას შეგახვევე, კაცი გამოხვალ, სოფელს გამოადგები“...)

წარიმართება როლებად კითხვა: მთხოვთელი, გიორგი, ელექტ ბებო.

### **ბ) ტექსტის შინაარსის გადმოცემა (10 წუთი)**

მოსწავლეები ტექსტის შინაარსს გადმოსცემენ ჯერ მასწავლებლის დამხმარე კითხვების საშუალებით:

- რა ამოიკითხა გიორგიმ განეთმო?
- რის შესახებ გაიძაროთ საუბარი გიორგისა და ელექტ ბებოს შორის?
- რა დარიგება მისცა ელექტ ბებომ გიორგის?
- რა შეკითხვა დახვა გიორგიმ?
- რა უპასუხა ბებიამ?
- ბეჭვის ხიდზე გასავლელად რა რჩევა მისცა ბებომ?
- რას აძლევს ცოდნა ადამიანს?

- რომელი პროფესიებია საჭირო სოფლისათვის?
  - რომელი პროფესია აირჩია გიორგიმ?
- შემდეგ კი – გაბმულ თხრობით შინაარსს გადმოსცემენ მესამე პირში.

### გ) წაკითხულის გააზრება (10 წუთი)

- თქვენი აზრით, რა იგულისხმება „ბეჭვის ხიდში“?  
(დიდი რამ გასაჭირი, ძნელად დასაძლევი, ძნელად გადასალახავი რამ).
- რას უწოდებს მწერალი „ბეჭვის ხიდს?“  
(პროფესიის მიღებისაკენ მიმავალი ძნელად ხავალ გზას).
- როდის გაივლის ადამიანი წარმატებით ამ „ბეჭვის ხიდს?“  
(თუ ბეჭრს იშრომებს, ბეჭრითად ისწავლის).
- რას მიიღებ სწავლით? (ცოდნას)
- რომელი გამონაოქვამები გაგახსენდათ ცოდნაზე?  
„ცოდნა სინათლეა“, „ცოდნა თან დასდევს მცოდნელსა“, „ცოდნა ყველაზე ძვირფასი ნაყოფია“, „ცოდნაზე უკეთესი ცისქვეშეთში არაფერია“. გაიხსენებენ შესწავლილ ხლაპარს „ყველაზე ძვირფასი ნაყოფი“; გაიხსენებენ აგრეთვე ა. წერეთლის ხტროფს:

„სწავლა წყაროა ცხოვრების,  
სიბრძე – მისი ნაკადული,  
და ნაყოფი მათი ერთად -  
შება, ლხენა, სიხარული“  
(ა. წერეთლი)

- თქვენი აზრით, რატომ არის ნახსენები მოთხრობაში ზღაპრების წიგნი? (იმიტომ, რომ ქართულ ხალხურ ზღაპრებშია ასე: მარცხნივ წახვალ – ვერ დაბრუნდები, მარჯვნივ წახვალ – ან დაბრუნდები, ან არა; პირდაპირ წახვალ – აუცილებლად დაბრუნდები).

შეასრულებენ სახელმძღვანელოში (გვ. 150) მოცემულ დავალებას: – რა მოფერებითი სახელით მიმართავს ბეჭო გიორგის? (ხუთკუნძული) – რატომ? (შეადარა ქართული ხალხური ზღაპრის გმირს ხუთკუნძულას – დაკვირვებულობისა და მოხერხებულობის გამო) – ქართული ზღაპრების რომელ გმირებს დაასახელებოთ? (კომბლე, ნაცარქეჭია, ასფურცელა...), – როგორ ადამიანს შეიძლება ვუწოდოთ „ნაცარქეჭია“? (ზარმაც, უქნარა, მაგრამ მოხერხებულ და გამჭრიას ადამიანს), ასფურცელა? (დონიერს, უშორას, მოხერხებულს).

ჩატარდება დიდაქტიკური თამაში „აბა გამოიცანი“. თითოეულ ჯგუფს დაურიგდება ბარათი, რომელზეც მოცემული მინიშნებების მიხედვით უნდა გამოიცნონ, რა პროფესიაზეა საუბარი. გაიმარჯვებს ის ჯგუფი, რომელიც სწორად და უფრო სწრაფად შეასრულებს დავალებას:

### ბარათი №1

პიროვნება, რომელიც ავადმყოფებს მკურნალობს.... (ექიმი)  
ნაგებობათა დამპროექტებელი... (არქიტექტორი)  
უქსეაცმლის მექანი ან შემკუთხედელი ... (ხარაზი)  
გინც ხნავს მიწას.... (მხევნელი)

ადამიანი, რომელიც საქონელს მწყებავს ... (მწყემსი)

### ბარათი №2

აიროვნება, რომელიც სკოლაში ასწავლის ... (მასწავლებელი)

სამართლის დარგის სპეციალისტი ... (იურისტი)

ვინც ნადირობას მისდევს ... (მონადირე)

ვინც თეხავს ... (მთესველი)

ვინც შენობებს აგებს ... (ინჟინერი, მშენებელი)

### ბარათი №3

სოფლის მეურნეობის სპეციალისტი .... (აგრონომი)

მუხისი სპეციალისტი .... (მუსიკოსი)

ვინც ტანსაცმელს კერავს .... (მკერავი)

ვენახის (ზერის) მომვლელი, მცველი ... (მევენახე, მეზვრე)

ეკონომიკის დარგის სპეციალისტი ... (ეკონომისტი)

ასრულებენ „აქტივობების რვეულში“ №4 დავალებას: დაუსვით თქვენს ამხანაგს შეკითხვები მისთვის სასურველი პროფესიის შესახებ, თქვენ კი მის კითხვებს უპასუხეთ.

### დ) ორთოგრაფიასა და პუნქტუაციაზე გარჯიში (8 წუთი)

– ამოიწერეთ ტექსტიდან როული სიტყვები. როგორ იწერება ეს სიტყვები – დეფისით თუ დეფისის გარეშე? რატომ? – დავალება №5, პასუხები: მამა-პაპა, დედა-ბებია, მხენელ-მთესველი, (იწერება დეფისით, რადგანც აქ და კავშირის ჩასმა შეიძლება: მამა და პაპა, დედა და ბებია, მხენელი და მთესველი); ხელმძღვანელი, წინამდღოლი, თავაცი, ხუთკუნჭულა (იწერება ერთად, რადგანაც სიტყვაში და კავშირი არ ჩაისახის).

– დასვით სასვენი ნიშნები – დავალება №6. „აქტივობების რვეული“. პასუხები: „ელენე ბებომ გიორგის ჩამოუთვალა ქვეყნისათვის საჭირო მრავალი პროფესია: მეცნიერის, მუშის, პედაგოგის, აგრონომის. გიორგის არც ერთი ეს პროფესია არ მოეწონა. მას სოფლის თავიაცობა ხურდა. ამისათვის კი ცოდნის შეძენა და ბეწვის ხიდზე გახვლაა საჭირო. გაივლის გიორგი ბეწვის ხიდს? თქვენ როგორ ფიქრობთ? სოფელს ხომ ხელმძღვანელიც სჭირდება!

### ე) გაკვეთილის შეჯამება და შეფასება (5 წუთი)

ვ) საშინაო დავალება (2 წუთი) – გიორგი პროფესიას ირჩევს – თხრობით. დასაწერად: რომელ პროფესიას ავირჩევდი (დავალება №2. „აქტივობების რვეული“).

შედეგების კოდი: III 2, III 3, III 5, III 8, III 10.

## გაპვეთილების მასალა

„დაკარგული დღე“ ი. ტალიაშვილის მიხედვით; მარცვალი (გამეორება). კუთვნილებითი ნაცვალსახელების: მისი, თავისი – მეტყველებაში სწორად გამოუენება (ზრაქტიკულად) (3 საათი).

### მიზნები

- ლიტერატურული ტექსტის კითხვა და ანალიზი
- აზროვნების განვითარება – საკუთარი აზრის ჩამოყალიბება და დასაბუთება
- შესწავლილ ლიტერატურულ ნაწარმოებებს შორის პარალელის გავლება
- მოქმედ პირთა დახასიათების ელემენტარული ჩვევის დაუფლება. გეგმაზე მუშაობა.
- კუთვნილებითი ნაცვალსახელების: **თავისი, მისი – მეტყველებაში სწორად გამოყენება**
- ორთოვეპიასა და ორთოგრაფიაზე მუშაობა.

### აქტივობები

- მოსწავლე კითხულობს და აანალიზებს ტექსტს
- წერს, გამოოქვამს და ასაბუთებს თავის აზრს
- ავლებს პარალელს შესწავლილ ნაწარმოებთა შორის
- ახასიათებს მოქმედ პირებს, ასაბუთებს თითოეულ თვისებას
- ყოფს ნაწარმოებს სურათებად და ასათაურებს
- ვარჯიშობს სიტყვათა დამარცვლასა და გადატანაზე
- წინადადებაში აღადგენს გამოტოვებულ ნაცვალსახელებს: **თავისი, მისი**
- ვარჯიშობს სიტყვათა ორთოვეპიასა და ორთოგრაფიაზე.

## I გაპვეთილი

### ა) კითხვისათვის მზადება (8 წუთი):

მასწავლებელი კლასს შეახსენებს ციტატას: „აბა, წარომეული დროის დაბრუნება სინჯე! გინდა ნაშრომი წაგირთმევია, გინდა საქმისგან მოგიცდენია, შე ყმელო, შე ყაჩალო, შენა!“ არკვევენ რომელი შესწავლილი ნაწარმოებიდანაა იგი (ჭაბუა ამირეჯიბის „დროის ფასი“). რომელ გმირს ეპუთვნის ეს სიტყვები? (**თაგვს**), ვისი მისამართით თქვა? (**ჭრიჭინას**). გაიხსენებენ, როგორ დააკარგვინა ჭრიჭინამ ციყვს მთელი დღე უქმად, ამასთან, როგორ მიაყენა მან შეურაცხეყოფა თაგვსაც. მსჯელობენ და გამოხატავენ თავიანთ აზრს თაგუნას სიტყვებზე. ამის შემდეგ არკვევენ: რა არის „დაკარგული დღე“? (უხაქმოდ გატარებული დღე), როდის ვგარგავთ დროს? (როცა არაფერს ვაკეთებთ), როგორ შეიძლება მისი ანაზღაურება? (**ძეჯითი შრომით**).

მასწავლებელი კლასს მიმართავს: დღეს თქვენ გაეცნობით ახალ მოთხოვბას „დაკარგული დღე“, დააკვირდით, რატომ გავიხსენეთ შესწავლილი მოთხოვბა „დროის ფასი“, რა მსგავსება და რა განსხვავებაა ამ ორ მოთხოვბას შორის.

### ბ) ტექსტის კითხვა (17 წუთი)

ტექსტის კითხულობენ პაუზებით. მასწავლებელი ტექსტის კითხულობს პირველ პაუზამდე („...რომ ავთო შეხვდა“). მოსწავლეებს უსვამს კითხვას: თქვენი ვარაუდით, დაუხმარებოდა თუ არა ავთო მეგობარს დაკარგული დღის მოძებნაში?

მოსწავლეთა ალტერნატიული პასუხების მოსმენის შემდეგ მასწავლებელი განაგრძობს კითხვას მეორე პაუზამდე („...ძია ანდრო შემოხვდათ“) და მიმართავს კლასს:

– გამართლდა თუ არა თქვენი ვარაუდი? რატომ?

ერთმანეთს ადარებენ მოსწავლეთა მიერ შემოთავაზებულ ვარიანტებსა და ტექსტის ვერსიას. მასწავლებელი მოსწავლეებს კვლავ უსვამს კითხვას:

– თქვენი აზრით, როგორ მოიქცეოდა ანდრო ძია?

მოსწავლეთა პასუხების მოსმენის შემდეგ კვლავ განაგრძობს კითხვას მასწავლებელი მესამე პაუზამდე („...წამოდით და მოგეხმარებით“) და კვლავ ადარებენ ერთმანეთს მოსწავლეთა და ტექსტის ვერსიებს., ასეთივე მუშაობა გაგრძელდება შემდეგაც – მეორე პაუზა („...კმაყოფილი დაბრუნდა გიორგი შინ“). მესუთე პაუზა – ბოლომდე.

ამის შემდეგ იწყება ტექსტის ნაწილ-ნაწილ კითხვა მოსწავლეთა მიერ და უცნობი სიტყვებისა და გამოთქმების ახსნა. მოსწავლეები ასახელებენ უცნობ სიტყვებს და თვითონვე ხსნიან. მასწავლებელი ეხმარება სიტყვათა განმარტების დაზუსტებაში. აიხსნება სიტყვები და გამოთქმები: თადარიგის დაჭერა – წინასწარ მომზადება რაიმესთვის; ბალს ბდევირი ადინეს – აქ: სულ გაკრიფეს; დაჩირა – ჩირი გააკეთა; შარა – სოფლის განიერი გზა.

აქვე მოსწავლეთა მიერ მოხდება უცნობი სიტყვებისა და გამოთქმების გათვალსაჩინოება – სხვადასხვა წინადადებაში მათი გამოყენება.

ჩატარდება გამოკრებითი კითხვა. მასწავლებლის დავალებით მოსწავლეები ამოიკითხავენ ადგილებს, საიდანაც ჩანს: ა) დედის წესილი; ბ) დაკარგული დროის ძებნა; გ) ძია ანდროსთან შეხვედრა; დ) დაკარგული დროის პოვნა; ე) დაკარგული დროის მოსაგონარი.

### გ) ორთოეპიასა და ორთოგრაფიაზე მუშაობა (5 წუთი)

– ნაწილ-ნაწილ კითხვის დროს ყურადღება მახვილდება ძნელად დასაწერ და წარმოსათქმელ სიტყვებზე: უსაქმოდ (უსაქმო), დაკარგული (დაკარქული), შეეცოდა (შეცოდა), გავახარებო (გავახარეფო), შეხვდა (შეხვოა), წაიღო (წეიღო), გავეროობითო (გავეროოფითო), შემოხვდათ (შემოხვოთათ), ერთად (ერთათ), ბალში (ბახში) მოსაკრეფად (მოსაკრეფათ), უბეები (უბები).

(შეიძლება შეცდომით დაწერილი სიტყვები ძარაოებით დაგურიგოთ თითოეულ ჯგუფს და გაასწორონ ტექსტის გამოყენებით).

#### დ) წაკითხულის გააზრება (8 წუთი)

გაირკვევა რა არის ამ მოთხრობაში მთავარი (მთავარია იცოდე დროის ფასი, უქმდად არ უნდა დაკარგო დრო. დაკარგული დროის ანაზღაურება შეიძლება ბეჯითი, დაუდალავი შრომით).

– მსჯელობენ, რა მსგავსება და განსხვავებაა ახლად შესწავლილ მასალას „დაკარგული დღე“, – და ადრე შესწავლილ მოთხრობას – „დროის ფასს“ – შორის (მსგავსებაა: ორივე მოთხრობაში გამოოქმულია წუხილი დროის უსაქმოდ დაკარგვის გამო, დაკარგული დროის ანაზღაურება შეიძლება მხოლოდ შრომით. განსხვავებაა: „დაკარგულ დღეში“ გიორგიმ თავისი უსაქმურობით დაკარგა დრო – მიზეზი თვით გიორგია. „დროის ფასში“ ციყვი საქმეს მოსცდა, მთელი დღე უქმდა დაკარგა ჭრიჭინას სტუმრობის გამო – მიზეზი თვით ციყვი კი არა, ჭრიჭინაა.

ამასთან, გიორგიმ თავისივე შრომით იმავე დღეს აინაზღაურა დაკარგული დღე, ხოლო „დროის ფასში“ ჭრიჭინას არ აუნაზღაურებია დაკარგული დრო.

ტესტებზე მუშაობა – (აქტივობების რვეული) ამ მოთხრობის მიხედვით, როგორ აინაზღაურა გიორგიმ დაკარგული დრო?

ა) თამაშით, ბ) შრომით, გ) სწავლით.

(პასუხია: ბ)

#### გ) გაკვეთილის შეჯამება და შეფასება (5 წუთი)

ზ) საშინაო დავალება (2 წუთი) – დაკარგული დღე. წერითი სამუშაო: დავალება №1 (კითხვებზე პასუხი).

შედეგების კოდი: III 2, III 4, III 6, III 7, III 9.

## II ბაპვათილი

#### ა) ტექსტის კითხვა (13 წუთი)

მოსწავლეები ვარჯიშობენ ხმამაღალ კითხვაში. ყურადღება მახვილდება სწორი, შეგნებული, სწრაფი და გამომეტყველებითი კითხვის მხარეებზე – განსაკუთრებით კითხვითი და ძახილის წინადადების სწორად წაკითხვაზე. სასურველია როლებად კითხვაც: დედა, გიორგი, მხია, ავთო, ავტორი (ავტორის ხილების წაკითხვაში შეიძლება რამდენიმე მოსწავლე ჩავრთოთ). მასწავლებლის დავალებით მოსწავლეები ტექსტიდან კითხულობენ იმ ადგილებს, სადაც დიალოგია (საუბარია) გადმოცემული. არკვევენ რამდენი ასეთი ადგილია ტექსტში (არის ორი ადგილი: პირველი – „ე, სად მიძრძანდები? .. თუ არ გეხსარება წამოდი. მეორე – „საით გაგიწევიათ ბავშვებო? ... წამოდით და მოგვეხმარეთ“). რამდენი ადამიანის საუბარია გადმოცემული? (პირველში – ორი ადამიანის: გიორგისა და ავთოსი, მეორეში რამდენიმესი – ძია ანდრისა და ბავშვების).

### **ბ) ტექსტის შინაარსის გადმოცემა (16 წუთი)**

მასწავლებლის მიერ დასმული კითხვების (II-III-IV დონე) საშუალებით გადმოსცემენ ტექსტის შინაარსს:

- რას წუხდა გიორგის დედა?
- როგორ გადაწყვიტა გიორგიმ დაკარგული დღის მოძებნა?
- როგორ იპოვა გიორგიმ დაკარგული დღე? ვინ დაეხმარა მას? როგორ?
- რატომ შეაქო გიორგი დედამ?

მსჯელობენ, სწორი იყო თუ არა გიორგის გადაწყვეტილება. ახასიათებენ გიორგის. აფასებენ ავთოს, მზიასა და სხვა ამხანაგების საქციელს. აქ შეიძლება კლასი ორად გაიყოს, ერთგვარი დისკუსიაც გაიმართოს, მხარეებმა უნდა მოუსმინონ ერთმანეთს და შეძლონ თავიანთი აზრის ჩამოყალიბება.

ამასთანავე დააფიქსირონ ორი რამ, რაც ყველაზე მეტად მოეწონათ; ერთი რამ, რამაც ყველაზე მეტად დააფიქრათ.

ასრულებენ „აქტივობების რვეულში“ მოთავსებულ №2 და №4 დავალებებს.

### **გ) ენობრივ მასალაზე დაკვირვება (7 წუთი)**

– ინტონაციაზე მუშაობა: ამოიკითხავენ მოთხოვბაში კითხვისა და ძახილის წინა-დადებებს. ყურადღება მახვილდება მათ ინტონაციასა და პუნქტუაციაზე.

– ტექსტში აკვირდებიან თავაზიანობის გამომხატველ ფორმებს – მობრძანდი, შეს-თავაზა – ასახელებენ სხვა მსგავს ფორმებს (გახლავს, ბრძანდები, ბრძანებს, დაბ-რძანდი, გეახელი, მიირთვი, მიართვა (წაუღო, მიუტანა), საუბრობენ, რა შემთხვევაში იყენებენ მათ.

**დ) ორთოგრაფიაზე გარჯიში (2 წუთი) – დაიმახსოვრე როგორ იწერება: მზესუმზირა, გზაჯვარედინი, მუშახელი. ამ სიტყვების გამოყენებით ადგენენ წინადაღებებს.**

### **ე) გაპვეთილის შეჯამება და შეფასება (5 წუთი)**

გ) საშინაო დავალება (2 წუთი). „დაკარგული დღე“ – თხოვბით. წერითი სამუშაო – დავალება №3 (აქტივობების რვეული) – დედის სიხარული.

**შედეგების კოდი: III 1, III 3, III 5, III 9.**

### III ბაკვეთილი

#### ა) ტექსტის შინაარსის გადმოცემა და ანალიზი (18 წუთი)

მოსწავლეები გადმოსცემენ ტექსტის შინაარსს. ვარჯიშობენ თხრობაში, გაბმულ მეტყველებაში, ყურადღება ექვევა ფაქტების ლოგიკური თანმიმდევრობით გადმოცემას, ორთოვებისა და ორთოგრაფიას, ყოფენ ტექსტს ცალკეულ მონაკვეთებად (სურაოებად) და ურჩევენ სათაურს თითოეულ მათგანს (ჯგუფებში მუშაობა). გეგმა დაახლოებით ასეთ სახეს მიიღებს:

1. დაკარგული დღის საძებრად წასვლა;
2. ამხანაგებთან შეხვედრა;
3. ძია სანდროსთან გასაუბრება;
4. ვაშლის კრეფა;
5. დედის გახარება.

გეგმა დაიწერება დაფაზე. მოსწავლეები გადმოსცემენ თითოეული მონაკვეთის შინაარსს მესამე პირში.

ტექსტის საანალიზოდ მოსწავლეები (ჯგუფებში ან წყვილებში მუშაობა) ერთმანეთს დაუსვამენ შეკითხვებს მისთვის სასურველი საკითხის შესახებ და უპასუხებენ კიდევ. აქ ერთგვარი შეჯიბრიც შეიძლება გაიმართოს, რაც შეიძლება მეტი და დირქებული კითხვა დასვან.

#### ბ) ენობრივ მასალაზე დაკვირვება (10 წუთი)

საგანგებო ყურადღება მიექცევა თავისი და მისი ნაცვალსახელების ხმარებას მეტყველებაში, რადგანაც ხშირია უზუსტობები მათი გამოყენებისას. მიზნობრივად შერჩეული ნიმუშების ანალიზით მოსწავლეებს პრაქტიკულად უნდა გავაგებინოთ თავისი და მისი ნაცვალსახელთა ფუნქცია. თავისი გვიჩვენებს, რომ ის საგანი, რომელსაც ეს ნაცვალსახელი უკავშირდება, მოქმედი პირისაა. ხოლო მისი გვიჩვენებს, რომ საგანი, რომელსაც ის უკავშირდება, სხვისია, ე.ი. მისი მიუთითებს სხვაზე, გარეშეზე.

შესრულდება აქტივობების რვეულში მე-5 დავალება – ჩასვით გამოტოვებული სიტყვა („თავისი ან მისი“) – პირველ და მეორე წინადადებაში ჩაისმება „თავისი“, მესამე წინადადებაში კი – „მისი“.

– სიტყვის დამარცვლა და გადატანა: მოსწავლეები ტექსტიდან ამოიკითხავენ სიტყვებს, რომლებიც არ გადაიტანება, ასაბუთებენ რატომ არ გადაიტანება ეს სიტყვები: დღე, რომ, ეპ, რა, ვინ, ამ, დროს, ისე, და, დღეს, დღის, სახლს. არც, კი, სად, ისე, თუ, არ, ეს, არის, თან, დოლს, მეც, უბანს, მზია, იქ, სხვა, გია, რღონდ, ხართ, სულ, ბადს, შინ, დღე, ხის, თქვა.

გ) ანტონიმებზე მუშაობა (4 წუთი) – თითოეულ ჯგუფს დაურიგდება ბარათი. მასზე მოცემულ სიტყვებს უნდა მოუძებნონ და მიუწერონ საპირისპირო სიტყვა (ანტონიმი) ტექსტიდან:

#### I ჯგუფი

ნაპოვნი – (დაკარგული)

დილით – (საღამოთი)

ჩააწყო – (ამოყარა)

## **II ჯგუფი**

იპოვა – (დაკარგა)  
 დაუცარიელა – (აუგსო)  
 დამე – (დღე)

## **III ჯგუფი**

ცუდი – კარგი  
 ძნელი – ადგილი  
 დასვენებული – დაღლილი

**დ) გაკვეთილის შეჯამება და შეფასება (5 წუთი)**

ე) საშინაო დავალება (3 წუთი) დაკარგული დღე – თხრობით.

დავალება №6 (აქტივობების რვეული). დაასრულე ზმნები (ზმნები ასე დასრულდება: ა) ომაშობდა; ბ) მუშაობდნენ, გ) მხიარულობდა და ერთობოდა, დ) უცქერდნენ).

**შედეგების კოდი:** III 3, III 6, III 7, III 10.

## გაპგეთილების მასალა

ნინო ბეზარაშვილის „დიდი ტუუილი”, ფრაზეოლოგიზმები,  
ზრაქტიკული სტილისტიკის საკითხები (2სთ)

### მიზნები

- მხატვრული ტექსტის კითხვა და გააზრება
- კითხვის მარტივი სტრატეგიების დაუფლება (ტექსტის დაყოფა აზრობრივად დასრულებულ მონაკვეთებად, გეგმის შედგენა, მითითებული აღგილის მოძებნა, პერსონაჟთა მარტივი დახასიათება...)
- საკუთარი აზრის დასაბუთება
- გაბმული თხრობა
- პრაქტიკული სტილისტიკის საკითხების დაუფლება (კუთვნილებითი ნაცვალ-სახელები: **თავისი, მისი;** ორი მარტივი წინადაღებისგან რთული თანწყობილი წინა-დაღების მიღება – პრაქტიკულად, ტერმინების გარეშე)
- შესწავლილი მეტყველების ნაწილების განმეორება

### აქტივობები

- მოსწავლე კითხულობს და გაიაზრებს მხატვრულ ტექსტს
- მარტივად ახასიათებს მოქმედ პირებს, აკეთებს დასკვნებს
- ასაბუთებს თავის აზრს
- გადმოსცემს წაკითხულის შინაარსს
- წერს
- ეუფლება ახალ ლექსიკურ ერთეულებსა და იდიომატურ გამოთქმებს
- ვარჯიშობს პრაქტიკულ სტილისტიკაში

## I. ტექსტზე მუშაობა

ა) კითხვისათვის მზადება – მასწავლებელი კლასის წინაშე სვამს პრობლემას: რა არის ტყუილი, არსებობს თუ არა „სასარგებლო“ ტყუილი, თვითონ თუ „უთქვამო ასეთი ტყუილი, თუ უნანიათ მისი თქმა და რატომ... ამ დროს შეიძლება გამოვიყენოთ „გონებრივი იერიშის“ რეპარტია.

ბ) ტექსტის კითხვა და ანალიზი – მასწავლებელი ტექსტს კითხულობს პაუზებით: I პაუზა – „ერთხელ ბიჭს უთხრა“; II პაუზა – „როგორც დამარიგე, ისე მოვიქცევა“, III პაუზა – „კარგა ხანს იფიქრა და თქვა“... კითხვის პროცესში აიხსნება გაუგებარი სიტყვები და გამოთქმებიც. ამის შემდეგ ტექსტს კითხულობენ მოსწავლეები, გამოიყენება კითხვის ორივე სახე: **ხმამაღალი** და **ჩუმის**. **ჩუმის** კითხვისას მოსწავლეებს ემდევათ დავალება – მოძებნონ ტექსტში მითითებული აღგილები და ამოწერონ (დავალება №1); დაყონ ტექსტი ცალკეულ ნაწილებად და დაასათაურონ (დავალება №2).

გაირკვევა, რას უწოდებს მწერალი „საშინელ ჩვეულებას“, რატომ უწოდებს იგი ტყუილს „საშინელ ჩვეულებას“, ადამიანის რომელი უარყოფითი ოვისებები შეიძლება ჩავთვალოთ კიდევ „საშინელ ჩვეულებად“; რატომ პქვია ნაწარმოებს „დიდი ტყუილი“; რა ხერხით შეძლო პაპამ თავისი მატყუარა შვილიშვილის გამოსწორება; როგორ აფასებენ პაპის მოქმედებას; თუ ჩანს ნაწარმოებში მწერლის დამოკიდებულება მომხდარი ამბისადმი (დაასაბუთონ ტექსტიდან)... რა მოსწონთ ამ მოთხრობაში, რა არ მოსწონთ, რას შეცვლიდნენ; როგორ შეიცვალა ბიჭი ერთი წლის განმავლობაში (როგორია იგი მოთხრობის დასაწყისში, როგორია ნაწარმოების დასასრულს, რამ შეცვალა იგი – დავალება №4)... სათაურის მიხედვით მოსწავლეები ადგენენ ტექსტს „ჯილდო ტყუილისათვის“ (დავალება №3).

**გ) ტექსტის შინაარსის გადმოცემა – მოსწავლეები გადმოსცემენ ტექსტის შინაარსს ჯერ ნაწილ-ნაწილ, შემდეგ კი – გაძმული თხრობით.**

## II. მნიშვნელოვანი დაპვირვება

**ა) იდიომებზე დაკვირვება – სახელმძღვანელოს გვ. 154, თქვით ერთი სიტყვით: ენას კბილი დააჭირა – გაჩუმდა, ენა ჩაუვარდა – გაჩუმდა, ენა ამოიდგა – ალაპარაკდა.**

**ბ) შესწავლილი მეტყველების ნაწილების გამეორება, თავისებურ (მწერივში მონაცელე) ზმნებზე დაკვირვება – სახელმძღვანელოს გვ. 154.**

**გ) პრაქტიკული სტილისტიკის საკითხებზე მუშაობა – კუთვნილებითი ნაცვალსახლები: თავისი/მისი (დავალება №5, პასუხები: ა. თავისი, ბ. თავისმა, გ. მისი).**

**დამატებითი ინფორმაცია მასწავლებლისათვის: კუთვნილებითი ნაცვალსახლები: თავისი და მისი – ორივე გამოხატავს მესამე პირის კუთვნილებას, მაგრამ სხვადასხვა-გვარად: თუ საგანი მოქმედი პირის კუთვნილებაა, ითქმის თავისი, ხოლო თუ სხვისი – მისი.**

**დ) ორი მარტივი წინადაღების გაერთიანება რთულ თანწყობილ წინადაღებად (დავალება №6).**

**შედეგების კოდი: III 2, III 4, III 5, III 6, III 7, III 9, III 10.**

## გაკვეთილების მასალა

კობა იმედაშვილის „მოლაპარაკე თითები“; სახელთა წარმოქმნა – მირეული და წარმოქმნილი (ქონებისა და უფლობის) სახელები, (ზრაქტიკულად) (3 სთ)

### მიზნები

- მხატვრული ტექსტის კითხვა და გააზრება
- გაბმული თხრობა
- ლექსიკური მარაგის გამდიდრება
- საკუთარი აზრის ჩამოყალიბება და დასაბუთება
- ინტონაციური და პუნქტუაციური ჩვევების ფორმირება

### აქტივობები

- მოსწავლე კითხულობს და აანალიზებს ტექსტს
- მარტივად ახასიათებს პერსონაჟებს
- ასაბუთებს თავის აზრს
- გადმოსცემს წაკითხულის შინაარსს
- წერს
- აკვირდება სიტყვათწარმოქმნის მარტივ შემთხვევებს
- ვარჯიშობს ინტონაციასა და პუნქტუაციაში

## I. ტექსტის მუშაობა

**ა) კითხვისათვის მზადება –** მასწავლებელი კლასს ყოფს რამდენიმე ჯგუფად და თითოეულ ჯგუფს აძლევს დავალებას: სოტყვები – ერთი, ცოდოაო, ჭამაშიც, კაცი – დაალაგონ ისე, რომ ანდაზა მიიღო („ერთი კაცი ჭამაშიც ცოდოაო“), შეადგინონ ამ ანდაზის მიხედვით ტექსტი. მოსაფიქრებლად ეძლევათ რამდენიმე წუთი. პასუხების პრეზენტაცია და შეფასება ხდება კლასშივე.

**ბ) ტექსტის კითხვა და ანალიზი –** ტექსტს მოსწავლეები კითხულობენ პაუზებით (პაუზები კეთდება იქ, სადაც მასწავლებელი ჩათვლის საჭიროდ). კითხვის პროცესშივე აიხსნება გაუგებარი სიტყვები და გამოთქმები („რას გვაცხონებდა!“ – როგორ მოგვიხდებოდა, როგორ გვესიამოვნებოდა! „პირს გავისგელებდი!“ – აქ: შევჭამდით; „ფულს... არ დაგიშურებდი!“ – ფულს მივცემდი, გადავიხდიდი...). გაირკვევა, რომელ ქანრს განეკუთვნება წაკითხული ტექსტი: იგავ-არაკია, ზღაპარი თუ მოთხოვობა (ზღაპარია), რატომ (მოთხოვობილია დაუჯერებელი ამბავი – ძუნწი კაცი დღესაც ტყეშია; თითები ლაპარაკობენ...), ვინ და ვინ არიან ამ ნაწარმოების გმირები (ორი კაცი), მათი ხასიათის რა თვისებები ჩანს ტექსტში (სიძუნწე და გულუხვობა), მარტივად ახასიათებენ მათ

(დაგალება №4: პირველი კაცი არის **გულუხვი** და **საზრიანი**, მეორე – **ძუნწი** და **მატყუ-არა**); დაასაბუთონ ეს ტექსტის მიხედვით (დაგალება №3), რის თქმა **სურს** მწერალს მკითხველისათვის (ადამიანი **გულუხვი** უნდა იყოს, სიძუნწე უარყოფითი თვისებაა, ძუნწი ადამიანი არავის არ უყვარს, ძუნწი უოველოვის ისჯება...); სად, ნაწარმოების რა ადგილას ჩანს ეს (ნაწარმოების ფინალიდან: ძუნწი სამართლიანად დაისაჯა, ის ტყეში დაიკარგა), ამჟღავნებს თუ არა მწერალი გმირისადმი დამოკიდებულებას (ჩანს – მწერალი დადებითი ეპითეტით ამკობს პირველ გმირს: **გულუხვი**, ხოლო მეორეს – უარყოფითით: **ძუნწი**). მოსწავლეები გამოთქვამენ თავიანთ დამოკიდებულებას ნაწარ-მოებში გადმოცემული ამბისადმი, ასაბუთებენ თავიანთ აზრს (რა მოეწონათ და რა-ტომ; რა არ მოეწონათ; რას შეცვლიდნენ...); ინდივიდუალურად სრულდება დავალება №2 (გააგრძელონ ნაწარმოები საკუთარი შეხედულების მიხედვით). მოსწავლეებმა აუცილებლად უნდა გასცენ პასუხი კითხვას – მათ მიერ „შედგენილი“ ანდაზა („ერთი კაცი ჭამაშიაც ცოდოაო“) შეეფერება თუ არა ამ ნაწარმოებს, კიდევ რომელ ანდაზებს გაიხსენებენ, რომლებიც, მათი აზრით, შეეფერება ამ ნაწარმოებს.

**გ) შინაარსის გადმოცემა** – მოსწავლეები გადმოსცემენ ტექსტის შინაარსს ჯერ მასწავლებლის დამხმარე კითხვების საშუალებით, შემდეგ კი – დამოუკიდებლად. შეიძლება გამოვიყენოთ როლებად თხრობაც.

## II. მცობრივ მასალაზე დაკვირვება

**ა) ლექსიკური მარაგის გამდიდრება** – ტექსტში ნახსენებია ადამიანის ყველა თი-თის სახელწოდება, მოსწავლეებს ევალებათ მათი თანმიმდევრობით ამოწერა (დაგა-ლება №1 – ნეკი, არათითი, შუათითი, საჩვენებელი, ცერი).

**ბ) სახელთა წარმოქმნა (ტერმინის გარეშე)** – ძირეული და წარმოქმნილი სახელები (სახელმძღვანელო, გვ. 156), ქონებისა და უქონლობის სახელებზე დაკვირვება (დაგა-ლება №5).

**გ) ინტონაციაზე გარჯიში** (კითხვითსიტყვიანი და არაკითხვითსიტყვიანი წინადაღე-ბების სათანადო ინტონაციით წარმოთქმა – დავალება №6).

**შედეგების კოდი:** III 2, III 4, III 5, III 7, III 9, III 10.

## გაპგეთილების მასალა

თამარ ჩხაიძის „მაია და მზია“; კითხვა-ძახილის წინადაღება (2 სთ)

### მიზნები

- კითხვის მარტივი სტრატეგიების დაუფლება
- ლექსიკური მარაგის გამდიდრება
- ენის რიტორიკულ-ფიგურალურ მხარეზე დაკვირვება (დალოცვის ფორმულა)
- ინტონაციურ-პუნქტუაციური და ორთოეპიულ-ორთოგრაფიული ჩვევების ფორმირება

### აქტივობები

- მოსწავლე კითხულობს და აანალიზებს ტექსტს
- გადმოსცემს მის შინაარსს
- წერს
- ასაბუთებს თავის აზრს
- ეცნობა ახალ სასვენ ნიშანს (?!)
- ასრულებს ინტონაციურ-პუნქტუაციურსა და ორთოეპიულ-ორთოგრაფიულ სავარჯიშოებს

## I. ტექსტზე მუშაობა

**ა) კითხვისათვის მზადება** – მოსწავლეები აკვირდებიან სახელმძღვანელოში მოთავსებულ სიუჟეტურ სურაოს და მისი გამოყენებით ადგენენ მარტივ მხატვრულ ტექსტს. ეს სამუშაო შეიძლება ჩატარდეს როგორც ინდივიდუალურად, ისე – წყვილებში და ჯგუფურად; როგორც მასწავლებლის დამხმარე კითხვების საშუალებით, ისე – დამოუკიდებლად.

**ბ) ტექსტის კითხვა და ანალიზი** – ტექსტს კითხულობენ პაუზებით. პაუზები კეთება იქ, სადაც მასწავლებელი ჩათვლის საჭიროდ; გზადაგზა, კითხვის პროცესში, აიხსნება უცნობი სიტყვები და გამოოქმები. გაირკვევა, ვინ და ვინ არიან ნაწარმოების მოქმედი პირები (მაია, მზია, მოხუცი ქალი), მათი რა თვისებები ჩანს ნაწარმოებში (დაასაბუთონ ტექსტის მიხედვით), შეაფასონ მათი საქციელი, გაიხსნონ მსგავსი შემთხვევები საკუთარი ცხოვრებიდან; გაიხსნონ და გააანალიზონ ანდაზები, რომლებიც, მათი აზრით, შეეფერება ამ ნაწარმოებს; გაავლონ პარალელები წაკითხულ (შესწავლილ) ლიტერატურულ ნაწარმოებებთან... გამოიყენება წუმი კითხვაც – მოსწავლეებს ეძლევათ დავალება, წაიკითხონ ტექსტი წუმად და ამოიწერონ მითითებული ადგილები (რვეული, დავალება №1); დაყონ ტექსტი ცალკეულ მონაკვეთებად და დაასათაურონ

(დავალება №3); ჯერ ზეპირად, შემდეგ კი წერილობით სრულდება დავალება №2 („უ-რადლებიანი გოგონები“).

გ) ტექსტის შინაარსის გადმოცემა – მოსწავლეები გადმოსცემენ ტექსტის შინაარსს ჯერ ნაწილ-ნაწილ (გეგმის მიხედვით), შემდეგ კი – გაბმული თხრობით.

## II. მცოდნივ მასალაზე დაპირვენა

ა) ენის რიტორიკულ-ფიგურალურ მხარეზე დაკვირვება – მოსწავლეები ერთხელ კიდევ კითხულობენ ტექსტის ბოლო წინადაღებას („მოხუცი... ლოცავდა ბავშვებს“). გაირკვევა, რას ნიშნავს სიტყვა „ლოცავდა“, რა შემთხვევაში იყენებენ დალოცვის ფორმებს, დალოცვის რა და რა ფორმები არსებობს ქართულ ენაში, ივსება კროს-ვორდი (გვ. 158, პასუხები: **იდლეგრძელე, გაიხარე, ილხინე, გაგიმარჯოს, იცოცხლე, გამრავლდი, გაიზარდე**).

ბ) ინტონაციასა და პუნქტუაციაზე გარჯიში – მოსწავლეები ტექსტში ეძებენ ძახილისა და კითხვით წინადაღებებს და კითხულობენ სათანადო ინტონაციით; ეძებენ წინადაღებას, რომელსაც ორი სასვენი ნიშანი (? და !) აქვს ბოლოში: „**მაგრამ განა მხოლოდ შავთვალა და თმასუჭუჭა გოგონებმა შეამჩნიეს?**“ გაირკვევა, რომ ეს წინადაღება ერთდროულად გამოხატავს კითხვას (მასწავლებელი დააკვირვებს ინტონაციასა და სასვენ ნიშანზე), ასევე – გაოცებასაც, რაც ძახილის ნიშნით (!) აღინიშნება. ვარჯიშობენ ამ წინადაღების მართებული ინტონაციით წაკითხვაზე. მასწავლებელი დაფაზე წერს კითხვა-ძახილის სხვა წინადაღებებსაც; „**წუწკობა რა საკადრისია?**“ „**როგორ გაბრიყვდი და ბედი ხელიდან როგორ გაუშვი?**“ „**ასეთი ფეხმოკლე ტყუილი რამ გათქმევინა?**“ „**ვერ გაეტიე ამხელა გზაზე?**! ქუჩა ხომ არ გევიწროება?...“ (წინადაღებები ამოკრეცილია შესწავლილი ლიტერატურული მასალიდან), ავარჯიშებს მათ წაკითხვაზე.

გ) სინონიმებზე მუშაობა – მოცემულ ზმნებს ტექსტიდან შეურჩიეთ შინაარსით მსგავსი ზმნები (დავალება №4, პასუხები: **შეამჩნია, ეყრდნობოდა, შესძახა, შეკრთა, წაბარბაცდა, გასცემეროდა, ენდობოდნენ**).

დ) ორთოგრაფიულ-ორთოეპიული სავარჯიშოები – დავალებები №5 (პასუხები: ა) აღმართ-აღმართ, ნელ-ნელა, სვენებ-სვენებით; ბ) შავკაბიანი, შავთავსაფრიანი, შავთვალა, თმასუჭუჭა...).

შედეგების კოდი: III 2, III 4, III 5, III 6, III 9.

## გაქვეთილების მასალა

ოტია იოსელიანის „ჩემია, ჩემი!“, სიტუაციის სემანტიკა, პრეჯაჭების ხმარება სხვათა სიტუაციასთან (2 სთ)

### მიზნები

- კითხვის სტრატეგიების დაუფლება
- გაბმული მეტყველების განვითარება
- საკუთარი აზრის დასაბუთება
- ლექსიკური მარაგის გამდიდრება
- პრაქტიკული სტილისტიკის საკითხების დაუფლება
- პუნქტუაციური ჩვევების გამომუშავება

### აქტივობები

- მოსწავლე კითხულობს და აანალიზებს მხატვრულ ტექსტს
- გამოთქამს და ასაბუთებს თავის აზრს
- ადგენს გეგმას
- გადმოსცემს წაკითხულის შინაარსს
- წერს
- აკვირდება სიტყვის სემანტიკას
- ეუფლება პრაქტიკული სტილისტიკის საკითხებს (კავშირები რთულ წინადადებაში)
- ეცნობა ბრჭყალების გამოყენების ახალ შემთხვევას

### I. ტექსტური მუშაობა

ა) კითხვისათვის მზადება – მასწავლებელი კლასს ყოფს სამ ჯგუფად. თითოეულ ჯგუფს აძლევს დავალებას – შეადგინონ ტექსტი სახელმძღვანელოში მოცემულ ილუსტრაციაზე დაყრდნობით. მოსაფიქრებლად ეძლევათ რამდენიმე წუთი.

ბ) ტექსტის კითხვა – ტექსტს გამომეტყველებით თავიდან ბოლომდე კითხულობს მასწავლებელი. საგანგებო ყურადღება ექცევა ინტენსიური პირველ პირში. მთხოვობელი და ერთ-ერთი პერსონაჟი თავად მწერალია, მწერლის გარდა, ნაწარმოების პერსონაჟები არიან ბავშვებიც, ამიტომ, სასურველია, მასწავლებელმა შეარჩიოს სწორი ინტენსიური ტექსტის მონოლოგური და დიალოგური მონაკვეთების კითხვისას).

მასწავლებელი ტექსტის წაკითხვის შემდეგ სვამს საკონტროლო კითხვას: ვინ გვიყვება ტექსტში გადმოცემულ ამბავს? ვინ და ვინ არიან ნაწარმოების მოქმედი პირები?

ტექსტის კითხვაში ვარჯიშობენ მოსწავლეები. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ჩუმ კითხვას, რა დროსაც მოსწავლეებს ეძლევათ დავალება – წაიკითხონ და მოინიშნონ ტექსტში ის ადგილები, სადაც აღწერილია: 1. ხმაურიანი ბიჭები; 2. ნაპოვნი სათამაშოების განაწილება; 3. დავა ნაპოვნი ბურთის გამო; 4. მწერლის განაწყენება... მოელი კლასის მიერ დგება გეგმა (დავალება №2).

**გ) ტექსტის ანალიზი** – მოსწავლეები ასახელებენ მოქმედ პირებს (მწერალი, ზალიკო, გოჩა), ტექსტზე დაყრდნობით ახასიათებენ მათ, აკეთებენ დასკვნებს, ასაბუთებენ თავიანთ აზრს; წყვილებში სრულდება დავალება №2 (სწორად მოიქცა მწერალი, როცა ბიჭების დავაში ჩაერია?); ეძებენ და კითხულობენ ტექსტიდან იმ ადგილებს, სადაც ჩანს მწერლის დამოკიდებულება მომხდარი ამბისადმი; ცდილობენ ახსნან, რამ გამოიწვია მწერლის დამოკიდებულების ასეთი შეცვლა, იხსენებენ სათანდო ანდაზებს (ერთი თხილის გული ცხრა ძმამ გაიყოო...). სრულდება დავალება №3 (რა უხარია მწერალს).

**დ) ტექსტის შინაარსის გადმოცემა** – მოსწავლეები გადმოსცემენ ტექსტის შინაარსს გეგმის მიხედვით, ყურადღება ექცევა სხვადასხვა პირში თხრობას. გადმოსცემენ ტექსტის შინაარსს ჯერ I (შინაარსს ჰყავა: ა) აგტორი, ბ) გოჩა, გ) ზალიკო), შემდეგ კი – III პირში.

## II მონაცემების დასაჭიროებები

**ა) პუნქტუაციაში ვარჯიში** – მასწავლებელი კლასს ყურადღებას ამახვილებინებს ტექსტის სათაურზე, რომელიც ბრჭყალებშია მოქცეული – „ჩემია, ჩემი!“. გაირკვევა, ვის ეპუთვნის ეს სიტყვები (ნაწარმოების პერსონაჟებს). ეძლევა დასკვნა: ”ბრჭყალებში ჩაისმის უცვლელად, სიტყვასიტყვით მოყვანილი სხვათა ნათქვამი“. მწერალმა ამჯერად ბრჭყალებში ჩასვა ერთ-ერთი ლიტერატურული გმირის სიტყვები და ნაწარმოების სათაურად გამოიტანა. მოელი კლასის მონაწილეობით ამ მოთხოვნას შეურჩევენ სხვა სათაურს (მაგ., დავა სათამაშოებზე, სათამაშოების გაყოფა, მწერლის დახმარება...), გაირკვევა, ამ შემთხვევაში საჭირო იქნება თუ არა ბრჭყალების გამოყენება.

**ბ) ზედსართავი სახელი (გამეორება)** – მოსწავლეები ტექსტში გამოყენებული ზედსართავი სახელებით ავსებენ კროსვორდს (დავალება №4., პასუხები: ახალი, ონაგარი, ცელქი, ღია). ასახელებენ მსგავსი მნიშვნელობის ზედსართავ საახელებს (დავალება №5. პასუხები: ონაგარი, ანცი, ცელქი, მოუსვენარი, დაუდეგარი, ცმუკია... ვეება, დიდი, უზარმაზარი, უშველებელი, ვეებერთელა... პატარა, პაწია, პაწაწინა, ციდა, ციცქა, ერთი ბეჭო... ლამაზი, მშვენიერი, კოხტა, მომხიბლავი...).

**გ) კავშირების გამოყენება რთულ წინადაღებაში (დავალება №6).**

**შედეგების კოდი:** III 2, III 3, III 4, III 5, III 6, III 8, III 9.

## გაპგეთილების მასალა

### კოლაჟ ნადირაძის „მაისი“, მარტივი დარგობრივი და შხატურული ტექსტები (2სთ)

#### მიზნები

- ბუნების მოვლენებზე დაკვირვება
- პოეტური ტექსტის აღქმა
- მხატვრულ სახეებზე დაკვირვება
- გამომეტყველებითი კითხვის ჩვევის დაუფლება
- ერთსა და იმავე ოქმაზე მხატვრული და დარგობრივი ტექსტების შექმნა

#### აქტივობები

- მოსწავლე აკვირდება ბუნების მოვლენებს და აღწერს მათ
- გამომეტყველებით კითხულობს ტექსტს
- აკვირდება მხატვრულ სახეებს (ეპიოგი, მეტაფორა, შედარება – ტერმინის მომდების გარეშე)
- ადგენს მარტივ მხატვრულ ტექსტს
- წერს
- ხატავს (მხატვრულად აფორმებს ტექსტს, ქმნის ილუსტრაციას)

#### I. ტექსტზე მუშაობა

**ა) კითხვისათვის მზადება** – მასწავლებელი კლასს დააკვირვებს წელიწადის ამ დროისათვის დამახასიათებელ ბუნების მოვლენებზე. ჯგუფური მუშაობისათვის ეძლევათ დავალება – აღწერონ ბუნება შემდეგი თანმიმდევრობით:

1. ამინდი;
2. დღის ხანგრძლივობა;
3. ტემპერატურა;
4. მცენარეები;
5. ფრინველები;
6. ცხოველები;

ამ საკითხებზე პასუხების გაცემით შედგება მარტივი დარგობრივი ტექსტი, რომლის პრეზენტაციასა და შეფასებას დაეთმობა რამდენიმე წუთი.

**ბ) ტექსტის კითხვა და ანალიზი** – ტექსტს ჯერ მასწავლებელი კითხულობს თავიდან ბოლომდე გამომეტყველებით, შემდეგ კი – მოსწავლეები. გზადაგზა, ნაწილნაწილ კითხვის პროცესში, აიხსნება გაუგებარი სიტყვები და გამოთქმები: **თქეში** – თავსხმა, კოისპირული წვიმა; **რარიგად** – როგორ; **თილისმა** – 1. რაიმე პატარა ნივთი, რომელიც, ადამიანის რწმენით, მისოვის წარმატების მომტანია და ამიტომ მუდამ თან

ატარებს, 2. ჯადო; **ამალა** – მაღალი თანამდებობის პირის მხლებლები, აქ: მაისის თანამდევი ბუნების მოვლენები.

სპეციალური დაკვირვების საგნად იქცევა სახოვანი გამოთქმები: **ბაღებს დიმილით ჩახედა** – აამწვანა ბაღები; **მინდვრებს უმდერა ნანა** – ააყვავა მინდვრები; **გაათავხედა ... ყანა** – ააბიბინა ყანა; **სიმღერით ახრჩოს შაშვებს** – შაშვები აახმაურა; **ომას უხუჭუჭებს ბაგშვებს** – მაისის სასიამოვნო სიო ბაგშვებს ომას ურხევს; ... არ **მალავს ლამაზ და შიშველ წვივებს** – არ მალავს თავის სილამაზეს... გაირკვევა, რა სიტყვებით მოიხსენიებს მწერალი მაისს (ჯადოქარი), რას გულისხმობს იგი მაისის „ჯადოსა“ და „თიღლისმაში“ (ბუნების აყვავება, გალამაზება), რა იგულისხმება მაისის „ამალაში“ (ობილი, უუჟუნა წვიმები), ვისთან არის შედარებული მაისი (მხატვართან), სად, ტქების რომელ სტრიქონებში ჩანს ეს (ერთი ფუნჯი იკმარა, მწვანედ შედება ველი), რატომ შეადარა მწერალმა მაისი მხატვარს (ბუნებას აფერადებს)...გაირკვევა, ბუნების რომელი მოვლენებია აღწერილი ლექსში (ჭექა-ქუხილი, ოქეში, უუჟუნა წვიმა, სიო, ცვარ-ნამი...). სრულდება დავალება №1.

მოსწავლეები ადგენენ მხატვრულ ტექსტს მაისის შესახებ, ოდონდ ამჯერად ლექსის მიხედვით, ყურადღება მახვილდება მეტყველებისას მხატვრული სახეების გამოყენებაზე (დავალება №2). პოეტური ტექსტის აღქმას დაეხმარება ლექსის მიხედვით ილუსტაციის შექმნაც (დავალება №3).

გ) ეპითეტებზე დაკვირვება (ტერმინის გარეშე) – დავალება №4.

**შედეგების კოდი:** III 3, III 4, III 7, III 8, III 9.

„წაიკითხე თვითონ“ – „და ჰა, მოდგა ზაფხული...“ („წიგნის სამყარო“, XII ოემა)

## გაკვეთილების მასალა

მერი ბოლქვაძის „მზე და სარკე“, ფრაზეოლოგიზმები,  
მრავალწერტილი (2 სთ)

### მიზნები

- ბუნების მოვლენებზე დაკვირვება
- მხატვრული ტექსტის კითხვა და გააზრება
- კითხვის მარტივი სტრატეგიების დაუფლება
- მხატვრულ სახეებზე დაკვირვება
- მრავალწერტილის ფუნქციის გაცნობა
- ლექსიკური მარაგის გამდიდრება სინონიმური ფორმებით
- ტექსტის ილუსტრირება (საგანთშორის კავშირი სახით ხელოვნებასთან)

### აქტივობები

- მოსწავლე აკვირდება ბუნების მოვლენებს
- კითხულობს და აანალიზებს ტექსტს
- გადმოსცემს მის შინაარსს
- წერს
- ვარჯიშობს ორთოეპია-ორთოგრაფიაზე, პუნქტუაციაზე
- ეუფლება ახალ ლექსიკურ ერთეულებს და მეტყველებაში იყენებს მათ
- ხატავს

### I. ტექსტზე მუშობა

ა) კითხვისათვის მზადება – მოსწავლებელი დაფაზე წერს ორ ფრაზას: „მზე პირს იძანს“ და „მზე იცინის“. მოსწავლეთა მიერ გაირკვევა მათი მნიშვნელობა. შემდეგ კი ავალებს, მათი გამოყენებით შედგინონ პატარა მოთხოვობა და სათაურიც თავად შეურჩიონ (ეს დავალება შეიძლება შევთავაზოთ როგორც ჯგუფური, ისე წყვილებში მუშაობისთვისაც).

ბ) ტექსტის კითხვა – ტექსტს თავიდან ბოლომდე გამომეტყველებით კითხულობს მასწავლებელი ან კითხვაში გაწაფული რომელიმე მოსწავლე. შემდეგ მოსწავლეებს ეძლევათ დავალება – წაიკითხონ ტექსტი ჩუმად და მოინიშნონ გაუგებარი სიტყვები და გამოთქმები, რომლებიც შემდეგ მოელი კლასის მონაწილეობით აიხსნება.

გ) ტექსტის ანალიზი – გაირკვევა, წელიწადის რომელ დროს, დღის რომელ მონაკვეთში ხდება ტექსტში აღწერილი მოქმედება (დაასაბუთონ ტექსტიდან), ასახელებენ ნაწარმოების მოქმედ პირებს (ხათუნა, მზე, ჩიტი, ნიავი, სარკე); ბუნების რომელი მოვლენები ჩანს ტექსტში (მზის ამოსვლა – „ფანჯარას მოადგა მოცინარი და გაბრწყი-

ნებული მზე“, მოიღრუბლა – „მზემ ... დრუბლის ფოთილა აიფარა პირბადესავით“, გამოიდარა – „მზემ დრუბლი გადაიცილა სახიდან“, ნელი სიო – „ჩაიჩურჩულა ნიავმა“, „ოუ რამეს შეეხე, გამოჩნდები“..., ვისთან არის შედარებული მზე (ზოგიერთ მოცლილ ქალბატონთან), რატომ არის შედარებული (მასაც ძალიან უყვარს სარკეში ყურება)... ადამიანის რომელი ნიშნებით არის დახასიათებული ამ მოთხოვბაში მზე (იცინის, დადის, ლაპარაკობს, სარკეში იყურება, მორცხვობს...), ნიავი (ჩურჩულებს, წუწუნებს...), სარკე, ჩიტი... ნაწარმოების პერსონაჟთა აზრით, რა არის სილამაზე (სარკის აზრით, სილამაზე გარეგნულია, მაგრამ ის აუცილებლად სიკეთესაც გულისხმობს: ლამაზია ის, ვისაც კარგი სახე აქვს და კარგ საქმეს აკეთებს, ამიტომაც არის მზე ლამაზი; ნიავის აზრით კი, სილამაზე სიმართლის თქმაა, ლამაზია ის, ვინც სიმართლეს ამბობს). აქვე მოსწავლეები წყვილებში ასრულებენ დავალებას №2: „რა არის სილამაზე?“

ტექსტის ესთეტიკური მხარის უკეთ გააზრების მიზნით მოსწავლეები ქმნიან ილუსტრაციასაც (დავალება №3).

**დ) შინაარსის გადმოცემა** – მოსწავლეები ტექსტის შინაარსს გადმოსცემენ ჯერ კიოხებზე პასუხით (დავალება №1), შემდეგ კი – გაბმული თხრობით. ყურადღება ექცევა ერთ პირში (III პირში) და ერთ დროში (წარსულ დროში) თხრობას.

## II. მონაცემის მასალები და კონკრეტული მონაცემები

- ა) სინონიმებზე მუშობა – დავალება №4.
- ბ) ეპითეტებზე დაკვირვება – დავალება №5.
- გ) პუნქტუაციაზე გარჯიში – მრავალწერტილი, სახელმძღვანელოს გვ. 165.

შედეგების კოდი: III 2, III 3, III 5, III 7, III 9, III 10.

მოძღვვის ერთ კვირეულ საათს მასწავლებელს ვუტოვებთ თავისუფალი მუშაობისათვის; ასევე მასწავლებელს ვანდობთ მთლიანად ბოლო სასწავლო კვირის დაგეგმვას, რომელიც შეიძლება რამდენადმე არატრადიციული ფორმით ჩატარდეს და გასცდეს საგადავითო ჩარჩოებს, დაუკავშირდეს კლასგარეშე დონისძიებას.

## **zogadi ganaTlebis erovnuli miznebi**

საქართველოში სკოლის დამთავრების შემდეგ ადამიანმა უნდა შეძლოს:

ა) გაიგოს რა არის მთავარი და მნიშვნელოვანი თავის ქვეყანაში და რა იქნება სასარგებლო ამ ქვეყნისთვის. იზრუნოს აქტიურად ქვეყნის განვითარებაზე და პატივი სცეს მას.

ბ) მოუაროს ბუნებას და ზოგადად გარემოს, იცოდეს როგორ დაიცვას გარემო, როგორ არ დააზიანოს ის. ასევე მიუთითოს სხვებს თუ როგორ უნდა დაიცვან ბუნება.

გ) ტექნიკის და სხვადასხვა გამოგონებების საკუთარი შეხედულებებით გამოყენება; მისთვის საუკეთესო სარგებელის პოვნა; ინფორმაციის მოძიება და გააზრება.

დ) სხვისი აზრის გათვალისწინებით, მაგრამ დამოუკიდებლად ცხოვრება და საკუთარი შეხედულებებით გადაწყვეტილებების მიღება, დამოუკიდებლად აზროვნება.

ე) საკუთარი ცოდნით შექმნას ახალი ნებისმიერ სფეროში და არ დაკმაყოფილდეს იმით რაც უკვე არსებობს.

ვ) ცხოვრების მანძილზე მუდამ განვითარდეს, განიახლოს საკუთარი ინტერესები, ეცადოს ახალი უნარების ჩამოყალიბებას.

ზ) ურთიერთობა სხვადასხვანაირ ადამიანებთან; საკუთარი აზრის ნათლად ჩამოყალიბება, გამოთქმა, გამოხატვა; იყოს კომუნიკაციური.

თ) იყოს შემწყნარებელი; პატივს სცემდეს სხვას, მის უფლებებს, რელიგიას, ცხოვრების წესს; იცოდეს როგორ გამოიყენოს საკუთარი უფლებები და როგორ არ შეზღუდოს სხვისი.

**შექმნილია მეათე კლასის მოსწავლეების მიერ.  
2006 წელი.**